

ლიტერატურული გაზეთი

№10 (242) 24 მაისი - 6 ივნისი 2019

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

რუსუდან რუხაძე

ნესი პერცენი

ტბასთან სეირნობას თავისი წესი აქვს — თუ ერთხელ გადავეყარე ნაცნობს, ის ყველა წრეზე შეგხვდება.

წლების უნახავი წესი იმ დღით სამჯერ ვნახე. პირველად ისე ჩამიარა საჯინიბოს გადასახვევთან, ჩემკენ არც გამოუხედავს. მე საათის ისრის მიმართულებით მივსეირნობდი, ის კი დროის სანაღმდეგო სვლით მიუყვებოდა მორკალულ ბილიკს. ფრინველების სადგომისკენ აუჩქარებლად მივდიოდი, მდუმარე წყლებზე ვფიქრობდი და გზადაგზა ჭრელ იხვებს სასადილოდ ნამოლებული ხმელი ბაგეტი ვუმასპინძლებოდი. ნესი, ჩემგან განსხვავებით, მხნედ მიაბიჯებდა, ტელეფონზე ხალისიანად ლაპარაკობდა და სიცილის დროს თვლებს ნაბავდა. მე სასტუმროს დიდი, შავი ქოლგა მეჭირა, ნესის კი — საკუთარი, ვან გოგის მოყვავილე ნუშებით მოხატული.

მოულოდნელობისგან შევცბი, ნამდვილად ის არის თუ არა-მეთქი და სანამ ნაბლის ხეებს მოეფარებოდა, სამჯერ მაინც გავხედე. უეცარმა გადაკვეთამ გული ამიჩქარა და მუხლებში ძალა გამომაცალა. მომდევნო თხუთმეტი წუთის განმავლობაში მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, უნდა შემეწყვიტა თუ არა სეირნობა არც მთლად სასიამოვნო შეხვედრის თავიდან ასარიდებლად, ან იქნებ ჯობდა, აქვე მომეთავებინა ყველაფერი და რესტორანში, სხვების თვალნი მისალმებისას, უფრო მეტად არ დამტყობოდა მღელვარება.

მეორე წრეზე შეხვედრის ადგილი შეიცვალა და პირსთან გადავეყარე ერთმანეთს. ნესი იმდენად მშვიდი ღიმილით შემომეგება, ეჭვიც კი გამიჩნდა, რომ ეს შეხვედრა მხოლოდ ჩემთვის იყო მოულოდნელი.

II-III



ზაზა ბიბილაშვილი

უშიში

აი, მიყურე — როგორი ვარ სინამდვილეში, დაიმახსოვრე — როგორი ვარ სინამდვილეში, როგორ ვიღიმები სიკვდილის ხსენებაზე, როგორ უდარდელად ვხუმრობ სიკვდილზე, სიკვდილი როგორ არაფრად მიღირს.

დაიმახსოვრე — რათა როდისმე — ასი წლის შემდეგ — სიკვდილისწინა შიშით საფეთქლებგაყინული, თვალბგადმოყრილი, ტუჩებდაგრეხილი თუ მნახე — იცოდე — ვთამაშობ.

IV

მარიამ ნიკლაური

ვუსმენ წინა სიმონეს სევდასავით სანდოს. ეს აპრილიც მითია. თეთრ ალუბლებს ათოვს. სიმარტოვის არტია — მზე რომ იწყენს ასე, ვუსმენ წინა სიმონეს, ვუცქერ ზეცას მარსზე. მეტი სადღა წავიდე, მეტი როგორ გავქრე, აქლემს უნდა ვაჯობო, ნემსის ყუნწშიც გავძვრე. კარგად გიცნობ, ცხოვრებავ, ვიყავ, არა ვიყო. დიდიდღი ლექსს დავწერ, ენას გამოგიყოფ.

V

ბექა ქურხული

თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერები ანუ ღებთი-ყივჩალი ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

შეტაკება შელამებისას მოხდა, როცა მზე ქვეყნიერების კიდისკენ დაეშვა. ვერც გავიგე, რა ჯურისა და მოდგმის ხალხს გადავეყარეთ. ჯერ იყო, ავყანდი გამინყდა ცხენზე, დავეყვითიდი და სანამ გადავავაბი, გვარიანად ჩამოვრჩი. დანიანურებულელებს რომ ნამოვწენი, მოულოდნელად ერთ ნაცნობს მოვკარი თვალი, მამიდაჩემის — ხადიყათის — ქმრის, ბიძაჩემის მშობლიური ყიშლალიდან. გამიკვირდა. ჩვენი გვარისა და ულუსის არ იყო და ჩვენს რაზმში არ უნდა ყოფილიყო. „აქ საიდან გაჩნდი-მეთქი“ — ვკითხე. მიპასუხა, რალაცას მიყვებოდა, მაგრამ ვერ გავარჩიე. სახელით მომმართა — „ბაბურ!“ —ო. მიცნობდა. ამ დროს წინა რიგებში ჩოჩქოლი ატყდა. ხმას აუწიეს და აქა-იქ მათრახებმაც გაიტყლაშუნა. უზანგებზე წამოვინიე, რომ გამეგო, რა ხდებოდა. ჩამავალი მზის ათინათზე გავარჩიე, ჩვენები უცხოებს, ვილაც გადამთიელებს შესჩეხებოდნენ. სხვანაირი ქუდები ეხურათ და ცხენებზეც სხვანაირად ისხდნენ. ჩხუბი ატყდა, ცოტა ხანში ხმლის პირმაც იელვა. არ ვიცი, ჩვენმა იმიშვლა მახვილი პირველად თუ იმათ. ყოველ შემთხვევაში, საქმე ხმალზე მიდგა, მეც მოვემზადე და მალალი ალლაჰის სახელი ვახსენე. ხმლის ვადა მოვსინჯე თუ არა, მოულოდნელად მამიდაჩემის — ხადიყათის — ქმრის ყიშლალელმა, წელან რომ დამიძახა, მათრახი გადამანწა სახეზე და მარჯვენა თვალი გადამიხსნა. თვალი წყლით სავსე საქონლის ბუშტივით გამისკდა და მტვრიან სახეზე ჩამომელვარა. სიმწრისგან ამოვიგმინე, ანაზღეული ტკივილისგან გული შემიღონდა, უნაგირზე ძლივს შევიმაგრე თავი, ცხენის ფაფარში ჩავემხე და ხელები კისერზე შემოვაჭდე. ცხენის ოფლის სუნმა გონს მომიყვანა. შემეშინდა, ტკივილისაგან გულიც ისევე არ გამსკდომოდა, როგორც თვალი გადამისკდა. გონება კი არ დამიკარგავს. მამიდაჩემის — ხადიყათის — ქმრის ყიშლალელის სახელიც კი გავიხსენე, რომელმაც სრულიად უდანაშაულოს ასე ვერაგულად, მათრახის დარტყმით მარჯვენა თვალი გადამიხეთქა და დამაბრმავა.

ნურ მუჰჰამად ბანი.

VI-VII





დასაწყისი პირველ გვერდზე

— ნატალი, როგორ ხარ, როდის ჩამოხვედი? — გადაკოცნისას კონახურის კანფეტის სუნი ამყვია.

— გუშინ საღამოს, შენ როგორ ხარ? — აფორიაქებულმა ქურთუკი ყელამდე შევიკარი.

— ოჰ, გააჩნია, როდის მკითხავ. ახლა გადასარევად, — ქოლგა და წერილი წარბები ერთდროულად შეათამაშა.

— საქმეზე ხარ თუ ისვენებ? — ლელვის დასაფარად პურის ნაფხველებისგან დავიწყე ჯიბის ამოსუფთავება.

— რას ამბობ, ვინ დამასვენებს?! რალაც ტრენინგია სახელმწიფო შესყიდვებზე. შენ? — მოურიდებლად შემათვალისწინა ნესიმ.

— მე ჩვენს უცხოელ კონსულტანტებთან ერთად ვარ, აქეთ მოისურვებს სამუშაო შეხვედრა და... — ჰაერი აღარ მეყო ნინადადების დასასრულებლად.

— ხომ არ იცი, საუზმე რომელი საათიდან არის? — ნესიმ დაძაბულობის განსამუხტად საათს დახედა.

— მგონი, ცხრიდან, — რამდენიმე წამში სუნთქვა დავიმშვიდე.

— ბოლოს როდის გნახე, აღარც მახსოვს, — კაშენი შეიხსნა და ყელი მოიშვილა.

მარჯნის მძივი, რომელიც აქამდე მხოლოდ ფოტოებზე მენახა, ცალ მხარეს ლავინის ღრმა ფოსოში განოლილიყო და უფრო მოკლე ჩანდა, ვიდრე მახსოვდა.

— ჰო, დიდი ხანია, არ შეხვედრივართ, — თავი დაუუქნიე და ლვინის ფესტივალზე ჩვენი ხანმოკლე შეხვედრა გამახსენდა.

— კარგი. აბა, დროებით, — მხარზე შეივხო და მტვენამდე ნაზად ჩამომისვა ხელი.

მალევე შეხვედით ერთმანეთს. თონესთან ჩავლისას ახალგაზრდა პურის სურნელმა მოგვაშია და უზმოზე ჩვენი გასტრონომიული შეხმანიებაც უფრო ხალისიანი აღმოჩნდა.

— იქ ყველაზე გემრიელი ნამცხვრები აქვთ, რომ იცოდე, — რესტორანზე თვალთ მანიშნა ნესიმ.

— ჰო, მსმენია, ლეგენდარული ზარინას რეცეპტით აცხობენ.

არც მესამე შეხვედრისას მიმიმართავს სახელით. ვიცოდი, ამ ოთხი ასოს თანწყობა მთლად წამახდენდა, კიდევ უფრო ამაფორიაქებდა და სახეზე დამეწერებოდა ყველაფერი. დაშორებისთანავე ხმამაღლა წარმოვთქვი მისი სახელი ზუსტად ისე, როგორც ნესიზე ფიქრისას არაერთხელ აღმომხდენია შეკავებული განცდების შესამსუბუქებლად.

ნესიმ თბილი მოკითხვით და მომწუსხველი ღიმილით დეკემბრის სუსხშიც მოახერხა ჩემი გულის გაღობა. მესამე წრეზე თითქოს ფიქრებისგან დამენმინდა მზერა და აღმოვაჩინე, რომ ტბის ირგვლივ ზამთრის ხედები კი არა, წელიწადის ოთხი დრო ენაცვლებოდა ერთმანეთს — ყვითელი ვარდები, ტირიფის გაშიშვლებული ტოტები, მარადმწვანე სურო და სიბერისგან გაყვითლებული ხავსი წყლის გარშემო სიცოცხლის მარადიულ წრეს კრავდა და ფიფქნარე წვიმაშიც უცნაური ენერგიით გაესებდა.

სპასთან შევჩერდი, ტბაში მოცურავე გედი დათოვლილი მთების ფონზე რომ გადამედო. შემღვრულ წყალში ხის კოტეჯების მოლივლივე ანარეკლი და ჩიტავაშლას მსხმოიარე ტოტზე ჩამომჯდარი შაშვი კი მხოლოდ დანუწეხული კადრების წაშლისას აღმოვაჩინე.

სემი სასაუზმოდ ფანჯრის მხარეს მრგვალ მაგიდასთან ჯდება. ჩვეულები-სამებრ, მაჯის საათს იხსნის და თეფშის გვერდით დებს. მეც ვუერთდები და ყავის რიგში მდგომ ადრიანას ხელით ვანიშნებ, რომ ორივე აქ ვართ. სემი ჩაის ზანტად ურევს და წინა საღამოს დაჭაშნიკებულ ღვინოზე მეკითხება, შეძლებს თუ არა აქვე შექენას. ვპირდაპირად ვუპასუვებ და აქ თუ არა, თბილისში მინც მივასწავლი, სად იყიდოს. ტბისკენ ვიხედები და ჩემი მზერა ფანჯრის მინაზე მოხატულ ფიფქებსა და ძახველის ნითელ მარცვლებს ვერ სცდებ. უნებურად ბავშვობისდროინდელი საახალწლო სამზადისი, დედაჩემის არმიუბიანი წინსაფარი, შემთხარით თაფლის სუნი და ნაძვის ხის ზანზალაკების ხმა მახსენ-

დება. ხვალ დედაჩემის დაბადების დღეა. არ მინდოდა, ჩვენი სამუშაო შეხვედრა ამ თარიღს დამთხვეოდა.

ადრიანას დიდი თეფშით ხილის ასორტი მოაქვს და დაჯდომისთანავე მეკითხება, კმაყოფილი ვარ თუ არა ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის განულები შრომით და მომზადებული ანგარიშით. სიტყვა სიტყვით რომ ვთარგმნოთ, ბედნიერი ხარ თუ არაო. Yes, I am happy — ვპასუხობ და მფრთხობს იმის აღმოჩენა, რომ ეს ფრაზა მშობლიურ ენაზე არასოდეს წარმოითქვამს.

როგორც ნესი, ადრიანას იმდენი წყვილი საყურე აქვს წამოღებული, რამდენი დღითაც ჩამოდის. ამჯერად ციტრინის ქვები შეუხამებია მწვანე ჟაკეტისთვის. ამინდი სწრაფად იცვლება და დარბაზში შემოჭრილი მზის სხივები კიდევ უფრო მეტ მზიანებას მატებს ვერცხლის ბუდეში ჩასმულ ყვითელ მინერალს. მზერას

მუჭში ვიჭკვე. ნესი მესამედ უვლის შედურ მაგიდას და ამჯერად დესერტისთვის პანია ნამცხვრებს არჩევს.

— უცნაური ისაა, რომ ნიაგარა კი გაიყინა, მაგრამ ამ დროს გრელანდიაში ზღვის ყინული თანდათან ქრება, — ომლეტის ბოლო ლუკმისთვის ტყემაღს ვიმატებ და საუბარში ახალი თემით ვერთვები.

— ჰო, მყინვარები დნება. კლიმატის ცვლილება ეკონომიკურადაც დიდ რყევებს გამოიწვევს, — სემი ყოველთვის ცდილობს, ფაქტის მიღმა დიდი სურათი დაინახოს.

— კი, ასეა! წარმოიდგინე, ახლა გრელანდიაში ყინული ისეთი სქელია, ნავებს ზღვაში შესვლა უჭირთ, მაგრამ არც იმდენად, რომ მარხილს გაუძლოს. გრელანდელ მონადირეებს ალბათ კიდევ ერთი ცუდი დილა უთენდებათ, — ადრიანა, როგორც ნესი, ნებისმიერი თემის ჩანოდევისას ვრცელი პასუხისთვის არის მზად.

რუსუდან რუხაძე

ნესი ბერცენი



ვარიდებ, შუქის დამრეც სვეტში მტვრის უმცირეს ნაწილაკებს ვაკვირდები და ირიბად ნესის მაგიდისკენ ვაპარებ თვალს. ცალი ფეხი აუკეცავს, რალაცას მონდომებით ჰყვება და ხმამაღლა იცინის. სკამს ოდნავ გვერდით ვწევ, სემის სილუეტი ნესისას რომ გადაეფაროს და მშვიდად ვისაუბრო.

— ნახეთ, რა კარგი ამინდია! ნიაგარა კიდევ წახორმის მერე თოვლმა დაფარა და ჩანჩქერის ნაწილი გაიყინა, წარმოგიდგინიათ? — სემი დილის პრესას ელექტრონულად ეცნობა.

— რას ამბობ! გავემგზავრებოდი ჩემი ახალი ფოტოაპარატით. ალბათ ახლა იქაა ზამთრის ნამდვილი საბრძანებელი! — ალტაცების გამოხატვისას ადრიანას ხმა ეცვლება.

— მართლაც ზღაპრული სანახაობაა! გირჩევ, საუზმის მერე ბარგი ჩაალაგო. შესაძლოა, ეს საუკუნეში ერთხელ მოხდეს.

სემი მობილურ ტელეფონში ვიდეოს რთავს და ჩვენსკენ აბრუნებს.

— შეხედეთ, რა ლამაზია! როგორ ეშვება ყინულის ნამსხვრევები წყლის ნაკადთან ერთად.

— ლმერთო, საუცხოოა! — ადრიანა მობილურს ართმევს და აღფრთოვანებული დასცქერის.

ეკრანს თვალს ვარიდებ და ვცდილობ, სმენაც დავიხშო, წყლის ჩხრიალი საგანგაშო სიგნალად რომ არ აღიქვას ჩემმა სხეულმა. მინდა, შევთავაზო, რომ აუცილებლად ვნვიონ ოკაცეს კანიონს, სადაც წყალუხვი ჩანჩქერების, ქვახიდების, მღვიმეების, კასტრული წყლების და ბზის ხეებით დაფარული ნაპირის ხილვას შეძლებენ, თუმცა იმის შიშით, გაყოლა არ მთხოვონ, საერთოდ აღარ ვახსენებ ჩემი მეგობრების რჩეულ მარშრუტს.

ისევ ნესის ვაკვირდები. თვალს ვერ ვწვევ და უხერხულობისგან ქარვის კულონს

— რა თქმა უნდა. ჩვენ ახლა მრავალფეროვანი საუზმე გეახელით, მათი ძირითადი საკვები კი ვემპაის და სელაპის ხორცია. მთავრობამ სუბსიდია თუ არ გაზარდა, სანაპიროზე მიმოფანტული დასახლებები მალე დაიცვლება, — სემი მაჯის საათს იკეთებს იმის ნიშნად, რომ საუზმეზე დიდხანს დარჩენას არ აპირებს.

— სამივენი ერთსა და იმავე სტატიაზე ვსაუბრობთ, თუმცა ეკონომიკურ გამოწვევებზე მეტად უფრო ის ამბავი დამამახსოვრდა, ჟურნალის ფოტოგრაფს გრელანდიელი გოგო რომ შეუყვარდა, რამდენიმე დღიანი მივიღინების ნაცვლად იქ ნახევარი წლით დარჩა და ახალი საყვარელი საკვები, მარტოკილას ხორციც აღმოაჩინა, — თურქული ყავის ბოლო ყლუპს თავგადასუნი ვსვამ.

— ოჰ, ნატალი, ძვირფასო, ყოველთვის განსხვავებული ხარ. შენ ყველაზე კარგად გრძობ კალაპოტს, ჩვენ კი რა თემზეც უნდა ვსაუბრობდეთ, შუა ხაზზე ვცურავთ, — ადრიანას ჩემ ნათქვამზე ეცინება და ხილით სავსე თეფშს მაგიდის შუაში დგამს.

აღარ ვეპასუხებით, ციტრუსის ნახევარმთვარეებს მდუმარედ შევექცევით და სხვადასხვა მიმართულებით ვიყურებით. ნაყოფანების დუმილი სემის აღმოჩენაა, რომლითაც ყველა კარგი ნადიმი სრულდება ხოლმე. მე ისევ გრელანდიურ ზამთარზე ვფიქრობ, სანაპიროს დასახლებებს შორის ამოწვერილ მყინვარებსა და ჩაძირულ ფიორდებზე, ცივ და სუფთა ჰაერზე, დადუმებულ წყალსა და ხელმოცარულ მონადირეებზე. ნეტარება იმის ნარმადგენაა, რომ იქ, სადაც ცოტა ხნის წინ ზღვა ღელავდა, ახლა ტალღების დგაფუნის ნაცვლად თოვლის ქრიალი, ადამიანების გადაძახილი, მარხილში შებული ძაღლების ყეფა და აეროსნების პროპელერის ხმა ისმის.

ადრიანა ტუჩის კუთხეებს ხელსახოც-

ით იწმენდს და ამბობს, რომ ნახევარ საათში კვლევის ანგარიშის განსახილველად შეხვედრების ოთახში უნდა შევიკრიბოთ.

დღემ კარგად ჩაირა. ადრიანამ შეძლო სემის მოთოკვა და გეგმის ყველა პუნქტი დროულად გავიარეთ. საუზმისგან განსხვავებით სადილობის დრო მთლიანად პარტნიორებისთვის გასაგზავნი წერილის მთავარ პუნქტებს დავუთმეთ და საღამოს შესამსუბუქებლად საქმე წინ წავიგდეთ. ადრიანა მუშაობით კმაყოფილი დარჩა, ანუ ბედნიერი, ლაპარაკისას თავს რიტმულად აკანტურებდა და საკუთარ თავს ეთანხმებოდა. დღის მეორე ნახევარში განვმარტოვდით, რათა კომენტარებზე დამოუკიდებლად გვემუშავა.

საქმეზე ფიქრი გამიძინებდა. ნესისთან შეხვედრამ თავგზა ამიბნია. მიუხედავად იმისა, რომ ეს დღე ბევრჯერ ცხადად წარმომედგინა და სათქმელიც კარგად მქონდა მოფიქრებული, მოულოდნელმა გადაკვეთამ ყველა წინასწარ მომზადებული ფრაზა გადაშავინა. ისიც კი აღარ მახსოვდა, ჩვენი შესაძლო შეხვედრისას საკუთარი თავი ნითელი პომადით და მზის სათვალით რომ წარმოემდგინა.

ნესიზე ფიქრებს დათას ზარები ენაცვლება. ხვალინდელი დღის ყველა დეტალს მითანხმებს, ყვავილების ფერსაც კი. ცდილობს, ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც მე დავგეგმავდი.

— დათ, არ გინდა ორ ბოთლ ღვინოზე მეტი, გესმის?

— მამაშენი რომ მოვიდეს? მარტო ხომ არ მოვა.

— საერთოდ არ მოვა, ხო იცი. დილით დაგვასწრებს ყველას.

— ჰო, კაი. მერე არ აღმოვჩნდე უხერხულ მდგომარეობაში.

— ცაბაძეებს შენ გაუარე და ნაიყვანე, ეგრე მყავს დაჩვეული.

— კარგი, ოღონდ შენ დაურეკე, რა, და უთხარი, რომ ორზე მზად იყვენ. მისმინე, მაქვთ რა ხდება?

— არაფერი ისეთი, ვმუშაობთ, ვჭამთ, ვსვამთ.

— ოკეი, ხაზზე ვარ. მოკლედ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საქჩროა. შენ არ ინერვიულო.

— გოცნი, დათ.

— მეც გოცნი, მიყვარხარ.

დათაზე ერთგული ადამიანი არ მყავს. არც მისი და ნესის ურთიერთობისთვის დამირქმევია ოდესმე ლაღატი. ნესტან ჩლაიძე რამდენიმე წლის წინ საერთო მეგობართან წვეულებაზე ერთად გავიცანით. მახსოვს, დათა ნესის იქვე დაპირდა, რომ გასაქირავებელი ბინის ამბავს მეორე დღესვე გაურკვევდა და ტელეფონის ნომერიც ჩაანერინა. მისი საქმე ესაა, ამიტომაც არ მიეჭვიანია და არც თვალის მიმდევნებია, შესარულა თუ არა დანაპირები. იმ ზაფხულს კიდევ რამდენჯერმე შეხვედით ნესის. ძირითადად, განქორწინების პროცედურასა და საჭირო საბუთებზე საუბრობდა. საერთო მხიარულებაში დიდად არ ერთვებოდა და წვეულებებსაც ადრე ტოვებდა. ბოლოს საერთოდ გაქრა და მეც მიმავინყდა.

ნესი კი ამასობაში გერცენის ქუჩაზე დათას მოძებნილ ბინაში დასახლდა და, როგორც ჩანს, ფეისბუქშიც გვარი არა მწერლის პატივსაცემად, არამედ ახალი ცხოვრების დაწყების აღსანიშნავად შეიცვალა. ქუჩის ძველი დასახელება ფსევდონიმად მოირგო და ამჟამად იქნება როგორც Nessie Gertsen და არა Herzen, „გულის ბავშვი“ — გვარი, რომელიც რუსმა მემამულემ, ივან იაკოვლევმა გერმანელ ქალთან შექმნილ ვაჟს უბოძა.

დათას და ნესის გერცენზე შეხვედრების შესახებ ალბათ კიდევ დიდხანს ვერ შეეიტყობდი, რომ არა ჩემი ლუბტოპის მოულოდნელი გაფუჭების ამბავი პროექტის ანგარიშის გაგზავნის წინ. დათას კომპიუტერთან მუშაობას რომ მოვრჩი, უხმოდ ავდექი, საღამოს კი ძლივს ამოვდერლე, რომ ყველაფერი ვიცოდო.

დათას თავის მიართლება არ უცდია. მითხრა, რომ ყველა ურთიერთობას არ შეიძლება ერქვას სიყვარული, ხანდახან ეს მხოლოდ თანაგრძობაა და ამითვე სრულდება ყველაფერი. საუბარი აღარ გავვიგრძელებია — ორივემ ვიცოდით, არ არსებობდა ქორწინების ერთი დიდი საიდუმლო, რომელსაც ყველა წყვილი ეზიარება.

ჯვრისწერის მერე შევთანხმდით, კვლავ ორი სულით და ორი ხორციტით გაგვეგრძელებინა ცხოვრება, რადგან სიცოცხლე ასე უფრო ტკბილია და ერთ დროს ერთმანეთში თავდავიწყებით შეყვარებულებს ნამდვილი სიყვარული სწორედ მაშინ გვეწვია.

მას მერე დღე არ გასულა, ნესი არ გამახსენდეს და ყოველ საღამოს ფეისბუქზე არ ვესტუმრო. მისთვის მეგობრობის მოთხოვნის გაგზავნა ვერასოდეს ვაგებდე, თუმცა საჯარო პოსტების, კომენტარების, დაბადების დღის მილოცვების კითხვისას მალევე აღმოვჩინე ფრაზები, რომლებსაც ხშირად იყენებს: „I love my job“, „აი, ის მომენტი“, „უღვივე ბედნიერება“. მაშინაც კი, როდესაც ჩემი ეჭვები უსაფუძვლოდ მეჩვენება, ნესის შესახებ ყველაფერი მაინტერესებს. ფოტოებზე მის ნაკვეთებს, კბილების თანწყობას, ვარცხნილობას, თმის ფერს, მუხლისთავებს, ხალხებს, თხელ თითებს, ამოჩემებულ სამკაულებს და ფერად ტანსაცმელს დაუსრულებლად ვაკვირდები. ნეულებზე და მოგზაურობებზე მეტად სახლში გადაღებული ფოტოები მიზიდავს — სპილოების მინიატურული სკულპტურები მორთული თაროები, ჩინური კერამიკის სანათი, მზით განათებული ორანჟერეა, იატაკზე დალაგებული ნიგნები, მრგვალი მაგიდა ჭრელი გობელენის სუფრით და ზედ ხის ასიმეტრიული დაფა ნაირგვარი ნუგბარისთვის. მისი საყვარელი ადგილი მაინც მომცრო აივანია, ძველებური მოაჯირით, მოზრდილი ფიკუსითა და მოწნული სავარძლებით. ამ მყუდრო სივრცეში ნესისთან ერთად დათას წარმოდგენა ხან უნებლიედ აღმაგზნებს და მიზიდავს, ხან კი ამის გამო ისეთ სიძულვილს და რისხვას ვგრძნობ, მგონია, თვალეზივით ცრემლის ნაცვლად სისხლი წამსკდება.

დედაჩემის დაბადების დღე გათენდა, ამ დღეს საფლავზე გასვლა არასოდეს გამომიტოვებია. დათქმულ დროს მისი რამდენიმე მეგობარი და ნათესავი გვიერთდებოდა ხოლმე და დაუსრულებლად ჰყვებიან, როგორი ლამაზი იყო მანანა და რამდენს უყვარდა. მართალია, მამაჩემზე სიტყვა არ დასცდებათ, მაგრამ ნების მერე ძველი თაყვანისმცემლების ხსენება მხოლოდ იმას მიაჩნია, რომ დედაჩემმა თავი დაიღუპა. ყოველ წელს, როგორც ნესი, საფლავზე დიდი თაიგული და მანანას საყვარელი ტრიუფლები მხვდება პატარა ყუთით. ვიცი, მამა ყველას დაგვასწრებს და უთენია დატოვებს საჩუქარს, ამიტომაც აღარ ვეხმებიან. ჩვენ ნელინადის ყველა სხვა დღე გვაქვს დედაზე სალაპარაკო და მამა ყოველთვის ერთსა და იმავეს იმეორებს — „რას ვიფიქრებდი!“

იმ ზაფხულს აგარაკზე ვისვენებდით. მე ზობელს სამოთხის ვაშლი დაეკრიფა ეზოში და დიდი კალათით მოგვართვა, ანუ, როგორც იქაურები იტყვიან, მოგვიკითხა. მართალია, დედას დიდად არ უყვარდა ზამთრის მარაგზე ზრუნვა, მაგრამ გადაწყვიტა, მურაბა მოედლებინა. ბავშვებთან ერთად ეზოში ვთამაშობდი, მამაჩემის ადრეველები ხმა რომ გავიგონე — „ამ მდგომარეობაში ვერ მივტოვებ!“ დედაჩემის ლაპარაკი არ ისმოდა, მხოლოდ მამა იმართლებდა თავს. ერთადერთი, რამაც მიმახვედრა, რომ დედა აფორიაქებული ჩანდა, საშრობზე თევშების ხმაურით დალაგება იყო. ცოტა ხანში ჭიშკრის ხმა გაისმა. შემიხებულმა მამასთან მივირბინე და ვკითხე, რა მოხდა-მეთქი. არაფერი ისეთი, ხო იცი დედაშენის ამბავი, ნათლიაშენთან გადავა და დაბრუნდება, აბა, რას იზამსო, მიპასუხა, სიგარეტს მოუკიდა და კიბზე ჩამოჯდა. გულმა არ მომიტოვია და დედას დავედევნე, ბავშვებიც გამოყვინე.

უკვე ბნელოდა, ქუჩის განათება ძლივს ბუჭავდა. დედაჩემის სილუეტს ტყის გადასახვევთან მოვკარით თვალი და იქით გავიქეცი. მივხვდი, ნათლიაჩემთან არ მიდიოდა და იმაზე მეტად იყო განაწყენებული, ვიდრე უკან დასაბრუნებლად ძალა ეყოფოდა. ყვირილით დავედევნე. ტყეში კიდევ უფრო ბნელოდა და დროდადრო ვჩერდებოდით, მისი ქოშების ნკაპუნის ხმა რომ გავგვეყო. დედა არ გვეხმებოდა, გზას სწრაფად განაგრძობდა და კვალს გვიბნევდა.

ბილიკი მდინარისკენ დაეშვა. წყლის

ჩხრილობა დედაჩემის ქოშების ხმა გადაფარა. შიშისგან მუხლები მომეკვითა. მეგონა, დედა ხეს ამოეფარა და დაგვემალა. იმის წარმოდგენამ, რომ შეიძლებოდა, მოულოდნელად მოგვპარვოდა, კიდევ უფრო შემაშინა. ტყე, სადაც დღისით სოკოებს ვაგროვებდით და დაჭერობანას ვთამაშობდით, ღამით საზარელ სახახაობად ქცეულიყო. „დე, მოგვედები!“ — დავიყვირე განწირული ხმით და ჩავიკეცი. ბავშვებმა ჩემი დაყოლიება სცადეს — უკან დაბრუნდება და სახლში მისულს რომ არ დახვდე, უფრო იწერვილებსო.

ის ღამე დედაჩემის ძებნაში გავატარეთ — ყველასთან მოვიკითხეთ, ტყეში ფანრებით ვეძებთ, თბილისში მეზობლებთან დავრეკეთ, მაგრამ კვალს ვერ მივაგენით. მეორე დღით მამამ მდინარისკენ მიმავალ ბილიკზე ხის ტოტებზე ნამოცმული ქოშები იპოვა, ხელებზე ჩამოიკვია, თავში დაიშინა და დაჭრილი დათევით აღრიალდა. დღის ბოლოს დედაჩემი მდინარეზე ხევის ბოლოს გამოიჩინა. როგორც გაირკვა, დედაჩემის ფეხის ხმა მდინარეში კი არ ჩაახშო, მიხვდა, რომ ქოშების ნკაპუნს ავედევნეთ და გზიდან ჩამოიშორა.



სოფლის ქალებმა ბევრი იფიქრეს, საიდან უნდა ნამოცმული სახლამდე დედაჩემის სული — იქიდან, სადაც მდინარეში შევიდა, თუ იმ ადგილიდან, სადაც წყალმა გამოიჩინა. რახან სახლში არ გარდაცვლილა, ხეტილით ნუ დავლით, გამოვუძღვეთ და შინ მივბრძანოთ. ხევის ბოლოზე შეთანხმდნენ და მეც გამოვიყლეს. საფეხმავლო გზა დემუარედ ჩავიარეთ, თავი სიზმარში მეგონა. სხვა ბევრი არც არაფერი მახსოვს იმ დღეებიდან — მხოლოდ ის ბილიკი და ქალების გალობა.

შესართავს როგორც კი მივუახლოვდით, აქვითინდნენ და დედაჩემის სულს ნამღერებით უხმეს. მერე დიდ ქვას ძაფი ვერ ვიქნებოდა და ნაპირთან ახლოს, წყალში, ჩააგდეს. წინ ჩამიყენეს, ძაფის გორგალი ხელში დამაჭერინეს და ნელი ნაბიჯით გამომყვინე უკან. გზადაგზა მხრებზე ხელებს მხვევდნენ და მიმართულებას მაცვლევიებდნენ. თუ ფეხი გადამიბრუნდებოდა ან შევფერხდებოდი, აღარ მოგვევებაო, ამბობდნენ და დედაჩემს დაუყვავებდნენ. ყველა ვფრთხილობდით, რომ ძაფი არ გამწყდარიყო და სულს გზა არ აბნეოდა.

ძაფთან ერთად ხევიდან სახლამდე ბგერა უნდა გავგვება. სულის მეგზურები ჩვენ ვერ ვიქნებოდა, სული უწყვეტი ხმის და ნართის ვარდა არავის ენდობაო, მისხნიდა მათ შორის ყველაზე მოხუცი.

— შოოოოოო... — მოგუდულად დაიწყებდა ერთი.

— ოოოოოო... — სუნთქვის გაღვევამდე ჩვენაცვლებოდა მეორე.

შემდეგ მესამე გააბამდა ბგერას, მეოთხე შეუდგებოდა და ასე მივუძღოდით დედას ჩვენი უბნისკენ. უხმოდ ვტიროდი არა მხოლოდ იმის გამო, რომ დედა ცოცხალი აღარ იყო, არამედ იმიტომაც, რომ გულმოკლული, გაქცეული და თავდაღნეული უკან მიგვეყავდა სახლში.

არ მოგვედი, გადავრჩი, მაგრამ მას მერე მდინარის ხმაზე განგაში მიპყრობს — პირი მოშრება, ხელები მიცივდება და მუხლები მითრთის. ამიტომაც დაგუბებულ წყლებთან სეირნობა განსაკუთრებულ სიმშვიდეს მგვრის. იმისიც მჯერა, რომ ტბის პირას გულში ნათქვამი ხმამალა ისმის და წყლისთვის მოყოლილ ამბებს მინისქვეშა დინებებით მთელი სამყარო იზიარებს.

სახელმწიფო შესყიდვების ტრენინგის მონაწილემ სწავლების დასრულების აღსანიშნავად ვახშამი გაუმართავ და კარგადაც მოუხეხინათ. როგორც ჩანს, კორპორაციულ საღამოზე საახალწლო საჩუქრებიც მიუღიათ და ქაღალდის ერთნაირი ჩანთები, ნაძვის ხის ბურთებში ჩახატული ლოგოებით, მკერდთან მიუყარავთ. გოგო-ბიჭები სიმღერითა და ყიჟინით მიუყვებოდნენ კოტეჯებისკენ მიმავალ ბილიკებს და მათი მხიარული გადაძახილები ღამპიონების შუქის ნაკადში თბილ ორთქლად უერთდებოდა ხეობის ცივ ჰაერს.

ყვებს ლაპარაკს. რამდენიმე წლის წინ ფეისბუქში გაჩაღებულ დისკუსიას იხსენებს. ბევრი ამტკიცებდა, თითქოს ჟირაფი არა მხოლოდ ფოტოზე ან ტელევიზორში, არამედ სინამდვილეში ჰყავდა ნანახი. ერთი იმასაც კი ჰყვებოდა, როგორ შეაფურთხა კაცს ამ გრძელკისერა, კეთილშობილმა ცხოველმა. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ თბილისის ზოოპარკში ჟირაფს სამოციან წლებში სულ რამდენიმე კვირით უცხოვრია. მას მერე დაბადებულებს ცხადად ახსოვდათ არსება, რომელიც არასოდეს ენახათ. ნესის ახალი ნიგნის, „ცნობიერების მდინარის“, მიმოხილვა წაუკითხავს და მეხსიერების ცდომილებებზე, ცრუ მოგონებებსა და უნებლიე პლაგიატზე მიზიარებს საინტერესო ამბებს. საუბარში ვერ ვერთვები, რადგან ნესიზე ფიქრი მიპყრობს. ვაკვირდები მის ყველა მოძრაობას, პერანგის მოხატულობას, ჟაკეტის ორნამენტებს, მარგალიტის საყურეებს, თვალის მზონივარე ფიროზისფერ ჩრდილს და დასრულებული დღესასწაულის მთავარ შტრიხს — შავი ფანქრის მორღვეულ კონტურს მის ქუთუთოებზე.

ყველა კითხვა, რაც კი ოდესმე გამჩენია ნესიზე, უნებურად მახსენდება და თავში ათასი ფიქრი მიტრიალებს — აქვს თუ არა ნიგნზე დასამაგრებელი სანათი, ისეთი, როგორიც დათამ მაჩუქა; იყენებს თუ არა ყოველდღიურ საფენებს; როგორ გამოიყურება სკოლისდროინდელ ფოტოებზე; რამდენი ფერის პომადა უდევს კოსმეტიკის ჩანთაში; აქვს თუ არა გამოუსადეგარი ნივთები, რომელთა გასხვისებაც ენახება; როგორი კალიგრაფია აქვს, სამთავიან ლს წერს თუ ერთთავიანს; პიტნის საღებავი რეზინა ურჩევნია თუ დარჩინის; რა ფერია მისი კბილის ჯაგრისი; ვის ჩუქნის ძველ ტანსაცმელს; ზაფხული უფრო უყვარს თუ ზამთარი; ვისი ნაჩუქარია მარჯნის მძივი, რომელიც მუდმივად უკეთია; მასთანაც თუ ამბობს დათა, რომ ერთ დღეს ისევე დაუბრუნდება დიდ ტილოზე კანიონების ხატვას; როგორ მუსიკას უსმენს; რამდენი ლიფი აქვს; როგორ გამოთქვამს ინგლისურად the არტიკლს; შხაპის გადავლება ურჩევნია თუ აბაზანაში ნებეზრობა და რატომ, რატომ, რატომ ვერ ივიწყებს დათას?

ღვინის ჭიქას სწრაფად ვცლი, გამბედაობა მემატება და პირდაპირ ვეუბნები, რომ „ნიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა“ ორი წლის წინ ნავეკითხე. ნესის იმდენად მოულოდნელად ვაწყვეტინებ საუბარს, ჩემს მინიშნებას ვერ ხვდება და გულწრფელად მეკითხება: — მოიცა, როგორ, სკოლაში არ გაიარეთ?

მისი მიაშიტობა კიდევ უფრო მაბნევს და ეპიქრობ, საერთოდ ღირს თუ არა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება. ნამიერად იმასაც კი ვუშვებ, რომ იქნებ სულაც არ ნამიკითხავს ის მიმონერა, შეხვედრის მოლოდინის აღწერას გული არ გაუხეთქავს და მერე ამის გამო ღამეები არ მითენებია. იქნებ ეს ყველაფერი სულაც არ ყოფილა და მხოლოდ მეხსიერების ცდომილებაა?! თუმცა ჩემი ჟირაფები მეუბნებიან, რომ უკან დახევა აღარ ღირს. ამიტომ უფრო დამაჯერებლად და მოჩვენებითი სიმშვიდით ვაგრძელებ საუბარს:

— სრულიად შემთხვევით დათას კომპიუტერს მივუჯექი და ფეისბუქში თქვენი ჩატის ფანჯარა ღია დამხვდა.

თვალს აღარ ვაშორებ. არ მინდა, გამომჩერეს პასუხის მოფიქრებისას, რამდენიმე წამში, რას გაივლის მისი გონება და სხეული, მაგრამ ნესი დუმილს ამჯობინებს. მკერდზე ეტყობა, განმირებულ სუნთქვას ვეღარ იოკებს, ტუჩებს თითქოს სათქმელად ამზადებს, მერე კბილებს ერთმანეთს მჭიდროდ აბჯენს და ნერწყვს ხმამალა, სიტყვებთან ერთად ყლაპავს. ისევ მე ვარღვევ დუმილს:

— ჰო. მინდოდა, გცოდნოდა, — მიმტანს ცარიელ ჭიქაზე ვანიშნებ.

ნესი იცვლ უპასუხოდ მტოვებს. მიმტანის მოახლოებისას ორივე ვრუმდებით. ნაძალადევა ვიღიმით, ჭიქის შევსების ხმას ვაყურადებთ და ღვინოს ხარბად ვენაფებით.

— ისევ გიყვარს? — თვალეზი უტიფრად ვუყურებ.

არც ამ შეკითხვაზე მპასუხობს. მკვახე პასუხების ნაცვლად ნესის უსუსური დუმილი მორალურ უპირატესობას წამში მაკარგვინებს და ხანმოკლე საუბარს მობოძობით ვასრულებ.



წუთისოფლის საპოდიომო

ვაჰ, სოფელო, რას არ შერები — ნემსის ყუნწში მიმოძვრები — რომ გვიმრავლო ფეხქვეშეთის უამური მიმოძვრები.

ჩვენზე ფიქრით აღამებ და მაგითივე ათევე რაკი, მაგითომაც არ გვაკლია დარდი, სენი, ფათურაკი,

სიყვარულის ტკბილ-მწარე და სიძულვილის მწარე შხამის წყალდიდობით გულეზიდან იმედების წარეცხვანი —

არ გელევა, არ გწყინდება, არ ძუნწობ და არცა შერები — ვაჰ, სოფელო, რასა შერები!.. კი არა და — რას არ შერები! —

რათა — ვიდრე დადგებოდეს აქაური ბოლო წუთი და სიკვდილიც ახდებოდეს, ყველაფერი როგორც ცუდი —

ვიდრე თავის სამუდამო სასტუმროში შეგვიყვანდეს — წინასწარ რომ მოგვეწონოს, მოგვენატროს, შეგვიყვარდეს —

როგორც შვების აისი და ავი ყოფის დაისი და ჩვენი ყველა უბედობის დამთრგუნველი თავისითა!

ხოლო როცა ასრულდება ბედნიერი დასასრული, სიხარულით დაეთხოვოს სულსა ტანი, ტანსა სული,

ალექმულ ქვეყნად აილანდოს ქვეყნად აღარყოფნაღნაღნი და ვისკუპოთ საფლავებში ჰეფი-სალტო-მორტალეთი!..

მაგრამ თურმე ამაოა, რაც სიქველე შენ გიქნია: ყველაფერი გილონია — ვერაფერი შეგვიგნია —

კვლავ სიკვდილის შიშით კვდება სიცოცხლეზე ჩაციკლული — ვერ მოალბე, ვერ მოხიბლე, ვერ მოიგე კაცის გული!

...ან სად ნახე — გაეხაროს მარცვალს, ქვაზე დაბანდებულს? — მადლიერად როგორ მოკლავ უმადურად დაბანდებულს?

რა კარგია ახალგაზრდობა

ეჰ, აფსუს, აფსუს, ახალგაზრდობავ.

რაც გინდა, გააკეთო — ყველაფერს გააკეთებ. რაც გინდა, გააკეთო — ყველაფერი მოგიხდება:

ლექსიც რომ წერო. ლექსები წერო გულის სახეთქი. შიგადაშიგ — სილამაზისთვის — სისხლის წვეთი ამოაყოლო.

კაეშნით თავი დაიავადო, თითო ლამის დარდით თითო წლის სიცოცხლე მოიკლო — რა გენალვლება — უთვალავი გაქვს — აკი გგონია.

ცას გაუბრაზდე — თავზე რომ გხურავს, მინას — სულაც თავზე ახურო.

ორივეს დაემუქრო — თავს მოვიკლავო. ბევრჯერ დაემუქრო. ხანდახან კიდევ გაქეაჩრო — სილამაზისთვის.

ზაზა ბიბილაშვილი



ერთხელ ზედმეტად წაგიცდეს თუნდაც ხელი მინისკენ, ცისკენ — თავისკენ.

თან თუ არავინ გადმოგყვება — არც არავინ გისაყვედურებს.

ჰა-ჰა — ამ ცხოვრების ასე და ისეო, ამ საზოგადოების ასე, ასე, ისე და ისეო — შენ გარდა ყველას და ყველაფერს დააბრალონ — სილამაზისთვის.

ეჰ, აფსუს, აფსუს, ახალგაზრდობავ.

აბა, ამხელას თვითმკვლელობაც აღარ მოგიხდება, მოგიხდება და — აღარ მოგიხდება.

ჰა-ჰა — ცოტა კიდევ მოეცადაო, რას ამბობ — უმაგისოდ არ მოკვდებოდაო, გული იზამდაო, კიბო იზამდაო, დოზანა იზამდაო, ანდა — ზედოზანა, თვითონ კი არა...

აფსუს, აფსუს, აფსუს, ახალგაზრდობავ. ეჰ.

ზოდი

ჩემო სიცოცხლეო — ჩემო ოქროს ზოდო, საიმედოდ გამოკეტილო სეიფში, რომელიც გამოკეტილია ოთახში, რომელიც სახლშია გამოკეტილი,

ჩემო სიცოცხლეო — ჩემო ოქროს ზოდო, დაცული ხარბი თვალისაგან, მრუდე ხელისაგან, იუველირის იარაღისაგან,

ჩემო სიცოცხლეო — ჩემო ოქროს ზოდო, არ გაიყიდები, არ მოიპარები, არ დამუშავდები — ბექდებდა, კბილებდა, ჯვრებდა,

ჩემო სიცოცხლეო — ჩემო ოქროს ზოდო,

ავი თვალისგან თვალისცემას გადარჩენილო, ბევრი თვალისგან გახუნებას გადარჩენილო, ჯვარ-ბექედ-საყურე-გულსაბნევობას გადარჩენილო,

ჩემო სიცოცხლეო — ჩემო ოქროს ზოდო, ეგ კიდევ რაა და ჯერ კიდევ სადა ხარ, დაცულობა და გადარჩენა შენ მერე ნახე, როცა სახლსა და ოთახსა და სეიფსაც ველარ განდობ, როცა წაგიღებ და — კიდევ უფრო საიმედოდ — დაგმარხავ.

ზარი ახლოზღისგან

ალო... არ ისმის... ფუ-ფუ-ფუ... ალო... მე მგონი, სხვაგან მოხვდით... კაი, გეხუმრე, მე ვარ, ჰო... ხან — გაღმითა და ხან — გამოღმით... რა დაგივინყე, რას ამბობ — მგონი, მაჯაზე მესინჯები... სულ ვიცი შენი ამბები — მოდის ზარები, მესიჯები... თვალის მოკარი ახლახან — თვალეზით, ალაგ ნოტიოთი, ქუჩის გადაღმა კი არა, შუა ქუჩაში მოდიოდი... ხო ხედავ — ლექსშიც გახშირდი — მიგიშვი — აღარ გამოგხშირე — ბოლო სამი თუ ოთხია — გამოიჭიმე სამ-ოთხშივე... ვიცი — შენ უფრო გახსოვარ... მჯერა — შენ უფრო მელოდები... მოსაწყენია ერთთავად ჭალარები და მელოტები... მაგრამ ვისა აქვს სხვა გზა და სხვა — მით უმეტეს — ჰეფი ენდი... დაილღებოდი, აბა რა — ჩვენ ამდენი ვართ, შენ კი — ერთი... მაინც რო ჩვენზე ამოგდის გინდა — ვარსკვლავი, გინდა — მთვარე... მგონი, უკანაც დაგვეყვები... ან — კამერებით გვითვალთვალე... სხვები მოდიან, მიდიან — ერთგული მარტო შენ შემორჩი... ეგ ერთგულეზა...

გეტყვოდი, მაგრამ არ მინდა ტელეფონში... მოიცა — ჩაგვივარდება ამაზე კარგი სხვა მომენტი... ხო იცი — უკვე გზაში ვარ, კაი ხანია, გამოვედი.



მარიამ
ნიკლაური

რომ ვიჯდე სადმე ხის ძირში,
ვტკბებოდე დაბინდებით.
ჩიტს უსაქმური ვეგონო,
დამძახოს გაკვირვებით.
შენც იქვე იყო, აპობდე
გაკროლილ კუნძებს შეშად.
მე ვიჯდე ჩემთვის, დალილი,
მზე ჩადიდეს მრეშად.
ვებრალეობდე ჩვენობით,
ნუთით შეჩერდეს, შედგეს.
სინათლის გვიტხრას სათქმელი,
გზა გააგრძელოს შემდეგ.
იმ ერთი წამის რაც იყოს,
საწუთისოფლოდ გვექცეს.
რამდენჯერ მიმწუხრს გავხედავთ,
მზის არასოდეს შეგვრცხვეს.
ჩავიდეს, ჩვენში ჩაეშვას,
ვგავდეთ მოცისკრე ღარებს,
სუყველაფერი გვესმოდეს,
რაც უთენდება ღამეს.

დედამინისთვის

ლონიერია შენი ზურგი, უნდა გაგვიძლო,
დედამინავ, არ ჰგავხარ უძლურს,
გრძელი არის შენი სიცოცხლე.
ყველას გაგვაჩენს, გვანოვებს ძუძუს.
ლონიერია შენი ჰაერიც და შენი წყალიც,
დაბინძურებულს ათასი შხამით
მანც აქვს ძალა სიცოცხლისათვის.
მანც ყვავილობს, ლამაზია შენი ბუნება,
მარდიულად გათენებას რომ უბრუნდება,
საკუთარ დღეებს აჩენს და აჩენს!
და ყველა სიკვდილს
კვლავ სიცოცხლედ აღმოაცენებს —
თავის ხორცს აჭმევს!

დედამინავ, ეგ გრძელი თმებიც გაშლილ გულზე
რომ დაგფენია მდინარეებზე,
შენი სისხლის ხმაურით დიან.
ალბობენ და ანახნაგებენ მინას, ლოდინს.

კნაჭა ბალახის ფესვებს უჭირავს
შენი ვეება ტანის სიმძიმე
და დალილს ასე თავბრუსდამხვევი ტრიალისაგან,
ბალახი გიკრავს გულში სათუთად —
უზარმაზარს მისი სიმწირე
გყოფნის და სილბოს აფხვიერებს შენი კანისას.

უსასრულობას შენც ანესრიგებ, ბრუნავ და ბრუნავ,
არ ღალატობ წესებს არასდროს — სიცოცხლის უნარს!
ველები ასე უშუქ-ჩრდილების დღე-ღამეებში,
შენს განედებზე გადადიან უცხო ჩრდილები,
ზეცის ეთნოსად გარდაცვლილების.

არ დაიმჩნიე დღემდე არსად გადასავარდნი,
თორემ ვინ იცის, ერთიანად დაველერებოდი
ცის უფსკრულების უკუნ სანახებს.

რატომ ვერაფრით გამოიმგვანე ადამიანი?
მადლიერების მარილი რომ აკლია, რატომ?
ოკეანეებს გიბინძურებს, შენს მინას ფიტავს,
მდინარეს ახრჩობს, ქარს აგიჟებს,
ცეცხლთან აქვს ფლირტი.

ცდილობს ისე დაგეუფლოს,
არ დარჩეს შენგან აღარაფერი სანაგვის გარდა,
ყველა ჟინი შენ დაუბამო, რაც მის კანს ატანს.

დე, გაქრეს გემო არსებობისა, სურნელის ცვარი,
შენ გაჩენილს კი პლასტმასის ნამი ერჩიოს ბევრად
გამთენიის ნამს, ლაფვარდის სუსხს, მინის სისველეს —
მომხვეჭელია. არასოდეს არ დაისვენებს.

შენ ძლიერი ხარ, უნდა გაგვიძლო ადამიანებს —
როცა ისევ შენ სხეულად გადავიქცევით, როცა გვიამებ,
მაშინლა ვიგრძნობთ, რა უძიროა შენი ნება,
თმენა, სიტყვები,
რა მტკივნეული — მიწიდან კაცად აღმოცენება,
კვლავ დავიწყებით...
და ისევ უკან, და თავიდან და ხელახლა
და სულ, მარადის,
რა გაძლებინებს ამ უთვალავ ადამიანად
ყოფნას, მიწაო?

თუ სხვათა წესებს მორჩილებ შენ და
ენიერები სიცოცხლეს მსხვერპლად,
რომელსაც შობ და გამუდმებით ძირშივე სხიპავ?!
ყოფნას, მიწაო?

თუ სხვათა წესებს მორჩილებ შენ და
ენიერები სიცოცხლეს მსხვერპლად,
რომელსაც შობ და გამუდმებით ძირშივე სხიპავ?!
ყოფნას, მიწაო?

ძლიერი ხარ შენ, დედამინავ!
საერთო სიზმრებს ქარებად ვხედავთ,
სად ხარ, ვიცოდე, უფრო მეტად მსურს გიგრძნო ახლა,
შენში ვარ თუ მე ვარ შენი მარადი დედა?!

შიშველი ქუსლი

მიდის ზაფხული, მაკე ფაშატი,
მოკლე ღამეთა შავი აღვირით.
ჭრიჭინი გააქვს სიცხის არტახებს.
ბავშვი, რომელიც სადღაც გაჰყვირის,

რძიან სიზმარში ხედავს აქილევს,
ქუსლით დაკიდეს
და ჰა, ავლებენ
მხუთავ ქარებში ცეცხლის ჩქერებზე.
მიდის ზაფხული... ასეთ ღამეებს
ვერასდროს ვედარ დაიჩემებენ,
ვინც დაემგზავრა ზამთრის კილობანს,
ბევრჯერ ინატრებს
ალხის სველ ტლაშუნს,
უცხო თვალს შიშველ ქუსლს მიუშვერენ.
მაგრამ სადღაა სიმამიტე,
ან აღსასრულის ამგვარის ძებნა?
და ყინვაც კანზე,
როგორც ისრები,
დაჭრის, რაც ჩვენში არ იამინდება.
მისილავს დროის სითამამეებს,
ცეცხლის ყვავილსაც სასტიკად დაზრავს
და სხვის ფიქრებში
ამოაშენებს
ჩვენი ტკივილის ქვამალალ ზარზმას.
ჯერ ზაფხულივით მიდის ფაშატი.
და ქარი, როგორც სიტყვა „არავინ“,
ნაბიჯი მძიმე, გზა, ჭრიჭინები.
ვილაცას მაინც
დაიმგზავრებდი
და ცოტას კიდევ დაიჩვილებდი,
რომ ყველაფერი გადაველურდა,
მნიფს ეს სიმწკლარტე ბერგამოტებად,
და სიყვარულიც — შიშველი ქუსლი —
ველარც სამიზნედ ვერ გამოდგება...

პროზა და ათასისა

მინა — ბალახით, ჰაერი — დაიბზარება კვირტით,
რამდენჯერ ხდება ასე და მაინც ძალიან გიკვირს,
რატოა ადამიანი სხვა და სულ სხვაა ხალხი,
ერთი ათასით ჯვარცმული, ქვების მარადი არტი.
ერთს ენდე, ათასს — არასდროს,
მხოლოდ ვარსკვლავებს, ყვავილს,
სიტყვებზე ნათასარებს, ფიქრის ტვერებში გავლით,
ენდე ბევრს — ბუნებისაგან, ცოტას — კაცთაგან ენდე.
თეთრ მწუხარებად გარდაქმნის
დრო მზის ცეცხლისფერ შედეგს,
ერთი ბევრია ძალიან, ათასი — ისე ცოტა,
ნურასდროს ეიმედები ათასის წილად ყოფნას.
სულ ასე იყო, იქნება,
მინას ბალახი ბზარავს.
ათასი ერთთან რას მივა, კაცად ვარსებობთ სანამ...

ალამიანთა მზა

მზე ყოველ ჯერზე გარდამოხსნის
ფრთხილად ტკივილებს,
მზემ იცის ასე ამოყვანა სევდიდან შეგების,
სულ იმედების სამკალში დგას მზე დაუღლელად,
ხელს ულოკავენ ვარსკვლავების პატარა შველები.
უსაზღვროების სანახლებში ტეხს ნათლის მტევნებს.
მღერის და მზის ხმას აყურადებს სიცოცხლე მშვიდად,
ოღინდელი და უკუნოვანი სინათლის ფურცლებს
ვეთაყვანებით, სივრცის ქედზე უღლებად ვიდგამთ.
სულარსებობის დაჯერებაც რა ადვილია, როცა მზეა და
სუნთქვის პეპელაც მზისფრად ფარფატებს.
ჩვენი ფიქრების სიბნელიდან თავდახსნილებსაც
ღმერთის წინაშე მზის სხივები თუ გაგვამართლებს,
რასაც დავიტევთ, რასაც ვზიდავთ და მოვერევით,
ერთადერთს, მხოლოდ ამ სიხარბეს —
გუთხრათ დიდება!
ბევრი სინათლე, უსაზომოდ ბევრი სინათლე!
სხივი, რომელიც არ იბინდება!

ღამე

ლიმონის ციციანთელებს მწუხრი კალთაში იყრის.
ბნელ სინათლეში ვეხვევით.
ყვილი წყდება ციციის.
ღამდება, როგორც სიმღერის უკანასკნელი ბგერა,
თვალეები სიზმრის ხნულეებში უხორცო ხანძარს ქელავს.
კი, ყველაფერი აქ არის,
რაც გაჩნდა პირველ დილას,
სიტყვების ქარი ასკდება დამალული მზის ტინებს.
სიბნელის სტომაქს აავსებს საგამარჯვებო განცდა,
ჰგონია, ნათელს აჯობა,
ჰგონია, ყველას გასწვდა...
ღნება სიჩუმის ყიჟინა და ვარსკვლავების ყუჩი
შიშის ფარფლებსა ოქროს თევზს ბადეებს გადაურჩენს.
გაუშვებს უცხო სიღრმეთა საწინკნად თავის თავში,
ყრუ მღუმარების მდინარე
იდენს მდებრული მარშით...
ვილაც წამოკრეფს ყანიდან მწიფე იმედის თაველს,
გათენებამდე ღამისფერ ცეცხლში იდგება მთვარე.
ომია, დღე ყოველი და
ომია ყველა ღამე...
ხომ ხედავ ციციანთელებს, რკილავენ ბნელის ხალენს.



დასაწყისი პირველ გვერდზე

ნატა

ნატას ეძინა. ზურგი იყო შემობრუნებული და უშფოთველად, პატარა ბავშვივით ტკბილად ეძინა. დილაადრიან ფარდებჩამოფარებული საძინებელი ოთახის ბინდებუნდშიც კი ნათლად ჩანდა მისი შიშველი ზურგი და თხელი მხრები. საბანი ჯიშთან, ულამაზეს თეძოებამდე ჩამოსწოდა. ვერცხლის ფოლაქებით ჩამომწკრივებული ხერხემლის მალეები კარბის ზღვის მეკობრეების საგანძურის მიმანიშნებელივით მიუყვებოდა ქვევით.

გიოს უცებ ცეცხლის ტალღასავით წამოუარა ვნებამ და საშინლად აღეგზნო. თან გუშინდელიდან გამოყოლილ სიმთვრალეს და ძილს თავს ვერ აღწევდა. ძლივს გახელილ თვალებს ვერ აცილებდა გოგოს ცხელ ზურგს და თეძოებზე ჩამონეულ საბანს. ცნობილი ფილმი გაახსენდა: — „As Good, as it Gets“ — ჰელენ ჰანტი, ჯექ ნიკოლსონი და გრეგ კინერი რომ თამაშობენ — ჯექ ნიკოლსონი კარგა მაგარად შეშინებულ პარანოიკ მწერალს, გრეგ კინერი გეი მხატვარს და ჰელენ ჰანტი ოფიციალურად ჯექ ნიკოლსონს ჰელენ ჰანტი შეუყვარდება, მაგრამ მაგარი აჭრილია და არაფერი გამოსდის. მერე მხატვარი ჰელენ ჰანტს რომ დაინახავს, აბაზანის კიდეზე ჩამომჯდარს, ხატვას რომ დაიწყებს, ჰელენ ჰანტი თეძოებზე რომ ჩამოინეებს ზენარს და ტავოს ულამაზესი ხაზი რომ გამოუჩნდება. გრეგ კინერის გმირი — გეი მხატვარი — რომ გადაირევა და მთელი ღამე რომ ხატავს და ხატავს და დილით ჯექ ნიკოლსონი რომ დაადგებათ ოთახის ჩუსტებით, აჩეჩილი თმით და ისედაც ზოგიენივით სახე ეჭვიანობისგან მთლად რბო აელენება.

გიოს ახლა ჰელენ ჰანტის მოუნდა. ნატა და ჰელენ ჰანტი მოუნდა ერთად. პირი ისედაც გამშრალი ჰქონდა და იგრძნო, სისხლი როგორ თხლამუნით ავარდა საფეთქლებში. ერთხელ უსმინა საკუთარი სისხლის ხმას, როდესაც ტატიშვილის კლინიკაში გულზე ესპანურებს უკეთებდნენ — მოთხლიშინებდა ღონივრად მთის მდინარესავით. ხომიანი შეგრძნება იყო.

— მამა! — ამოიგმინა ნატამ, — კარგი რა, დამანებე თავი!.. არაფერში ზომა არ იცი რა... რას ჰგავდი გუშინ? რეები ჩაიდინე, გახსოვს? ალარ გემიძლია, ეზოში გასვლის მრცხენია უკვე. და მერეც მთელი ღამე არ დამაძინე...

გიომ ცივად გაუშვა ხელი. გუშინ ისევ საშინლად დათვრა. ბოლომდე. რაღაცები არ ახსოვდა და რაც ახსოვდა, იქიდანაც კარგი არ არაფერი ახსენებდა. ახლა ელოდა ნატას შეკრული ნარბეზი, საყვედურები, თან ვიდრე ბოლომდე არ ეტყოდა ყველაფერს და ბოლომდე არ შეუსრულებდა, შანსი არ იყო, არ მოეშვებოდა. გაბრაზებული კი არავითარ შემთხვევაში ახლოს აღარ მიიკარებდა და ვნებისგან გადარეულმა ახლა იმაზე დაინყოფიდა, როგორ დაედგინა აქედან სასწრაფოდ თავი, ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და საქმის გარჩევების გარეშე. თუმცა ალკოჰოლისგან მთელი სხეული ისე ჰქონდა დაშლილი, რომ ფეხზე წამოდგომამდე ფიქრიც კი ზარავდა — „რა ვიცი ეს ცხვილივით სმა ეს დედა...“ (ცამეტი წლის ასაკიდან მოყოლებული, როცა გამწარებული არწყევდა, ან როგორც მაშინ ამბობდნენ დაცინვით, „ჩანჩქეროს მღეროდა“, რამდენჯერ ჰქონდა საკუთარი თავისთვის მიცემული პირობა, რომ აღარ დაღვევდა, ამდენს აღარ დაღვევდა, მერე საერთოდ აღარ დაღვევდა და, რა თქმა უნდა, სულ ტყუილად. ეს სიტყვები და ფრაზებიც ისევე გაცვდა და გატრუხავდა, როგორც თავად ნუთისოფელი, ფარისეულის ნათქვამი „მამაო ჩვენო“ და პრეზიდენტების მიერ კონსტიტუციაზე დადებული ფიცი ინაუგურაციების დროს. გაცვდა, გატრუხავდა და თავიდან წამოსულ ძილქუშში ჩაიკარგა კაი გემრიელ გინებასთან ერთად, როცა საკუთარ თავს და მთელ სამყაროს ერთად შეუკურთხა, ვიდრე მორფეუსის სამეფოში ჩაეშვებოდა. ძილშივე გრძნობდა დანგრეულ, მონამღვლად და უმწეო სხეულს, განძრევად რომ უჭირდა და ამას უცნაურად ერთვოდა საშინელი, წამლეკავი ასაფეთქებლად გახზირებული ნაღმივით დატენილი ჟინი და სურვილი.

როგორი უკუღმართიც იყო მთელი ცხოვრება, ყველაფერი ისევე უკუღმა ჰქონდა. იმდენი რომ სხვას დაეღია, რამ-



ბექა ქურხული

თვალდაკარბული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დეპტი-ყივჩაღი ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

დენსაც გიო სვამდა, ადამიანს კი არა, ცხენს ნააქცევდა. მასზე არაყს უფრო კოკაინივით დოპინგის, სტიმულატორის ეფექტი ჰქონდა. მთელი ღამე დათარეშობდა, ქალაქში დაძრწოდა და შარს ეძებდა. მერე მიადნევედა საძინებლამდე და მთელი ან არც ისე მთელი ღამე გადაბმულად ქალი უნდოდა. სულ უნდოდა, გამუდმებით, საათში ერთხელ. გიჟივით. არადა, თითქოს არაქათი უნდა ჰქონოდა გამოლეული და გასავათებელიყო. ან იქნებ იყო კიდეც გასავათებელი, მაგრამ აღგზნებული და მთვრალი დილაამდე, ვიდრე არ გამოფხიზლდებოდა, ვერაფერს გრძნობდა, ვერც დაღლა. სექსის მერე იძინებდა, ითიშებოდა, სადღაც ქრებოდა. მერე ისევ ვნება აღვიძებდა, მცხუნვარე, საშინელი, გიჟური, ყველაფრის წამლეკავი ვნება. გული მთელ სხეულში გამაყრუებლად უზაგუნებდა, ხელის ცეცებით იწყებდა გოგოს ძებნას, ვიდრე ზედ არ აეკრობოდა მის სხეულს, არ შეუძვრებოდა და მერე ძილბურანში ზედ ყურთან, თითქოს შორიდან ესმოდა მისი გაბმული, თითქოს სასონაკვეთილი კვნესა, მოულოდნელი, თითქოს შემოფოთებული წამოკივლება და გიჟური, გაურკვეველი ჩურჩული, ნანყვეტ-ნანყვეტი, ჰაერში გაფანტული სიტყვები: „არ ნახვიდე, გთხოვო, გთხოვო, გთხოვო, არ ნახვიდე... არ გაჩერდე... ახლოს მოდი, არ გახვიდე, გთხოვო... გთხოვო... იყავი, ჩემთან იყავი.“ გრძნობდა ზურგზე ნატას გრძელ, თხელ გადახლართულ წვივებს და მკლავებს, რომლებიც ისე ღონივრად იკრავდნენ გულში, რომ დროდადრო თავს ითავისუფლებდა, რომ განძრეულიყო და სწორედ ამ დროს ესმოდა ნატას: „არ ნახვიდე... გთხოვო!“ და ვნებისა და სიმწრისგან ორგაზმის დროს გიოს მაჯებს ამტვრევდა. ერთხელ ასე ეშში შესულმა თითებს რომ თითებში უხლართავდა, ვეღარ მოზომა და ნეკა თითი მოტეხა. ასე ტკაცანით ჩაატეხა და ხელში. თითი მერე თავისით შეხორცდა, ოღონდ მრუდედ და გიოს რამდენჯერაც ეს ნეკა თითი თვალში მოხვდებოდა, ისევე ეშმაკურად და მხიარულად ელიმებოდა, როგორც ჩხუბში და შარებში მოპოვებულ საბრძოლო იარაღზე.

მერე ისევ იძინებდა. ისევ ქრებოდა და კიდეც უფრო შორიდან ჩაესმოდა ძილში გაოგნებული და თვალბეგავართოებული ნატას ხმა: „დედა, რა არის ეს? რა მემართება? რა ხდება ამ დროს?...“ გიოს უკვე ეძინა, ნასული იყო, გაღმა... მარილზე... ვიდრე ისევ არ დაიტენებოდა საკუთარი სისხლითა და ხორციით, არ აეცებოდა სხეული იმ ჯადოსნური დენით, ისევ არ ააგდებდა და გარეთ არ გამოხეთქავდა და ასე გაგრძელდებოდა დილაამდე. მერე, მერე დღეს, ნესიერად აღარც კი ახსოვდა — თითქოს უცხოპლან-

ეტელებმა მოიტაცეს იმ თავისიანი იისფრად აციმციმებული მფრინავი მათეობებით. სადღაც მიღმიერ სამყაროში, კოსმოსში თუ ასტრალში იყო საკრალური კარით გასული, რომელიც სინამდვილეში ეგვიპტურ პირამიდებში, პერუს ანდებში, ბერმუდის სამკუთხედში და ანტარქტიდის ყინულებში ჩაკარგულ ნაპრალებში კი არა, გოგოების თეძოებში იყო მიმალული, იქ იყო სამყაროს ყველაზე იდუმალი კარი, იქ უნდა გეძებნა...

მზის ამოსვლის შემდეგ კი ისევ ამ მტვრიან ცოდვილ დედამიწაზე ბრუნდებოდა, ისიც თუ მართლა ბრუნდებოდა, თუ ტყუილად არ დაატარებდა საკუთარ აჩეხილ სხეულს ნაბრძოლად, დაკანრულ-დაღწილი იარაღივით. იქნებ თვითონ დიდი ხნის წინ იყო სინამდვილეში დაკარგული იმ სამყაროს კარს აქეთ ან იქით. იქით თბილ, სისხლისფერ-შინდისფერი, საშიში სიმკვრივითა და თბილი ნეტარებით ამოვსებულ მათრობელად და მაცდურ სექსუალურ ასტრალში, ან აქეთ, მზით, ყინვით, მტვრით, ნვიმით, გამონაბოლქვით, სიგჟით, ომით, სიყვარულით, ვნებით, ღალატით, ნარკოტიკით, ალკოჰოლით, ტყუილით, სიკვდილით, მტრებითა და ძმაცაცებით შექმნილ დედამიწაზე.

ისევ ჩაეძინა. ძილშივე ანუხებდა საკუთარი თავი. ყველაზე მურტალი სწორედ ეგ იყო, წამთვრალევი ძილშივე რომ ახსენდებოდა აურაცხელი რაოდენობით ჩახეთქილი სასმელი, სინდისის ქენჯნა, სირცხვილი, საკუთარი ყბადაღებული და უშნოდ აჟიტირებული თავის გახსენება, როგორც ახლა ამბობენ ეს ბიოური „ტელევიზიონ-შიკები“, „წინასწარ დაანონსებული“ საყვედურები, სკანდალი და ორი ერთმანეთის გამომრიცხავი სურვილი, სასწრაფოდ დაეღწია ნატასგან თავი და ამავე დროს დაუძლეველი სურვილი, სასწრაფოდ დასცხრომოდა, ბოლომდე ეგრძნო მისი სხეული და მთელი დღეები დაუსრულებლად, ასე ამაზონის ანაკონდებისვით გადახლართულიყვნენ ერთმანეთში. მერე ისევ დაეძინა, მერე ისევ... და მერე ისევ! უცებ მიხვდა, რომ უკვე ერეკებოდა, წამოხტომა მოუნდა, მაგრამ ძალა აღარ იყო და ისევ სადღაც ჩავარდა.

ძილშივე ჩაჰყვნენ თავისი განთქმული მაჯლაჯუნები და ავი სულელები. თან ისე ცხადად, რომ ძილი კი არა, ცხრა კუბი მორფინი და ზედ სიკვდილიც ვერ უშველიდა. ნატასაც ეძინა, ოღონდ სულად, უცოდველი ჩვილივით და ამავე დროს მტაცებელივით, რომელმაც იცის, რომ მსხვერპლი მონადირეული ჰყავს და ვერსად გაქცევა. ველარსად ნაუფა — „იგუარა არ ფიქრობს. იგუარა იცის...“ მაინც ძილი იყო ერთადერთი გამოსავალი. იმ სიკვდილმისჯილი პატიმრის მდგო-

მარეობაში გრძნობდა თავს, რომელიც ყველაზე მეტად მოლოდინისგან იტანჯება, ალსასრულის მოლოდინისგან და იცის, გაქცევის ერთადერთ საშუალებად ძილი რჩება და შორეული სინათლის ხაზივით მკრთალი იმედი, რომ იქნება არც დახვრიტონ. ხომ ხდება არა სასწაულები?.. მომხდარა!..

ამ დროს, სიკვდილის მოლოდინისას, უფრო მიმზიდველი იყო ეს მუქი შინდისფერი, დურმანი, სექსით, გავარვარებული მზის მცხუნვარებით, უღრანი ტყის სიგრილითა და მხეცური ორგაზმებით ამოვსებული პლანეტა, რომლის დატოვებაც ასე არ უნდოდა და რაკი მოუნებდა და გარდაუვალი იყო, უკანასკნელ ძალას იკრებდა, რომ უცებ წამომხტარიყო, გავარდნილიყო და მოეხია.

უბნის ბიჭებთანაც ტეხავდა. გაუხურა საქმე. გამოუვლიდა მთვრალი ყიუხით, გინებით — ხან რაზე აუკრიფავდა, ხან რაზე. სულ შარზე იყო. უტარებდნენ. ერთხელაც ამოუვიდოდათ ყელში, კარგად და ხომიანად დაბეთქავდნენ და ღირსიც იქნებოდა. ძველი დამსახურებებისთვის უთმენდნენ, იცოდნენ, რომ მათიანი იყო, უღალატო, მაგრამ როდემდე მოუთმენდნენ.

განსაკუთრებით ერთ ამბავს არ უვინყებდნენ. ერთ მშვენიერ ღამეს, ჩვეულები-სამებრ, მთვრალი შექანდა ეზოში და პირდაპირ „არკასთან“ სიბნელები ჩასაფრებულ პოლიციის რეიდში ამოყო თავი. ოპერებმა ეგრევე ხელი სტაცეს. წინა დღეს თბილისში არაკომპეტენტისა და ფალიაშვილის ქუჩების კუთხეში, შუქნიშანთან, აი, სადაც ის უცნაური ქალი დგას, რომელიც წითელზე გაჩერებულ მანქანებს ფულს აწერს და ფეხით მოსიარულეებს კი ლოცავს, განხაურებული მკვლელობა მოხდა. მკვლელები და მოკლულიც მისი ქუჩაღები იყვნენ და ორივეს კარგად იცნობდა. არავინ იცის, რაღა მის ეზოში მოაწყვეს ჩასაფრება, მაგრამ შეიძლება სხვა ეზოებსაც დაარტყეს ალყა.

სტაცეს ხელი და საფუძვლიანი შმონის შემდეგ პირადობის მონშობაც მოსთხოვეს.

— რა გინდათ? აქ ეცხოვრობ, სახლში მივიღივარ, თუ არადა კომენდანტის საათია? როდის დანიშნეთ?

— რას გვეიაზვები, ბიჭო, ძან მაგარი ტიპი ხარ? — დაეძაბა პოლიციელი, — კაიფშია! — მიუბრუნდა მეორე პოლიციელი.

— არა, მთვრალი ვარ. მთვრალს და განაჩხერს ვერ არჩევ?..

— ბევრს ზღაბათ! — მუქარის ტონით უთხრა პოლიციელმა, — სახელი? გვარი?

— გიორგი ასათიანი.

პოლიციელი პატრულის მანქანისკენ შებრუნდა და მონაცემები კომპიუტერში შეიყვანა. მერე რამდენჯერმე დაეჭვებით შეხედა მანქანაში მოციმციმე ეკრანს და ეკრანზე ფოტოს. შემობრუნდა და ჯიბის ფარანი გიოს პირდაპირ სახეში შეანათა. გიომ თვალბეგავდა.

— მართლა პროფესორი ხარ, ბიჭო? — პოლიციელმა ფარანის შუქი სახიდან მოაცილა და სხეულზე აატარ-ჩამოატარა.

— ხო, — უთხრა გიომ.

— ქუჩის ბიჭს უფრო ჰგავხარ.

გიოს გაეცინა.

— რა გაცინებს? — პოლიციელი სულ უფრო მეტად ღიზინდებოდა.

— ქუჩის ბიჭები კიდეც მთელი ცხოვრება მეუბნებოდნენ, თავიდან დედიკოს ბიჭი გვეგონო!.. „ვროდებ ბილ ფრაერ, ნო ნე ფრაერ“, — მოხასიათდა თავისსავე ღადაობაზე.

პოლიციელი აშკარად დაიბნა.

— მერე შენ რას პასუხობდი? — ჰკითხა მერე.

— ვარ კიდეც დედიკოს ბიჭი-მეთქი. ჩვენ ყველანი დედიკოს ბიჭები ვართ, — უკვე ზედმეტად სერიოზულად ელაპარაკებოდა.

პოლიციელი დაეჭვებული უყურებდა. ნაძალადეგად და დაძაბული იცინოდა, დაახლოებით ისე, როგორც ქუჩის ბიჭები იცინოდნენ გიოს უცნაურ, თამამ, მოულოდნელად პირდაპირ და თავებურ ლაპარაკზე, თუმცა პოლიციელებისგან განსხვავებით მალევე უშმაკაცდებოდნენ და მერეც სულ ძმაცაცდებოდნენ. პოლიციელებთან კი ბავშვობიდან პრინციპულად და კატეგორიულად არ მეგობრობდა. თავის გაზრდილ, საყვარელ დეიდაშვილთანაც კი.



— კარგი, ნადი, თავისუფალი ხარ! — უფრო თავიდან მოიშორა, ვიდრე გაუშვა პოლიციელმა.

გიო ნელ-ნელა, ტაბათი დაიძრა. ორი ნაბიჯითაც არ იყო გაცდენილი პოლიციელებს, რომ უცებ ნაბიჯის შეუწყვეტლად ახედა განათებულ კორპუსებს და ხაფი ხმით ისეთი დაიღრიალა, ფანჯრებს ზრიალი დაანწყებინა:

— ეეჰეეეი, ძმებო!.. უბანში მენტების რეიდია, აქ ჩვენს ეზოშიც დაიხატენ. ვინც სახლებში ხართ, არ ჩამოხვიდეთ, ვინც აქა ხართ, სადმე შეტყდით.

პოლიციელები მოულოდნელობისგან ნამით გაშეშდნენ. გაშრნენ და დაიბნენ. ვიდრე გონს მოვიდოდნენ, გიო უკვე გარაჟებთან უხვევდა. რამე და ეგრევე შეტყებოდა, გაშეშებოდა და მერე ისე დაითესებოდა ეზოსა და გარაჟების ლაბირინთებში, ეშმაკიც ვერ დაენოდა. პროფესორის კვალობაზე მართლა მაგრა დარბოდა.

— აი, ეგ აღარ უნდა გექნა! — მოესმა გიოს იმ პოლიციელის ხმა, რომელმაც პირველად გააჩერა და დაშმონა. ისე ამოიხაველა, ეტყობოდა, მაგარი გაცოფებული იყო, მაგრამ დრო უკვე დაკარგული ჰქონდა.

— რატომ არ უნდა მექნა, რა ფეხებს დამაჭამო რო?..

და პირველსავე შესახვევში გაქრა. მერე ნატას კარზე აკაკუნებდა. ერთი სული ჰქონდა, როდის გაუღებდა, რომ ლოგინში შევარდნილიყო და ატრაბახებულისყო, როგორი მაგარი ბიჭია, როგორ გადაუარა „ძალობას“ და გამოესარჩლა უბნელებს.

კარიც გაიღო და გიოც ისე შესხლტა სახლში, როგორც ციხე-სიმაგრეში.

ამას გარდა სხვა ბევრი საქციელი და სიკეთეც ახსოვდათ უბანში. თბილისი ძველი ქალაქია და მისმა ქუჩებმა ჩამახსოვრება იციან. ავსაც იმახსოვრებენ და კარგსაც და მერეც, აღარასოდეს აღარ ივიწყებენ. მაინც ზედმეტები მოსდიოდა. თვითონაც გრძობდა ამას და განიცდიდა. ამიტომაც ახლა, ამ დილას, თავის ციხე-სიმაგრედან უნდა გაავარდნილიყო და მთელი უბანი ალყასავით გაერღვია.

ნატა გადმობრუნდა, ჩაეხუტა, გრძელი ფეხები ფეხებში ჩაუხვია, თვალები გაახილა და პირდაპირ შეხედა.

გიოც იძულებული გახდა, თვალები გაეხილა. ახლა ისინი პირდაპირ უყურებდნენ თვალებში ერთმანეთს. მდუმარედ და თვალმოუცილებლად უყურებდნენ.

გიომ დუმილი დიდხანს ვეღარ აიტანა, საბანი გადაიხადა და ქვემოთ ერთმანეთში ჩახლართულ ფეხებს ჩაახვია.

— ნახე, რა ლამაზები ვართ?..

ნატა მხატვარი იყო — კარგი მხატვარი. ინგლისში, იტალიაში და ისრაელში ჰქონდა გამოფენები. შაგალი ევასებოდა — მარკ შაგალი. გიოს — მოდილიანი და ვან გოგი. ვან გოგის ცნობილ ბათინკებს რომ უყურებდა, სულ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საკუთარ პორტრეტს ხედავდა. და ლეკი არსენი ტარკოვსკის გენიალური ლექსი ახსენებოდა ამ ნახატზე. ნატა კი მარკ შაგალზე აფანატებდა და ამის გამოც ხოცავდნენ ერთმანეთს. როგორც ყველა მხატვარი, ნატაც ესთეტი იყო და ერთმანეთში გადახლართული ქალისა და კაცის გრძელი ჯოშიანი ფეხების ვიზუალური ეშით შეიძლებოდა მისი დაბნა და მოთაფვლა, მაგრამ ამ დილას არ გაჭრა, არაფერი გამოუვიდა. ნატას თვალები საყვედურით და ნუხანდელი გიჟური ლამისა და ველური სექსისგან გამოყოლილი ნირვანით ჰქონდა საესე.

— რა იყო ეს, რა დღეში იყავი გუშინ?.. რა ამბები დაატრიალე?.. ღრიალებდი, იგინებოდი! ფუჰ, ცხოველი ხარ?.. მეზობლები უკვე თვალს მარიდებენ... — ნატა ჩხუბობდა, მაგრამ ახლაც კი სიყვარულისაგან გათანაგული, ვნებიანი ხმით ლაპარაკობდა.

გიოს უცებ ისევ საშინლად მოუნდა ნატა, მაგრამ მიხვდა, რომ ახლა გამორიცხული იყო. მართლა ძალიან გაბრაზებულიყო.

უცებ ეგრევე ნახევრადმძინარე და გათიშული წამოხტა, შარვალს ეცა და ფართხაფურთხით დაიწყო ჩაცმა.

— ნავედი, — თქვა, — ნავედი, — გაიმეორა ისევ, თითქოს თავს იხსენებდა და არ სჯეროდა, რომ მართლა მოახერხებდა ამ მენამულისფერი სამოთხიდან თავის დაღწევას, როგორც ტროას ომიდან დაბ-



რუნებული ითაკის მეფე ოდისევსი თავისი მოჯადოებული კუნძულიდან. ისევე როგორც ნებისმიერი რელიგიის ნებისმიერი სამოთხე, აქაურობაც ძალიან ნაავაგვად ხაფანგს.

— სად მიდიხარ? ვერსადაც ვერ ნახვალ! გავარდა თავის ბოძებთან! — ნატა ნებივრად, მთელი ტანით გაიზმორა, — დამაცადე, ავდგები, ყავა მაინც მოგიდულო. არაფრის ღირსი არა ხარ, მაგრამ ყავა მაინც დაგაღვივებო.

გიო უკვე ჩაცმული იყო.

— ნავედი! — თქვა მესამედ.

ნატა მშვიდად და გულგრილად უყურებდა. ეძინებოდა.

— ნადი! ოღონდ აღარ მოხვიდე!.. ნადი და აღარ მოხვიდე.

— კარგი, აღარ მოვალ! — გულწრფელად შეპირდა გიო.

— მართლა აღარ მოხვიდე. ნადი და აღარ მოხვიდე, — წყევლასავით გაიმეორა ნატამ.

გიომ კარი გააღო და ეზოში გავარდა. ეზო სავესე იყო დილით სულ ახლახანს ამოსული ახალთახალი ჩახჩახა მზითა და ნათელით. უბანში ბიჭებს ხელის აწევით მიესალმა და ნელა გაუარა წინ, რომ ნუხანდელი ღამის შემდეგ თუ ვინმეს რამე უნდოდა, შეხმანებოდნენ. როგორც ჩანს, არც ამათ ჰქონდათ მისი და მოსაწყენი გაჩვენების დრო, თავი და ნერვები. გიომ გაზაფხულის ღრმა, ხოშთან ცაზე გამოდგმულ, მცხუნვარე მზეს ახედა. „არკიდან“ გამოვიდა და თავისი მშობლიური ბრძივები გაახსენდა, როგორც სრულიად სამართლიანად მოიხსენიებდა მათ ნატა და მათ შორის უპირველესს, აფხაზეთის ომის ვეტერანს, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერს, სამჯერ დაჭრილსა და სოხუმის ზევით, შრომა კამანის გზაზე, ბრძოლებში ცოცხლად ჩამარხულ და მერე ხელებით ამოთხრილ გოგა ჭყონიას დაურეკა, რომელიც ყველა უბედურებასთან ერთად მაგარი პოეტიც იყო.


— ჭყონი!.. — პირდაპირ მობილურით საშველივით დაუძახა გიორგიმ.

ცალ თვალთან ერთად გონებაც დამიბნელდა. ის სალად დარჩენილი თვალიც ძლივს გაავსილედ და ნახევარ სახეზე ჩამოფარებულმა სიბნელემ დამარწმუნა, რომ საბოლოოდ დავბრმავდი. სიმწრისა და მრისხანების შემზარავი ხმა აღმომხდა. ტკივილისაგან და მრისხანებისაგან გონება ნამერთვა, ხმალი ვიშიშვლე, ჰაერში დავატრიალე და ცხენი გავაჭყენე. ხმაღს ისე გააფრთხილეთ ვატრიალებდი, ახლოს ვეღარავინ მეკარვოდა, ვერც მტერი და ვერც მოყვარე. სიშმაგემ შემიპყრო და პირდაპირ მტრის რაზმში შევვარდი. თუმცა სინამდვილეში მამიდაჩემი ხადიჟათის ყიშლაღელს ნურ მუჰჰამად ბანის ვეძებდი ცალი შერჩენილი თვალთ, რომელმაც მეორე თვალი მათრახის ასე მოულოდნე-

იმეორებენ ხშირად მოხუცი ბრძენი აღსაყალიბები — „თოკი გრძელი ჯობია და ენა მოკლეო...“

პატივცემული ჰაქიმის ჰაფიზულა დურანნაჰმადის ნებას დავეყვი და ჩამეძინა. ძილშივე ვგრძნობდი, როგორ მტებდა ჭრილობები და ყრუდ, აუტანლად მტკიოდა თვალი. სულ სხვადასხვანაირი ტკივილები იყო, თან ერთდროულად. ბრძოლაში მიღებული ჭრილობები ძალიან მტკიოდა, მაგრამ ტკივილთან ერთად თითქოს სიამოვნებასაც ვგრძნობდი, ვამაყობდი პატიოსან ბრძოლაში მოყენებული ჭრილობებით, თუმცა ვერც ერთი მათგანის სიმწვავე ვერ ვიგრძენი, ცალკე თვალის ტკივილისგან გაგიჟებულმა და ცალკე ხმლის ქნევით გახურებულმა — მხოლოდ მოგვიანებით მომანვა თბილი სისველე ჩამოღვრილი სისხლისგან. თვალის ტკივილი კი სულ სხვა იყო. ტკივილის ყოველი წამი უფრო და უფრო მიმდგრებდა შელახული ღირსებისა და შეურაცხყოფის გრძობას და ეს გრძობა, ტკივილი და წყენა გაცილებით უფრო აუტანელი და მტანჯველი იყო, ვიდრე ჩემი ჭრილობები და ამოთხრილი თვალი. მერჩივნა, ყველა კიდური მოეკვეთათ, ხელ-ფეხი დაეხიათ, ორივე თვალი ამოეთხარათ და მერე კი წყეული ველური მონღოლებივით ხერხემალში გადავემტვრიე ოღონდ მტერს და არა ჩემებურს, მამიდაჩემის და ჩემი თანამებრძოლი მამიდაშვილების მშობლიური მინა-წყლიდან გამოსულს, რომელთანაც, ვინ იცის, რამდენჯერ მითამაშია ბავშვობაში — ახლა კი მოსაკლავი გამიხდა. თან ისე გაქრა და გადაიკარგა, ვეღარც დავლანდენი უცხოტომელებს ხომ არ გაყავა? არა, ისინი არ მიიღებდნენ და არ გაიყოლებდნენ უცხოთ. იქნება ტყვედ წაიყვანეს ან სულაც მოკლეს... ამ ფიქრმა შევბა მომგვარა. იქნება სადმე დაკარგეს, ან სულაც სადმე ჩამაღლდა და მე აღარ გამიხდა მოსაკლავი? უცნაური იყო, მაგ მოლაღატე ყურყვითელა ტურის ხსენებაზე საოცარი, აუხსენელი სისუსტე მეუფლებოდა, მუხლები და მკლავები მიდუნდებოდა და მკერდში ისეთ გამყინავ და ამოლახნულ შიშს ვგრძნობდი, მთელი სხული მიკანკალავდა. იქნება მართლაც ნათრიეს ტყვედ გაგუღული მაჩვივით ქამანდზე გამობმული, ან სული ამოხადეს? აბა, ასე სად გაქრებოდა? — ვფიქრობდი იმედმოცემული და თან ვცდილობდი, კანკალი შემემაგრებინა. ჩამეძინებოდა, ძილშივე მახსენდებოდა ყველაფერი და ელდანაცემივით დაფეთებული ვიღვიძები. უკვე გამოღვიძებულზე თავიდან მახსენდებოდა და ცივი ოფლი მასხანდა. „რატომ?“

„რა დავუშავე?..“ ვერაფრით ვაღწევდი ამ კითხვებს თავს. ვანყენინე რამე? იქნებ ყივჩაღების ველებში, დემთო-ყოფჩაღში არნივებით შევღებულ საიგავებზე, კანჯრებზე და მელიებზე ნადირობისას გადავანყდი, პურძვირობა გამოვიჩინე და სათანადო დახმარება არ აღმოვუჩინე? ან დოღში ცხენის ჭენებლისა ჩამოვიტოვე და ჯავრი გულში ჩაიდო?.. ან ჯირითთი? ან საერთო გობიდან ბუბარმაკის ჭამის დროს მისი ლუქმა მივითვისე?.. ვერაფრით ვიხსენებდი. „რატომ?“ „რა დავუშავე?“ ვინ იცის, მერამდენედ ვეკითხებოდი საკუთარ თავს ძილურაწამი ჩავარდნილი. ეს კითხვები მანუხებდა, არ მასვენებდა. ნარმოვიდგენდი ხან უკვე მომაკვდავს და სულთმობრძავს, ხანაც მხრებგათოკილს და სულ სხვადასხვა პასუხს ვიღებდი მისგან. თუმცა ყველაზე მეტად მაინც ერთი პასუხი ჩნდებოდა და მართლაც ჰგავდა. ჩემი გამსკდარი და სახეზე ჩამოღვრილი თვალი არ მაძლევდა მოსვენებას, რამდენჯერაც მარცხნივ გავიხედავდი, ჩემს თვალზე ჩამოფარებულ სიბნელეს შევყვებოდი და ჩემს ნახევრად დაბნელებულ სახეს დავინახავდი, სიმწრისაგან ტრამალის მგელივით შავი მინის ჭამას ვინყებდი და როგორც საშველს, ისე ვეძებდი ხელის ცეცებით ჩემს გორდა ხმაღს. თუმცა, ამავე დროს სწორედ მაგ ბრძოლებში მივხვდი, როგორც პირველად მოვკალი კაცი და დავლიე ადამიანის, თუნდაც მტრის, სისხლი, რომ მკვლელობა, თვით უცხოის და მტრის მკვლელობაც კი და მით უმეტეს შენიანის, ადამის შვილის, მკვლელობა და მისი ყოვლადმოწყალე ალლაჰის სამსჯავროზე შენი უსუსური ნების მიხედვით დროზე ადრე უსზავნა, სხვა არა არის რა, თუ არა თვითმკვლელობა, რომელსაც ყველა ჯამათსა და თემს ასე მკაცრად გვიკრძალავს ჩვენი ერთადერთი შემოქმედი და დამბადებელი მაღალი ალლაჰი.



ირმა შიოლაშვილი

27 სექტემბერი

— მაშინ, ოთხმოციან წლებში, სოხუმში ვიყავი მწერალთა ყრილობაზე და აფხაზეთიდან ბევრი ქრელი მოგონება წამოვიყოლე... — მეუბნება აღმოსავლეთ ბერლინელი პოეტი ქალი, რომელიც მხოლოდ ერთხელ იყო კავკასიაში. — მართლა? — ვიოცებ და ენის წვერზე მადგას, რომ დღეს 27 სექტემბერია, რომ დღეს ჩვენი დამარცხების სექტემბერია, მაგრამ არ მიყვარს დამარცხებებზე ხმაბლად ლაპარაკი და ვყლაპავ სიტყვას, ენის წვერზე უიღბლოდ მომდგარს. რიცხვი 27 ჩადის ჩემს ფილტვებში, ტყვიასავით დნება და აღვიძებს 25 წლის წინანდელ ხველას, რომელიც უნივერსიტეტის ბაღში, პეტრე მელიქიშვილის ძეგლთან, აგვივარდა მე და ჩემს ჯგუფელებს, როცა გავიგეთ, რომ სოხუმი დაეცა! ჩვენ გვეცვა იმ დღეს დახეული ჯინსები (მეტი მაინც არაფერი იშოვებოდა იმ დროს), ვიყავით შემოდგომისფრად ლამაზები და სევდიანები და ვაზივით ვეხვეოდით ერთმანეთს, და ვაზივით ვტიროდით, რომ ვერ გადავარჩინეთ აფხაზეთი, რომ აფხაზეთი ახალგაზრდულად გულუბრყვილო ხელებში ჩაგვაკვდა!

ჩემი ავლანელი ბოგოჯი

ავლანელ გოგოებზე მინდა, მოვყვე — ჩემს თავსაფრიან ავლანელ გოგოებზე, ქაბულში რომ დაიბადნენ და ჯერ კიდევ თოთოებს თითი დაუქნიეს მამებმა: გოგო ხარ და შენი ხმა არ გავიგოო... ეს მათმა თვალებმა აირეკლა და როცა მიყურებენ, მე სასონარკვეთილ ჩვილს ვხედავ მათ თვალებში! როცა მიყურებენ, ვხედავ, როგორ შენატრიან ჩემს ქართულ სიტამამეს და გერმანულ თავისუფლებას, ჩემს ლამაზად შეჭრილ თმას და ტანზე გამოკვართულ კაბებს... ალბათ ხანდახან მათ ოცნებას ვგავარ, ხანდახან ჯავრს ვერასრულებული ოცნებისადმი — რომელიც ძალიან ღრმა და მგრძობიარეა.

ამსტერდამი

როცა ძალიან გამიჭირდა, შენი სიყვარული დავიფერე, გავხსენი წარსულისკენ ამოჭრილი ფანჯარა და ნახევრად სიბნელეში დაგიწყე ძებნა, თან დუმილით გიყვებოდი, როგორ მინდოდა, ვყოფილიყავი ოცი წლის წინანდელ ამსტერდამში, სადაც შენს სიყვარულში შემეპარა ეჭვი... ნეტავ გადამიყვანა ოცი წლის წინანდელ ამსტერდამში, რაღას არ შევცვლიდი: შენს ნათქვამ „მაცადეს“ არ დავიმახსოვრებდი, შენს ნათქვამ „ბევრი ხარ“ არ დავიფერებდი, არც ჩემს სანთლის ქალობას დავიფერებდი, არც ჩემს აკანკალებულ მუხლებს...

ამოვჭრიდი იმ წუთს, როცა მითხარ: „მაცადე, ახლა ამ მუზეუმში ხელოვნური იქნება ჩემი სიყვარული, ამ ქუჩებზე ვინრო იქნება ჩემი სიყვარული, ამ მდინარესავით წარმავალი იქნება ჩემი სიყვარული, ახლა მზად არ ვარ, რომ ხელი ჩაგკიდო...“ ნეტავი გადამიყვანა ოცი წლის წინანდელ ამსტერდამში, ხელზე ხელს მოგიჭერდი და გეტყვოდი: ამდენს ნუ ფიქრობ, ბიჭო!

*** მაგარი რამეა პატიება, როცა ძველ მტერს ხელს გაუწვდი და ყველაფერს დაივიწყებ. რალაცნაირი მოდიხარ სახლში — შავღვინოდალეულივით, გაბრუებული ბედნიერებით, გაბრუებული ხელის სიდიდით, რომელიც მას გაუწოდე და ამ უესტით გამოხატე, რომ დამთავრდა მდუმარე ომი.

მეგობრის გულე

რა არის ლალატი, თუ არა ამოყირავებული სიყვარული, რომელსაც ერთ დროს შუა გზაზე ხელი გაუშვეს და ნაიქცა, და ვერასდროს ველარ წამოდგა, ვერ გაიმთელა გატეხილი ხერხემლის ძალა. არადა, ისე საწყალია, უსიტყვოდ ხავის სიმღერებს ჯერაც არარსებულ სურვილებზე, სიმღერებს ჯერაც არარსებულ საყრდენებზე და გადაყვლეფილ ხელისგულებს გულდაგულ მალავს.

არადა, მისი ხელისგულები ჰგვანან დამჭკნარი ყვავილის ბოტკოს — გულის გულში იტოვებენ იმედის სხივებს. თუმცა მაინც უცნაურად იმზირებიან — სევდიანად — ვერშემდგარი სურვილივით ვერშემდგარი საქონილო ღამესავით, რომელშიც საქმრომ უღალატა ჩემს მეგობარს ძველ სიყვარულთან და ბნელ გულში ეკლად ჩაირგო წარსულისაგან დაყვლეფილი ხელისგულები.

მეც ვდგავარ და ცხოვრებაზე გულაყრილი ისე ვილიმი, როგორც ჩემი მეგობარი, რომელსაც ხელში უდნებოდა თავისი ამოყირავებული სიყვარული, თავისი ნაქცეული სიყვარული, თავისი ხელისგულეგადაყვლეფილი სიყვარული. იდგა ორპირ ქარში და ვერ ხვდებოდა, რომ ლალატისგან იშენებდა ხელებში ბუდებს.

ომი. ავვისტო. იტალია.

— დაინყველოს ყველა ომი! — ვეუბნები ჩემს ცხოვრებას, რომელიც სწორედ ავვისტოში მამოგზაურებს იტალიის ძველ ქალაქებში, თავგზას მიბნევს და Santa Maria-ს ბაზილიკის მეტყველ კედლებზე მოზაიკით მიჭრელებს თვალეებს. — დაინყველოს ყველა ომი! — ვამბობ ქალაქ აქვილიას ჯარისკაცთა სასაფლაოზე, სადაც ჭაბუკ ჯარისკაცის ძეგლით ცდილობენ, შეამსუბუქონ ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის სევდა, სადაც კედელზე ამოტვიფრულ ლექსით ცდილობენ, უამბონ დედებს, რომ მათ შვილებს ჭრილობები ღმერთმა მობანა.

მე კი ვფიქრობ, — ნეტავ სად დგას ღმერთი ომში, სად იმალება, ჭაბუკების მხრების უკან? სიკვდილის უკან? რომელი თვალთ იხედება, ან რომელი თვალთ ამოწმებს სიკვდილის სასწორს, ან ჩამომწყდარ სიკვდილის ლოდებს. სად არის ღმერთი ომის ცეცხლში, რატომ არ იყვანს ხელში ჭაბუკებს, როცა საწყლად იწყებენ ბოდვას დედაზე, ღმერთზე, სიყვარულზე, თავდადებაზე და იმ მინაზე, რომლის მხარზეც თავები უდევთ. სად არის ღმერთი, რატომ იცდის, რატომ არ მოჰბანს ჭრილობებს შვილებს სააქაოს, იქ რატომ უცდის...

დაინყველოს ყველა ომი — ვეშაპივით განოლილი დედამინაზე აქვილიას საუკუნის სასაფლაოდან მუხატვერდის თერთმეტწლიან სასაფლაომდე.



დედა

ძველ ალბომს ვშლი და გახსენებ, რომ იყავი ქალთაზე, ვიცინი და გავიწყდება, წლები რასაც რომავენ... თვალეებს ხრი და შენს მაგივრად გადაცრეცილ კალთაზე ფერმიხდილად ილიმება ბამბაზიის შროშანი...

*** დროდადრო თეთრი მეზობელი — დაეინყება შემოაღებს ხოლმე ჩემი პატარა ჯოჯოხეთის კარს, სადაც მე, უშენობა და მოგონება ვცხოვრობო... ის თავისთან, სხვა სინათლეში გვეპატიჟება... ჩემი უარი არ მერყეობს. ...და მე არ მინდა სხვა ნეტარება, სხვა სამოთხე, სადაც შენ არ ხარ...

*** ეს თებერვალიც ნაბაკუნდა წვიმის ქუსლებით... და გაზაფხულის პირველი დღის მზე სულ პირველ კვირტთან ხარობს პირველი დღის უფლებით.

*** სადა ვარ ახლა? დღეს უშენობა იქნება ღირდეს ვადის არევად... როგორ ვარ? — არა ჩვეულებრივად, არც ცუდად, კარგად, — გადასარევად. რა გითხრა? — ის, რომ ნერილი ჩიტად გაუკრთა ზეცის სანაპიროებს?... რომ ქარი ფოთლის ხელისგულიდან მაკითხებს წვიმის სახეპიროებს... რომ უკარფანჯრო სახლში დავსახლდი, შენი სარკმლიდან შუქის მპარავად და რომ მალიმალ მალალი სევდის ჭერი მახსენებს, რა პატარა ვარ...

*** რესტავრირებული დგას კუთხეში ძველი კარადა. ბებოს მზითევი. უგულოდ. უძვლოდ. ალბათ სულიც მაშინ ამოხდა, მესხიერების ბოლო მტვერი ლაქით როცა ამოუგლისეს. აღარც მაქმანის ძაფი გდია სადმე. არც ქინძისთავი.



დგას ასე, ფიქრებჩაცეცენილი. სასომიხდელი. და მხოლოდ მაშინ, ძველი წერილების უფრას რომ ვალებ, ის თვალებს ახელს.

კარგი ვიქნები დღეს! შემოვირიგებ მტერს! სიკეთეს გავცემ ბევრს! ღვინოს ჩაეძახებ ქვევრს! მადლს გადმოვადენ კოკას! სილაგანწული ვხურდე, არ დაუბრუნებ ხურდას! გამოვსწორებ დღეს! და მეფეჯერება დღეს! და ამ ყველაფრის ვალს მე გადავიხდი... ხვალ.

თიხა, ყურად მოსაბმელი, მექოთნის ხელს მოისრისა. მშვილდი, ლარით მოსადრეკი, ნათალია მოისრისა. მადლს თუ გასცემ, რას დაეძებ, გასჩხერია კისერს ვისა. ღმერთმა ღმერთისა ხომ მიიგო, კეისარმაც — კეისრისა.

თავდაღმართში მიდიოდა „არა“, გვერდით ჩუმად მიჰყვებოდა „ვერ“. „კი“ კი აღმართს მიჰყვებოდა ჩქარა, ველარავინ ენეოდა ჯერ. გამწყდარ სიქას თავი ედო იქვე და სწორ გზაზე მიდიოდა „იქნებ“.

თუკი ოდესმე მოინადილებ, რომ გაიგო, რას გრძნობს მინა, როდესაც არენს... ნუ წარმოიდგენ დაბადებას ტბების და ზღვების, ხეების, ქვების, ანდა, თუნდაც ბუმბერაზ მთების, უბრალოდ ერთხელ, გაზაფხულზე უნდა შეესწრო მზემიჭერილ მინის მუცლიდან ლურჯთვალა იის ამოკივლებას...

წერდა ფოთლებზე, წვიმაზე, ქარზე... და არ დაჰქონდა მუზასთან არზა თხოვნით ჩინის და ეპოლეტების, რაც სხვა პოეტებს მოსვლიათ აზრად. და ასრულებდა როდესაც სათქმელს (ბეჭედი იყო ეს ჭეშმარიტი) — აბზაცის ბოლოს წერტილის ნაცვლად უფრინდებოდა პატარა ჩიტი.

ყველაფერი ასე იწყება, რომ წვიმას ყველგან ერთი სუნი აქვს, ზღვა ზღვაზეა მიჯაჭვული, როგორც პრომეთე, მეზობლის ძალი საკვებს ისევ ჩემგან იპარავს. ღმერთის ცოლივით შუბლშეკრულ დილას, ჯერ ისევ ვითმენ თავს და რუტინას, ანწყო ისევ რიგზე არ არის. ვიცი, რა ჰქვიათ არწივის შვილებს, მაგრამ არ ვიცი, ჩემი სამარე თუ არის სადმე. „ნუ მიეყრდნობით“ — მეტროშიც კი იცვლება კარი, მე არასოდეს არ ჩავსულვარ „გოცირიძეზე“ და მიხარია, რომ არა ვარ ფუჭი და მდარე, რელსებზე მედო ფიტული და ვერ დამინახე, რადგან არასდროს გიჭამია ბროწეულები, წელში მოხრისას რომ არ სძვრებათ გვირგვინი თავზე. ისევ რუტინა, უბედური, უკაპილარო, წვიმა არ იცვლის სუნსა და პრინციპს, ისევ ცა უმზერს ზღვასთან იადონს, მეზობლის ძალმაც ჰპოვა სიმშვიდე. მე, ოქტავიდან ოქტავამდე მოკლე ხელივით გადაჭიმული, თეთრ კლავიშებზე თითებს არ ვაწყობ, თეთრ კლავიშებზე მიდევს სხეული.

გამო ნაქარხლის

ღამეა, ამ დროს არც ერთ საათს არ აქვს დატვირთვა, ღამეა, ჩემ წინ აღმოდებულ ურჩხულებს ვითმენ, გამოვიყენე შენი მკლავი შიშის საკიდად, დარდის სახიდად შეგანაცვლე პირჯვარს და ქრისტეს.

ურჩხულებს სძინავთ, როგორც მკვდრებს და გახრწნილ აჩრდილებს, და ყოველ დილას ჩემი გული სარკოფაგდება, შენ სულ იქნები ჩემს სუნთქვასთან ახლოს, საჭირო, ისე საჭირო, როგორც ლერწამს სჭირდება ძალა, რომ არ მივიდეს ვინმე ქურდი, ღამით არ მოჭრას, რომ არ წაიღოს მახინჯმა და ბოროტმა ქარმა.

კიდევ ღამდება, ისე ნელა, ისე საშინლად, საზარელია, შენს ადგილას ჭინკები ხტიან, უნდა ნავიდე, არ მოვკვდები, არა, შადიმან! სამარხი არ ვარ, ფარაონებს რა უნდა ჩემში. რადგან, აქ, მხოლოდ ალუბლების ნერგები ყრია, რადგან დორბლიან, აღმოდებულ ურჩხულებს ვითმენ, უნდა ნავიდე, სადაც მხოლოდ იმ ხეებს ჭრიან, რითაც იქმნება ფურცლები და ფურცლებზე ღმერთი.

მე დამიჯერე, არც ერთ კლოუნად არა ღირს მეფე და ცნობილ ჯამბაზს როცა მის წინ დანით დამჭრიან, მხოლოდ შენ შეძლებ ჩემ ტუჩებზე ღიმილი ნახო, იქ ნუ დამტოვებ, ატმის ხესთან დამდე, შადიმან.

მე შენ მიყვარხარ. შემურდება ყველა დედოფალს და ყველა მეფე განრისხებულ მზერას მოგაპყრობს, მერე ვერავინ დაიბრალებს ჩემზე მეფობას, ჩემზე ღმერთობა მიჩუქნია შენთვის ჰელადოს. მხოლოდ შემეხე ერთხელ და მორჩა, ცოცხალს ნუ მომკლავ, მკვდარს ნუ დამტოვებ, უშენოდ ბრმა ვარ და ყველას მონა, შენიანად კი მთა-ბარს ვბატონობ.

მაგრამ დასრულდა, ვტოვებ ქვეყანას, გტოვებ ამარა თბილისის ქარის, მომენატრება შენი ჭალარა, ვით დათოვლილი მთისა და ბარის ურთიერთობა — კავკასიონი. ზღვა ზეცაზეა მიჯაჭვული ამირანივით და მე მივდივარ, ზურგზე მანევს მთა და რიონი. ღმერთის ნარჩენებს ვაგემოვნებ, ჰო, მას გემო აქვს, გემო სხეულზე ჩამომდნარი წვიმის და თოვლის და მისი სუნი უკანასკნელ იმედად მიმაქვს... ურჩხულებს სძინავთ, ურჩხულებს სძინავთ, ურჩხულებს სძინავთ...

ფეხი წამოვკარი შემოდგომას, წამო, კარი არი სანამ ხელგაშლილი, ხოლო ღამეები მხნედ და თარაზულად, გულში ჩაიკარი ყველა სატკივარი, მერე დანექი და იქით გადაბრუნდი — სადაც სიმართლეზე ვინმე დაგიფიცებს, სადაც არა სწამთ და მაინც პირჯვარს გწერენ, როცა ზურგით მიგაქვს მათი იმედები... ფეხს არ დავაბიჯებ შემოდგომას, სუნთქვაც სხვაგვარი გვაქვს მიტოვებულ ბავშვებს, როგორც ფიქრები და როგორც სურვილები, მამის მკლავები რომ არსად გადაგარჩენს,



მერე ნებდები და აღარ ელოდები დიდ ხელს, რომელიც წაიღებს ტკივილს, რომელიც დადგი ნაძვისხის მსგავსად, რომლის ტოტიდან ჩამოყრილ წვიმებს ფეხის გულეზით დგები და გტანჯავს შიშვლად და გცივა, რადგან იცი, რომ გაზაფხულამდე ისიც დაგტოვებს. ასე მარტოობ საყვარელ კაცთან, რადგან იცი, რომ გაზაფხულამდე ისიც დაგტოვებს და ყოველ ჯერზე ეხუტები, თითქოს კვდებოდე, თითქოს მოვიდა იმიტომ, რომ დიდ ჯვარზე გაცვას. და ფეხნამოკრულ თებერვალში, მამები როცა პილატეს მსგავსად იბანენ ხელებს, მათი შვილები სხვის მამებზე ვიგონებთ ზღაპარს, რომ გადავრჩეთ და უკეთესი გვყავდეს შვილები.

ჰო, არაფერი ეშველებათ გატეხილ ბავშვებს, გატეხილ ბავშვებს არ გვირჩება შრამები მუხლზე...

ნუ გეშინია... ეს სიბნელე ღამეა მხოლოდ, ზამთარგამოვლილ ფოთლებივით დახვრეტილ ფარდებს განვეს ვილაც და დარწმუნდები, რომ ლოგინის ქვეშ არავინ ცხოვრობს, რადგან ურჩხულებს ბინა მოსწონთ (ლოგინის ზემოთ) — ადამიანთან.

ნანამებ, ნანვიმარ დაქანცულ ფოთლებში ჩურჩული: სად არის... სად არის... სად არის. ნასვლას და დარჩენას ერთმანეთს ადარებ, ადარდებ — არავის, არავის არავის.

კარავი გაშალეს დამტვრეულ ტოტებმა, ხშირია სუნთქვა და ჩერდები დრო და დრო, აქ არის ლექსებიც, ნახატიც, ნოტებიც, და ერთხელ შეხება მაინც რომ მოასწრო — იცოცხლებ. იცოცხლებ. გაძლებ და გაუძლებ, ნაბიჯებს ერთად და ნაბიჯებს ცალ-ცალკე, და სველი ტუჩებით სამყაროს აუწყებ, ბუნება იმედს რომ არასდროს არ დალევს.

და ახლა ნანამებ ნანვიმარ ფოთლებში, ვუყურებ ჩემს თავს და ვჩურჩულებ: სად არის... მე ძირს ვგდევარ და სამყარო მაბიჯებს, გარშემო არავინ არ არის, არ არის...



დასასრული

— მაპატიე, მაპატიე, გთხოვ! ჩათვალე, არაფერი მიკითხავს, — მის ხელებს ვეხე-ბი და უხერხულობისგან თვალეებს ვხუჭავ.

— შენ უყვარხარ... — ნესის თვალეები ცრემლებით ვესვება, — ჰო. მეც მინდოდა, გცოდნოდა.

თავს ვუფრთხილდები და დანარჩენ შეკითხვებს ჩემთვის ვიტოვებ. ისედაც მშვენივრად ვიცი, სულ რომ არ შეხედნენ ერთმანეთს, ნესი ჩაბნის ფანჯარას არ დაგ-მანავს, დათას კი გაუჭირდება ამ ყველაფერისგან თავის დაღწევა. ნესის მიმა-რთ განცდილი ყველა შეგრძობება, მათ შორის სიძულვილიც და აუხსნელი მიზიდ-ულობაც, წამიერად ქრება და რალაც ახა-ლი ჩნდება — გაუცნობიერებელ მიზეზთა გამო თანაგრძობით ვივსები. თუმცა ბო-ლომდე მაინც მიჭირს იმის დაჯერება, რომ საღამოს ერთად გატარების იდეა აქამდე დაფარული გამჭვდავნებას და დათაზე სასაუბროდ გამომწვევას არ გულისხმობ-და.

რამდენიმე წუთის განმავლობაში როიალს მდუმარედ ვუსმენთ, ვმშვიდდებ-ით, მერე ოლივერ საქსის ნიგნზე ვაგრ-ძელებთ საუბარს და საღამოს გადასარჩე-ნად ნესის ძველ ამბავს ვუყვები. სკოლის დროს ერთი ამერიკელი „პენ პალი“ ანუ კალმის მეგობარი მყავდა, რომელსაც ყოველი მიწერისას ვახსენებდი, თავისი ფოტოები გამოევჩავენა. თუმცა უკა-ნასკენივით მიღებულ წითელ კონვერტშიც მხოლოდ კაქტუსებიან ფურცლებზე დაწ-ერილი წერილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ წლების შემდეგ ვერცერთ სოციალ-ურ ქსელში ვეღარ მივაგენი კალიფორნი-ელ კასანდრა შუბერტს, დღესაც დაწვრილებთ შემოიძლია მისი აღწერა და ვერავინ გადამარწმუნებს, რომ საფეთქლებთან ნაადრევი ჭალარა არ ჰქონდა გარეული ქერა თმაში.

ამ ამბის გახსენებამ ორივე ძალიან გაგ-ვართო და საღამოს გადასარჩენად თავმ-ესაქცევიც ერთად მოვიფიქრეთ. ერთ-მანეთისთვის უცნობი ადამიანები უნდა დაგვესახელებინა და გამოგვეცნო, როგორ გამოიყურებიან ისინი. გარეგნო-ბის აღწერის შემდეგ კი ფოტო უნდა მოგვეძებნა და გვეჩვენებინა. ნესი ნობე-ლის პრემიის ლაურეატებს მიჰყავს, მე ჩვენს უცხოელ თანამშრომლებს მსოფლიოს სხ-ვადასხვა ქვეყნიდან. ამოცანას ერთ-მანეთზე უარესად გავართვით თავი — სა-გამოცდო პირთა ნამდვილი ასაკის, სქე-სის, კანის ფერის, ჩაცმის სტილის, ვარცხ-ნილობის თუ პროფესიის გამოცნობას ძნელად თუ ვახერხებდით. მაგალითად, ქიმიკოსი ფრენსის არნოლდი მე კაცი მეგ-ონა, ნესის კი — ნანა ბუსია, ჩვენი ორგა-ნიზაციის მისიის ხელმძღვანელი კენიაში, შუახნის ქალი, თანაც — ქართველი.

ბარიდან გამოსულეებს ისე აღარ გვცი-ვა, როგორც შესვლამდე. გარეთ სიჩუმეა, თოვს და ჰამაკებთან მოწყობილ საცეცხ-ლურებში ნაღვერდალია ბჟუტავს. კოტე-ჯებისკენ მიმავალ ბილიკს უხმოვ ვადგე-ბით. მართალია, ერთი გზა არ გვაქვს, მა-გრამ ნესის მივყვები და ფიქრებში გართუ-ლი ვერც ამჩნევს, რომ ლამის კარამდე ვაცილებ.

— დათამ არც იცის, აქ რომ ვარ. შენ გადანყვიტე, უნდა იცოდეს თუ არა ჩვენი შეხვედრის ამბავი, — მეუბნება დამშვიდო-ბებისას.


— კარგი, მოვიფიქრებ, — უკუსვლით ვგვამ ორ ნაბიჯს და ხელს ვუჭენე.

ოთახში ვბრუნდები, ბარიდან ღვინოს ვიღებ და მესინჯერს ვამოწმებ. დათა მწ-ერს, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, არც ცაბაძეების მომსახურება დავიწყებია და ტრიუფელეებიც ტრადიციულად სასა-ფლაოს მომწველს დაუტოვავ. იქვე სიხ-არულით მამცნობს, რომ წყნეთის ბინა გაიყიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამაკლე-რო თანხით ოცნებას ავიხდენთ და გაზაფხულზე ნეპალში წავალთ სამოგზა-უროდ. სარეკლამო ტექსტებს წაუკითხა-ვად ვშლი, მხოლოდ სუნამოებზე ფასდაკ-ლების შეტყობინებებს ვიტოვებ და ფეის-ბუქზე ვწერ: „აბა, რა იცოდა მარიამმა, რომ ოდესღაც თბილისში გეზა შოენის Escentric Molecules 02, სადაც ამბროქსანი და ამ-ბერგრისი ჰარმონიულად ერწყმის ერთმა-ნეთს, სულ ერთი ლამით მხოლოდ იმიტომ გაიფიქრებოდა, რომ 25 დეკემბერს ქრისტე შვა ბეთლემში.“

თოვლის გამო მძლოლი გომბორის გზით დაბრუნებაზე უარს ამბობს. ადრი-ანას და სემს ვუხსნი, რომ ცოტა მეტი დრო დაგვჭირდება მგზავრობისთვის. ადმინის-ტრაციის შენობაში დოკუმენტებზე ხელს ვაწერ, ბარგს იქვე ვტოვებთ და დროის მოსაგებად რესტორნისკენ მინიბუსით მივდივართ. დილიდან შეუჩერებლად ბარდნის, სასტუმროს შავ ქოლგებს ფეხი აუდგამთ და გადათეთრებულ ბილიკებზე დასეირნობენ. ნესი მარტო დამჯდარა ფანჯარასთან, საახალწლოდ მორთულ მუზარმაზარ ნაძვის ხეს გასცქერის და მსუბუქად საუბრობს. სახელმწიფო შესყ-იდებების ტრენინგის მონაწილეებიც თბი-ლისში გასამგზავრებლად ემზადებიან. ადრიაანას ვეუბნები, რომ მეგობარს და-ვემშვიდობები და შევეუერთდები. ყავას ვისხ-ამ, ნესის მაგიდას ვუახლოვდები.

— იცი, გადავწყვიტე! — ხანმოკლე საუბრისთვის სკამის კიდზე ვჯდები.

— რა? — გულუბრყვილოდ მეკითხება ნესი, ზუსტად ისე, როგორც ნესტან-დარეჯა-ნის წერილის ნაკითხვის ამბავი გაიკვირვა.



რუსუდან რუხაძე

ნესი ბერცენი

— მინდა, დათამ ჩვენი შეხვედრის ამ-ბავი იცოდეს, — ნუხანდელ ნაფიქრს ვუ-ზიარებ.

— გასაგებია... მაგრამ არ ვიცი, ღირს საერთოდ? მე დათას აღარ შევეხმიანები. თუ ვინმეს უნდა ამ ამბის დასრულება, მე ვარ; მით უმეტეს, გუშინდელი საღამოს მერე.

ნესი დღეს კიდევ უფრო მომხიბვლელია — თმაგაშლილი და ფერმკრთალი, თვა-ლის ფირუზისფერი ჩრდილების გარეშე.

— იცი, რაღაც მოვიფიქრე, — იდაყვებ-ით მაგიდას ვეყრდნობი და ნესისკენ ვიხრები.

— მაინც? — მზერას მარიდებს და ისევ ფანჯრისკენ იყურება.

— დათას პირდაპირ არ ვეტყვი ამ ამ-ბავს. მოდი, მე და შენ რამე გავცვალოთ. როცა იქნება, შეამჩნევს და თვითონ მიხ-ვდება, — ჩემს მზაკვრულ გეგმაზე უადგ-ილოდ მედიტება.

— ჰაჰ, ვითამაშოთ? — ნესის დიდად არ მოსწონს ჩემი შეთავაზება.

— ჰო, ცოტა გავერთოთ, — ლამბა-ქიდან ლეღვის ჩირს დაუკითხავად ვიღებ.

— და ისეთი რა უნდა გავცვალოთ? — ნესი ეჭვით მიყურებს.

— მაგალითად, ლიფები, — ხმადაბლა ვამბობ.

— ნატალი! — წყენა და ბრაზი ერთ-დროულად ერევა ხმაში.

— რა იყო? — ნესის მოულოდნელი სი-ფიცხე მაფრთხობს.

— არა, არაფერი. ნამდვილად გინდა ამის გაკეთება? — ტუჩს ნერვიულად იკვ-

ნეტს და ჯიბიდან ყოლოს ბალზამის პატ-არა ფლაკონს იღებს.

— ჰო. თუ თვალი არ მატყუებს, ზომა დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს, — თავს ოდნავ წინ ვწევ და მკერდზე ვანიშნებ.

— მიდი, ყავა დალიე და თუ არ გადა-იფიქრე, საპირფარეოსკენ წადი, — ბალზამს ნეკა თითით ისვამს ტუჩებზე.

ყავას სწრაფად ვსვამ და საპირფარე-ოსკენ მივდივარ. სანამ სარკეში თავს ვი-ნესრიგებ, ნესიც შემოდის. ჩემს ხელჩანთას ვაძლევ, ამაში ჩადე-მეთქი, ნესი პასუხად ზურგჩანთას იხსნის და მანვდის. კაბინებ-ში ერთდროულად შევდივართ. რამდენიმე წუთში ონკანთან ვბრუნდებით და ჩანთებს ერთმანეთს ვუბრუნებთ. „კეთილი მგზა-ვრობა“, ვემშვიდობები ნესის და კარისკენ მივდივარ. „შენც ასევე“ — ნესი ნყალს უშ-ვეებს, სველ ხელებს თმაზე ისვამს და სარკიდან მზერით მაცილებს.

მანქანაში ვსხდებით და კურორტის დაცულ ტერიტორიას ვტოვებთ. ადრიაანა და სემი აქ გატარებული სამი დღით კმაყ-ოფილები ჩანან, მამსახადამე, ბედნიერებიც. ფიქრობენ, გაფართოებული სამუშაო შეხ-

სალამოა და გულშიჩამწვდომად მღერის ტბისპირა რესტორნის მუსიკონსი, „შენ უყ-ვარხარ“ — ცრემლები ახრწობს ნესის.

მერე თითქოს ფრაზები ერთმანეთში ირევა და, როგორც ადრიაანა იტყოდა, საკ-ვანძო სიტყვები სხვადასხვა მიმდევრობით ლაგდება: „ვერ მოვატოვებ... old story... შენ უყვარხარ...“, მაგრამ როგორც არ უნდა დამწკრივდნენ, ამბავი იგივე რჩება. რამ-დენიმე წუთში ყველაფერს დედაჩემის ქოშების ხმა და მდინარის ჩხრიალი ფარავს. ყელში მოჭერას ვგრძნობ, ფან-ჯარას ვწევ და მძლოლის სავარძელს თავს ვადებ. ადრიაანა თმას მისწორებს, ჰგონია, რომ გულსრევის საწინააღმდეგო აბებს ვეძებ ჩანთაში და თავისას მთავაზობს. ვეუბნები, რომ არ არის საჭირო, მალე გადამივლის და თავს უკეთ ვიგრძნობ. ასეც ხდება, რამდენიმე წუთში მთელ ამ ორომტრიალს სოფლის ქალების გაბმული ბგერა ენაცვლება, გული საგულეს უბრუნ-დება და მოთენთილი სავარძლის საზურგ-ეს ვეყრდნობი.

დათას ვწერ, რომ დავიძარით და ჯერ მამაჩემთან შევივლი. ვფიქრობ, დღეს ყვე-ლაზე მეტი გვაქვს სალაპარაკო. ფეისბუ-ქში ნესის პროფილის ფოტოს ვაკვირდე-ბი, ხუთი წუთის წინ შეუცვლია. საუზმის შემდეგ შატოში შეუვლია ღვინის საყიდ-ლად და ვინოთეკასთან სელფი გადაუღია. თეთრი ჯემპრი ცალი მხარეს მოუმიშვ-ლებია და ჩემი იისფერი ლიფის ბრეტელი უჩანს. შერჩენილი მაკიაჟი უპეებზე კიდევ უფრო გადღაბნია და გადამდებ სიმშვიდეს ასხივებს. ინტროც განუახლებია, სულ ერთი სიტყვით — თიხანაკლული.

სემი პლანშეტს ჩასცქერის და სიახ-ლეებს გვიზიარებს. ადრიაანა ახლაც შე-მართულია კამათისთვის და სემს ეს ძალიან ართობს. მის აროგანტულობაზე ადრიაანა ჩემთან ხშირად ჩივის და ისიც კი მითხრა, ერთხელ ქართულ საუბარშიც მომესმა ეს სიტყვა, თურმე თქვენებურადაც აროგან-ტული ყოფილაო. ავუხსენი, თანამედროვე ქართული სავსეა ბარბარზიზმებით და არო-განტულის შესატყვისი ერთი კი არა, რამ-დენიმე სიტყვა გვაქვს-მეთქი: ქედმაღალი, მედიდური, ამპარტავანი, დიდგულა... Me-diduri ყველაზე მეტად მოენონა და რამდენ-ჯერმე გაიმეორა კიდევ, ყურს ადვილად რომ დამახსოვრებოდა.

სემმა ამჯერადაც საკუთარ მოედანზე გაგვიტყუა და წყლის მომთვიინებელ-თა ამბების მოყოლა დაიწყო:

— წარმოგიდგინათ, ლოხ-ნესის ურ-ჩხულის საიდუმლოს ფარდა მალე აეხდე-ბა, მეცნიერები ტბის შესწავლას იწყებენ.

უცნაური დამთხვევები უწინდებურად აღარ მალეულებს და მიაშიტურად აღარც იმას ვიმეორებ, რომ რაღაც არსებობს.

— კარგი რა, სემ, თუ ღმერთი გნამს! თუ მონსტრი ნესი მართლა არსებობს, წყ-ალში გარკვეულ კვალს უნდა ტოვებდეს. აქამდეც შეიძლებოდა ამის მოკვლევა და დადასტურება. ასეც კარგად იცი, შემო-სავლანი საქმეა შენთა ექსპედიციები, — სემის მოპასუხე ისევ ადრიაანა.

— მოდი, მონსტრს ნუ ვუწოდებთ. იქნებ მართლა გიგანტური ზუთხია?!

— ზღაპარია, ლეგენდაა, გეუბნები! რამდენიმე საეჭვო ფოტოსა და ხმის ლოკატორის ბუნდოვანი მონაცემის გარ-და, არავითარი მტკიცებულება არ არსე-ბობს.

— We will see, რამდენიმე თვეში ყვე-ლაფერი გაირკვევა. აი, რას წერენ: „მეც-ნიერთა საერთაშორისო ჯგუფი შოტლან-დიის ყველაზე იდუმალი მტკნარი ტბის სიღრმეში ჩასვლას გეგმავენ. ისინი იმე-დოვნებენ, რომ გარემოს დნმ-ის მონაცე-მების შეგროვებით ლოხ-ნესის ტბის ყო-ველ ბინადარს აღწესხავენ. ამის შემდეგ მონაცემებს გამოიკვლევენ და შედეგებს შოტლანდიის მთიანეთის სხვა ლოხების, ანუ ტბების, შედეგებს შეადარებენ და თუკი ასეთი მონსტრი რეალურად არსე-ბობს...“

სემს კითხვას ვანყვეტინებ და გადა-ჭრით ვამბობ, რომ ნესი არსებობს.

— Oh, really? — მედიდურად მეკითხე-ბა და ჩემკენ ბრუნდება.

„Yes“ — თავს ვუჭენე, მობილურის ეკრანზე ნესის ფოტოს ვაჩვენებ და იმ ენაზე, რომელზეც არასოდეს აღმოხდე-ნია, რომ ბედნიერი ვარ, გულში ნათქვამს მთოლოვარე ხმით ვიმეორებ:

— ნესი ურჩხული არ არის, ნესი მშვე-ნიერია!

„It's still the same old story“ — გუშინდელი

გაგრძელება

დროდადრო ძილი მართმევდა თავს, მაგრამ მაშინაც არ მასვენებდა ჩემი მტრის სახე და სახელი. თავში თითქმის გამუდმებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ დამიდოდა და შიგნიდან აწყდებოდა ჩემს გონებას: „ნურ მუჰჰამად ბანი... ნურ... მუჰჰამად ბანი... ნურ მუჰჰამად... ბანი...“ „რატომ? რას მერჩოდა? რა დავუშავე? რისთვის გამიმეტა?“ ვიტანჯებოდი და უფრო და უფრო ვმწარდებოდი და ვბოროტდებოდი. ყოველნამიერად ვხვდებოდი და ვრწმუნდებოდი, რომ სანამ იმ წყეულს არ ვიპოვიდი, არ ვნახავდი და შურს არ ვიძიებდი, ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ ექნებოდა.

ჩემი მშობლიური ყიშლალი როგორც გმირს, ისე შემხვდა. ამ შეტაკებამ, ბრძოლებში ჩემგან გამოჩენილმა თავგანწირვამ და საომარმა ჭრილობებმა სახელი შორს გამითქვა. ულამაზესი გოგონები ცეკვითა და სახობტო სიმღერებით შემომგებნენ, ყიშლალის დარბაისელმა თეთრწვერა მოხუცებმა პირადად მომიძღვნეს სალამი. ეს სიმღერები ცეცხლდაკრული ქარივით სწრაფად გავრცელდა დემთი-ყიფშალში და ცოტა ხანში უკვე თვალუწვდენელი ველების უშორეს კუთხეებშიც კი ყარა-ყირგიზეთ-ყაისალის მთებიდან ყარაყალპაყეთამდე, ამუდარიისა და სირდარიის შუამდინარეთის ოაზისებამდე და ყალმუხეთიდან, თანლუთამდე და უილურებამდე მღეროდნენ, კლდის ავაზასავით მამაც და სწრაფ ჯიგიტზე — „ცალთვალა ბაბურზე“ და მის გმირობაზე ხმატკბილი აკსინები.

ამ დროს კი თავად „კლდის ავაზასავით მამაცი“ და „ცალთვალა ბაბური“ ანუ მე ჭრილობებისგან და დაკარგული სისხლისგან დასუსტებული და არაქათგამოლეული, ახლადდაბადებულ, ჩვილ ბავშვზე უფრო უმწეო და მოხუცებულ, ძუნწ და მახინჯ ყადიზე გათხოვილ, ახალგაზრდა ტანწერნეტ გოგონა უფრო ნაწყენი, დაბოლმელი და გულმოკლული, საკუთარი სახლის ბანზე, აქლემების და ცხვრის ტყავებში ჩაფუთული და გამოხვეული, სულს ძლივს ვითქვამდი და რის ვაივავალახით ჩაძინებულს საშინელი კომარები მტანჯავდა. ჩვენი ჰაქიმი ჰაფთი-ზულა დურანაჰმადი ყოველ დღე მოდიოდა და მკურნალობდა, დიდმა ალლაჰმა დააჯილდოვოს ისიც და მისი მოდგმაც და წყალობა არ მოაკლოს მას. ჩვენმა არაბმა მულლაჰ იბრაჰიმმაც დაიწყო ჩემს მოსანახულებლად სიარული. მომეჩვენა, რომ უცნაური დაეჭვებით მიყურებდა, თითქოს რაღაცას ხვდებოდა. ცოტა ხანს ვიბაასავით. მას მაინც უჭირდა ჩვენს ენაზე ლაპარაკი, მე კი ძლივს ვვახირობდი არაბულად, რადგან ბავშვობაში მეჩეთში ჯდომასა და არაბული ენის გრამატიკის ზუთხვას ყოველთვის ჯირითი მერჩივნა. ბოლოს მულლაჰ იბრაჰიმის გაუგებარი და შემპარავი ლაპარაკი რომ მომებზრდებოდა, თავს ვიძინებოდი, რომ ჩამომხსნოდა და გზისთვის ბარაქა დაეყარა.

ლამლამობით მზის ჩასვლის შემდეგ საკმაოდ ციოდა, მაგრამ ჩემი წივით გამთბარ სახლში მაინც არ შევდიოდი. გარეთ მერჩივნა. ღამის სუსხი სასიამოვნოდ მაფხიზლებდა და მამშვიდებდა კიდევ. ობლობაში გავიზარდე და მარტოობას მიჩვეული ვიყავი. მხოლოდ მამიდაჩემი ხადი-ჟათისგან და თანაშემწე მამიდაშვილებისგან თუ მიგრძენია მშობლიური სიტბო. უკვე წამოზრდილი ბიჭი ვიყავი და ის იყო სახეზე პირველი დინდი ამომივიდა, რომ ჩემი სათნო და კეთილი დედა გარდაამეცვალა. ვიდრე საწყლად მე და ჩემი ნელში საცოდავად მოხრილი მამა ჯემალედ დინი ახლადამობორცვილ საფლავთან და ცხარე ცრემლით ვტიროდი. არაბი მულლაჰ იბრაჰიმი გასწვებულის სახელზე დუაჰს ალაველენდა, იქვე ცოტა მოშორებით გლოვისა და თანაგრძნობის ნიშნად თავდახრილი ნათესავები და თანასოფლელები იდგნენ. მაშინ მივეჩვიე ბანზე ძილს. სახლში, იმ სახლში, სადაც დედაჩემმა სუსხი სასიამოვნოდ მაფხიზლებდა და მამშვიდებდა ეს ჩაბნელებული სივრცე. ვინეკი ბანზე, თავქვემ ჩვენი თავლა ცხენის უნაგირი მედო და პირდაპირ ცრემლებით ამოვსებულ თვლებში მეღვენებოდა ჩვენს თავზე ყოველდღიურად ალლაჰის ნებით გადმოხურული ბნელი ცა და მისი მნათობები.



ბექა ქურხული

თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები

ანუ დემთი-ყიფჩაღი

ჩემმა საბრალო მამამ დიდხანს ველარ გაძლო და რამდენიმე დღის შემდეგ მწირი საგზალი ჩაილაგა, თავზე ძველი მწვანე ჩაღმა შემოიგრაგნა, ამბავი დამიტოვა, დიდ ქალაქ ურგენჩში წავალ, ეგება ზამთრისთვის ორიოდ დირჰემი და დინარი შევავაროვო და შემოდგომის მინურულს დაგბრუნდები. ისიც კი არ მითქვამს მე ბედკრულს, ნუ ნახვალ-მეთქი... ან მეც გამოგყვები-მეთქი. უხმოდ ჩავეხუტეთ ერთმანეთს, გამოვემშვიდობეთ. ცოტა ხანს ვუყურებდი, როგორ მიათრევდა ფეხებს ნელმონყვეტილივით და სულ უფრო მშორდებოდა. მაშინვე ცხადად მიკარნახა არსთა გამრიგემ, რომ უკანასკნელად გხედავდი, მაგრამ იმის მაგივრად, რომ სირბილით გავყოლოდი უკან და მომებრუნებინა, ისევ ბანზე ავედი, იქ გავიმოტე და ყელში მომჯდარ ნაღველს რომ არ დავეხრჩიე, გულმოსკვნილი ავტირდი.

ამ დღის შემდეგ ბარე მეექვსე შემოდგომა მიიწურა და დაზამთრდა, მაგრამ ჩემი საწყალი მამა აღარც გამოჩენილა. დაე, მალაღმა ალლაჰმა დაიფაროს იგი და შევივადიშოს მისი ტანჯული და უცოდველი სული. ხელობით მეთუწუქე იყო ის უბედური, ჭეშმარიტი მართლმორწმუნე მუსლიმი, მისი ნაწყენი ადამიანი არ დაიარებოდა, ჯერ თავად რა ჰქონდა საწყალს, იმასაც სულ სხვას უყოფდა და უწყალობებდა. თუ ვინმე უმადურობით უპასუხებდა, ან აქეთ აწყენინებდა, წართმევედა რამდენ საშუალებასაც უფიქრად და უფიქრად სამაჟორს, არც ხალხს შეყრიდა, არც ყადისთან იჩივლებდა. მხოლოდ მქრქალად გაიღიმებდა და აკანკალებულ ტუჩებზე შეეტყობოდა, ნაწყენი რომ იყო და გულმოკლული. ამასობაში მეც წამოვიზარდე, ჩემს ბიძაშვილებთან და ნათესავებთან ერთად სათარეშოდ სიარული დავიწყე. ძირითადად ჩემსავით ობოლი, წუთისოფლის ორომტრიალში გამოჯეგლი, სიცხეცა და შიმშილს შეჩვეული ბიჭები ვიყავით, ჯერ ცხვირმოუხოცავი დლაჰები, მაგრამ მინის ჩიჩქას და ცოტადენი ბრინჯით მუცლის ამყოფრავს თავგადასავლები გვერჩინა. ერთი გამხდარი ცხენი და ერთი ხმალი, ან ჯოხზე წამოგებული ჟანგისანი შუბი და გასანთლული ქამანდა ყველას გვებადა და თავიდან მეტი არც გვჭირდებოდა. სად მეცხვარეებს დავაფრთხოვდი და ცხვრის ნოტას მოვსხლავდი, სად ვინმე დოყლაპია მწ-

ყემის ხარ-ძროხას ან ცხენს მოვდებდით ქამანდს. მერე გავთამამდით, ერთი-ორჯერ ხორეზმელი ვაჭრებიც გავძარცვეთ და სამხრეთიდან თურქმანებისგან გამოვრეკეთ, მათი განთქმული მალაღი ველური, ურა ცხენები. მოკლედ, ჩვენს საზრდოს ვმოულობდით და ცოტა მეტიც გვრჩებოდა. ბრძოლის ყიფინას, ხმლის ქნევასა და ისრის ზუზუნსაც მივეჩვიეთ. ორიოდ წლის წინ ყიშლალში ამბავი მოვიდა — დიდებული ურგენჩი, რომელსაც ჩვენ ყივჩაღები გურგანდჯადაც მოვიხსენიებდით, კავკასიისკენ დაძვრულმა მონღოლთა ჯარის სარდლებმა, იმ სისხლისმსმელმა ჯეზე ნონინმა და გაიძვერა და ვერაგმა სუბუდაი ბალათურმა აიღეს, გაძარცვეს, გადაწვეს და ძირფესვიანად მოთხარესო. იმ წამსვე მამაჩემი გამახსენდა და დარდმა და სიბრაულმა გული მომიკლა. გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, მომეძებნა და მისი ამბავი გამეგო, მაგრამ ვერსად მივაგენი მის გზაკვალს. ზოგი მეუბნებოდა, ბუხარაში ვნახეთო, ზოგმაც ხივასშიო, ერთმა ისიც კი მითხრა, ყაზვინის ბაზარში ვნახე, მოკითხვა დამაბარაო. ახლა მგონია, რომ ეს ხალხი ცრუობდა. მატყუებდნენ, შეიძლება კეთილი განზრახვითაც, რომ ობოლი გავემხნევივინე, ან ისე საჭოროდ, გასართობად და ძალღებვით ტყუილად საყბედოდ, ალლაჰიმც შეუნდობთ მათ. ასე დავობლი და დავრჩი სრულიად მარტო, მხოლოდ ჩემი საყვარელი დედის საფლავის ანაბარა. მამა კი უსაფლავოდ გადაეგო და ვინ იცის, სად მიაბარა უფალს და ტანჯული სული, რომელი ზინდანის ჯურღმულებში დაილია, ან რომელ ქვეყანაში, რომელ დუქანთან ითხოვს მოწყალებას მთლად მოხუცებული, ნელში გატეხილი და უსინათლო.

მე კი ვინეკი ჩემს ბანზე, საკუთარ სისუსტეზე და შიშებზე გაბრაზებული და მხოლოდ ჩემს მტერზე შემეძლო ფიქრი. ხელში შიშველი ხმალი იმედივით და საშველივით მეჭირა და საზარელ ფიქრებს შემოსული ავსულებით ვიგვირებდი.

ბნელი ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ზოგი დიდი იყო, ზოგი ისეთი, დამტერებით უნდა გეყურებინა და მაშინაც ისე ციმციმებდა, რომ სულ ქრებოდა. შემეცოდა საკუთარი თავი სადაც მიკარგულ დედამინაზე, მიკარგულ ყიშლალში, მიკარგულ სახლთან, თავადაც მიკარგული,

ობოლი, სისხლისგან დაცლილი და დასახიჩრებული, რომელსაც მინდოდა თუ არა, ამდენი რამე უნდა შემეცვალა ამ სამყაროში.

ბევრი სულელური აზრი მომდიოდა, მეომარ ჯიგიტსა და სოფლის იმედს რომ არ ეკადრება. ეს ყველაფერი იმ ბოროტი უკვდავი სულების — იაჯულების და მიაჯულების — ბრალი იყო, ბნელ ღამეში ტრამალებში რომ დაძრინან ჯოჯოხეთის არყოფნიდან ამოსულები და ადამის ძეთ ამფოთებენ. მთვარესავით — მკვდრების მზესავით — ცივები და დაუმარცხებლები არიან ისინი, მთვარესავით უხილავ გზაზე მოსიარულეები. დავაპირე, ლოცვა აღმეველინა მოწყალისა და მწყალობლის მიმართ და შევბას შევედრებოდი, სიტყვაც ვერ დავძარი, ისე ვყავდი ავსულელებს შეკრული.

დილით სიცხევემ გამაღიძა. სანამ ბოლომდე გამოფხიზლდებოდი, ჩვენი ჰაქიმი ჰაფიზული ნურაჰმადი ც გამოჩნდა. თითქმის იმავდროულად სანინალმდეგო მხრიდან არაბი მულაჰ იბრაჰიმი დავლანდე, ესეც ჩემთან მოდიოდა. უკან ყიშლალის შლეგი, ტანსაცმელშემოფლეთილი ალლაჰნაზარიც მოჰყვებოდა, რომელიც მულაჰს ჰყავდა შეკედლებული და მეჩეთში თავშესაფარს აძლევდა. მე ალლაჰნაზარს ყოველთვის კარგად ვეპყრობოდი, ჯერ მეცოდებოდა, მერე ბიძაშვილადაც მერგებოდა და ყოველთვის ვესარჩლებოდი. შეხუმრებული მყავდა.

ახლაც ალლაჰნაზარი პირდაპირ თავზე დამადგა, ჩემს სახლოვზე ჩაჯდა და სახეში შემეცინა. შემოფლეთილი ტანსაცმლიდან თითქმის ყველაფერი უჩანდა, მაგრამ იმან სირცხვილისა არა იცოდა რა. მოულოდნელად ხელი გამოიშვირა, ტურტილიანი თითი ზედ ამოთხრილ თვალზე მომადო და თავისი ჩლიფინა ხმით მკითხა:

— ეე, ბაბურ, ესენი იმათ გიქნეს, იმათ, იმათ... და ეს თვალზე ვინ გიქნა?..

მულაჰ იბრაჰიმი ამკარად შეკრთა, ჯერ მე შემომხედა ისე უცნაური დაეჭვებით და მერე ალლაჰნაზარს შეხედა განცვიფრებით. ჰაქიმმა ჰაფიზული ნურაჰმადმა საერთო სალამი თქვა, ჩემს თავთან ჩაჩოქილი შლეგი ალლაჰნაზარი ფეხით განია, თავისი აბჯა გახსნა და გამოთხრილ თვალში ჩამხედა.



დაჩა მარაინი ცოლქმრული დღიური

დაჩა მარაინი

12 თებერვალი

დავქორწინდით. ჯულის მამამ სიცილიიდან მოგვწერა, დაწყველილებს გველოთო. ვის აინტერესებს, ერთი! მაინც, მხოლოდ მე ვმუშაობ და! ის ბებერი კრეტინი რაღას დაგვაკლებს?! ჯულის ისეთი სრიალა კანი აქვს, ფაიფური გეგონებათ.

18 თებერვალი

მამამისმა ფულის გამოგზავნა რომ არ შეუნყვიტოს, ჯულიო გამუდმებით წერს და ატყობინებს, ვსწავლობ, გამოცდებს ვაბარებო. მიღებულ წერილებს არც კითხულობს, მაშინვე ხევის და ურნაში უძახებს. მისთვის მთავარი ფულია.

8 მარტი

თითქმის ერთი თვეა, რაც დავქორწინდით. ჯულიო კმაყოფილი არ ჩანს; ნერვიული გახდა, ზარმაცი. აღარც ლაპარაკობს. სექსმაც იკლო.

10 აპრილი

კიდევ ერთი თვე. სამსახურში საქმე ცუდად მიდის. სამუშაო იმატებს, ხელფასი კი იგივეა. აღმოვაჩინე, რომ ჯულის მიჩვევა ახასიათებს, ერთი და იმავე რამეებს აკეთებს სულ. ერთფეროვან ცხოვრებას ვენეცი, ის სწავლობს, მე ვმუშაობ. საღამოობით სამზარეულოში ვვახშობთ, მერე ტელევიზორის საყურებლად ვსხდებით. არავითარი მეგობარი, არავითარი სეირნობა.

16 მაისი

ახლა სიცხეები რომ არის, საღამოობით გვირაბში დავდივართ, ვისვენებთ. ჯულის ნაყინი უყვარს. იქ ჯდომა და დაბალი ხეებით გარშემორტყმულ გარემოში საორკესტრო მუსიკის მოსმენა მოსწონს. მე ძალიან ვინწყევ, მაგრამ სიყვარულის გამო არაფერს ვამბობ.

3 ივნისი

ჯულიო მოწყენილია. არ ვიცი, რას შერება. სულ კი სწავლობს, და! დღემდე ერთი გამოცდაც არ ჩაუბარებია. მამამისს მისწერა, გაისად დიპლომს ავიღებო.

20 ივნისი

რომ ვუთხრა, ცივი და საძაგელი ქმარი ხარ-მეთქი, მაინც არ მიპასუხებს. რომ ვუთხრა, სექსით მინდა დავკავდე-მეთქი, მერე ველარ ვიმეცადინებო, მეტყვის. რომ ვუთხრა, გვირაბთან ნაყინი ნაყინი ბებრების საჭმელია-მეთქი, გაბრაზებული შეიმოხედავს.

7 ივლისი

კიდევ ერთი თვე. ჯულიო არ იცვლება. ერთ სანოლში ვიძინებთ, მაგრამ ხელსაც არ ვახებთ ერთმანეთს. ვუთხარი, ქორწინებამდე სულ სხვანაირი იყავი, სექსი მოგწონდა-მეთქი; მაგრამ სექსი ცხოველური თვისებაა, მათ ახასიათებთო, მიპასუხა. ქორწინებამდე ასე არ ფიქრობდი-მეთქი; მაშინ ისე იყო სწორიო. სიყვარული ხეების ყვავილობასავითაა; დგება პერიოდში და ყვავილებით სავსენი არიან, მაგრამ ეს პერიოდი მალე მთავრდება და მომავალ წლამდე აღარაფერს ფიქრობენო, მითხრა. ჩვენ ხეები ხომ არ ვართ-მეთქი? ვართ, იმაზე მეტი, რამდენიც წარმოგიდგენიაო.

16 ივლისი

მეგონა, გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი. ბევრს მეცადინებდა, მაგრამ ბოლოს აღარ წასულა. სახეზე ძვლები გამოეკვეთა, ისე კი ძალიან ჯიუტია; გამოხედვაც მკაცრი აქვს. ამბობს, მიყვარხარო, მაგრამ ვერ გავიგე, როგორ. სულ სწავლობს, სულ.

30 აგვისტო

ისე ცხელა, რომ ნაპრალეები უჩნდება ყველაფერს. ვკითხე, თუ უნდოდა ზღვაზე წასვლა ჩემი შვებულების პერიოდში, რვა დღეში. არც კი მიპასუხა. რაღაცას წერს განუწყვეტილ რეჟიმში. სამსახურიდან რომ ვბრუნდები, ვმისვლდები და ცივი აბაზანაში ვწვები; ოთახშიც დავდივარ შიშველი მის აღსაგზნებად, მაგრამ არც კი მიყურებს.

7 სექტემბერი

შვებულება დამეწყა. რომიდან არც კი გავსულვართ. ჯულიო ამბობს, სამეცადინო

ნო მაქვსო. დასწყევლოს ღმერთმა! ძილს მივწვდი. მანამდე რაც არ მიძინია, მინდა, ახლა ავიწაზალო.

15 სექტემბერი

შვებულება დამთავრდა, და ამ ბნელ, დაწყველილ ბინაში გავატარე მთლიანდ. ჯულიო მეცადინეობს. ამბობს, ოქტომბერში ოთხი გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი. ყოველ ხუთშაბათს მთხვევს ცივი ყავის შეტანას ოთახში.

6 ოქტომბერი

მალე გამოცდები დაიწყება. ჯულიოს თითქმის არ სძინავს, გაღიზიანებულია. სულ ყავას სვამს. თმები ჭუჭყიანი აქვს. ვუთხარი, დაიბანე-მეთქი, მაგრამ ჩუსტი მესროლა და თავში მომარტყა. არც ჭამს. ბეკონიანი პურები შემაქვს მეცადინეობისას, თუმცა ურნაში ვნახულობ ყველას, ქალაქლებთან ერთად ჩაყრილს.

10 ნოემბერი

ნოემბერია უკვე. საგამოცდო სესიები ჩამთავრებულია. ჯულიო სახლიდან არც კი გასულა. იმდენი იმეცადინა, სიცხეც კი მისცა, მაგრამ ბოლო წუთში თქვა, მზად არ ვარო. და ისევ დარჩა ოთახში, მაგიდასთან, სამეცადინოდ.

22 ნოემბერი

გუშინ დაბადების დღე მქონდა. 23 წლისა გავხდი. ჩემმა დამ, აგოსტინამ, თავისთან დაგვაპატიჟა ვახშამზე, მაგრამ ჯულიო არ წამოვიდა, სამეცადინო მაქვსო. აგოსტინასთან კანდილო გავიცანი. ერთი მოლაპარაკე ტიპია, სულ ეწევა. ცისფერი თვალები აქვს.

6 დეკემბერი

ჯულიო მთლად გაჭაღარავდა. რომ დავქორწინდით, ქერა, ლამაზი ბიჭი იყო. ახლა სხვა გეგონებათ, ძალიან შეიცვალა. მამამისს მისწერა, ოთხი გამოცდა ჩავაბარეო. მანაც მიულოცა და ფული გამოუგზავნა. შვილს გრძელ წერილებს სწერს, მაგრამ ეს ხევის და წაუკითხავად ყრის ურნაში.

15 დეკემბერი

კანდილოს უნდა, მასთან ვიყო სულ, მაგრამ მე ვმუშაობ. მერე, კიდევ, ჯულიოს უნდა მივხედო, არც ჭამს და არც სვამს, არც იძინებს, თუმცა როგორც კი დროს მოვიხელთებ, კანდილოსთან მივდივარ მაშინვე. ერთ ცივ სარდაფში ცხოვრობს გათბობისა და აბანოს გარეშე. სექსი ცივი იატაკზე დაგდებულ ლეიბზე გვაქვს, ზედ მთლად დახვრეტილი საბანი გვახუროვს. კანდილო დიდი გატაცებით მესაუბრება თავის ნახატებზე; ბევრს მკოცნის, ტირის, იცინის... ვერთობი მასთან.

25 დეკემბერი

შობაა. მეორე დღეა წყალი არ მოდის. მიღებია გაყინული. ასეთი სიცხევა და ჯულიო არც კი იცვამს. ლოგინიდან პირდაპირ სანერ მაგიდაზე ინაცვლებს. პიჟამაში ჩაცმული მეცადინეობს, მხოლოდ ერთი პლენი აქვს მხრებზე მოხურული. ამბობს, ივნისში ხუთი გამოცდა უნდა ჩავაბარო.

3 იანვარი

ახალი წელი დაიწყო. ჯულიომ არც შობას მოინდომა გარეთ გასვლა და არც ახალ წელს. ერთი წუთის დაკარგვაც არ შემძლია, უნდა ვიმეცადინო, თქვა. აგოსტინასთან მივდივარ-მეთქი, ვუთხარი. ვიცოდი, მაინც არ დამირეკავდა. ღამე კანდილოსთან გავატარე. საახალწლოდ გაზის გამათბობელი და ერთი ბოთლი ფრანგული შამპანური ვაჩუქე. რომ სვამს, უფრო მხიარული ხდება. მარტო ცეკვავს და შიშველი ცივი, გაყინულ იატაკზე ხტუნაობს. საშობაო ნამცხვარი და ზეთში ჩაწყობილი თევზის კონსერვი ვჭამეთ. ის შამპანურიც მთლად დავლიეთ. სახლში რომ დავბრუნდი, ჯულიო ნიგნებზე ჩამოძინებული ვნახე. დილის სამ საათამდე უმეცადინია.



2 თებერვალი

ისეთი სიცხევა, გარეთ ძალიან არ გაიგდება. ოფისი, რომელშიც ვმუშაობ, კარგად გამთბარი არაა. გავცივიდი. ხვალ ჩემების ყიდვას ვაპირებ. ჯულიო აღარც კი იცვამს უკვე. შესუქდა და ჩაყვითლდა. გარეთაც აღარ გადის. სულ მეცადინეობს.

20 თებერვალი

ჩემები ვიყიდე. ჯულიოს კანდილოზე მოუყვები. მითხრა, ნუ მინახებ გულს ერთი, უნდა ვიმეცადინო. მეტი არაფერი.

6 მარტი

უკვე მარტიც დადგა! ჯულიო ძალიან ნერვიულობს გამოცდების გამო. მთლად ბინძური შექცა. რომ დავქორწინდით, სუფთა ბიჭი იყო. ახლა აღარც კი ბანაობს. რომ ვეუბნები, ყარხარ-მეთქი, სიძულვილით მიყურებს.

8 მარტი

კანდილომ ერთი ნახატი გაყიდა, ორმოცი ათასი ლირა აიღო. მასთან რომ მივედი, ტროპიკული ხილით სავსე თასი და ზეთში ჩაწყობილი კიბოების კონსერვი დამახვედრა. იმდენი ვჭამეთ, რომ კინაღამ ვაღებინეთ. გაზის გამათბობელისთვის ბალონი იყიდა და სექსიც თბილ ოთახში გვქონდა.

20 მარტი

ჯულიო არასდროს მეკითხება, რას ვაკეთებ და სად მივდივარ. ზოგჯერ კანდილოსთან გვიან ვბრუნდები სახლში, მაგრამ არ აინტერესებს. მისთვის ისიც საკმარისია, ერთი თვეში წვნიანი რომ შევუტანო საღამოს ოთახში, სადაც მეცადინეობს. ზოგჯერ ჭამს, ზოგჯერ — არა. მე ლოგინში ვწვები, ის კი ღამის ორ საათამდე რჩება სამეცადინოდ. ლოგინში რომ წვება, ვერც კი ვიგებ. ერთხელ, ძილის დროს, ჩავეხუტე, მან კი ფეხი მკრა. მეგონი, ავადაა. შეუძლებელია, ოცდაშვიდი წლის ბიჭი ასეთ დღეში იყოს ჩავარდნილი.

16 აპრილი

პიჟამა რომ გამოვუცვალა, რაღაც ხერხს უნდა მივმართო. არ უნდა, არც გამოცვლა და არც დაბანა. ოცდაათჯერ მაინც სვამს ყავას დღეში. ამას წინათ თვიური ანგარიში გავაკეთე; და მხოლოდ ყავისთვის 15 ათასი ლირა დამიხარჯავს. სიგიჟე!

8 მაისი

უკვე აღარ შემძლია ისეთი ადამიანის გვერდით ძილი, ოფლისა და შარდის მყარი სუნი რომ ასდის. ერთ დღესაც ძალიან ჩავაგდებ წყლით სავსე აბაზანაში და ის იქნება! გამოცდების მოახლოება უფრო აგრესიულს და აუტანელს ხდის. საჭმელს საერთოდ აღარ ჭამს. სასწაულია, იმის მაგივრად, რომ გახდეს, სუქდება. მუცელიც წამოეზარდა.

18 მაისი

გუშინ ღამით დაველოდე, როდის დაიძინებდა. მერე ჩუმ-ჩუმად გავხადე ტანსაცმელი და სველი, გასაპნული ღრუბლით დავბანე. თვალები არ გაუხელია. გამშებული იწვა, მიგდებულობით, ფეხებგაშლილი. ისე დავბანე და გავამშრალე, ლოგინი არ დამისველებია.

როგორ მოვახერხე, არ ვიცი. ფეხებზე ჭუჭყის ფენები და შემხმარ სპერმის ჩანსებები თმები ჰქონდა.

3 ივნისი

ყოველ ხუთ-ექვს დღეში ვიღვიძებ ღამით და ჩემს ქმარს ვბან. ის თავს ისე მაჩვენებს, თითქოს სძინავს. ნელქვეშ პირსახოცს შევუცურებ ხოლმე და გვერდით დადებულ ცხელწყლიან თასში ღრუბელს ვასველებ. მისი სუნთქვიდან ვხვდები, რომ მოსწონს, კმაყოფილია. ერთხელ ერექციაც ჰქონდა. ვიფიქრე, ალბათ, სექსი უნდამეთქი, მაგრამ არაფერი. თითქოს სძინავსო, ასე გააგრძელა ყოფნა. დღისით ყოველთვის ერთნაირად მეცხვევა. არასდროს ულაპარაკია ღამლამობით დაბანვაზე და არც არასდროს გამოუხატავს ჩემთან სექსის სურვილი.

8 ივნისი

გამოცდები ახლოვდება. ჯულიო არც ჭამს და არც იძინებს, ამიტომ მისი დაბანა შეუძლებელია. მთელ დღესა და ღამეს სანერ მაგიდასთან ატარებს, მეცადინეობაში.

16 ივნისი

კანდილომ მეორე ნახატი გაყიდა, სამოცი ათასი ლირა აიღო. მყიდველი რესტორნის მესაკუთრე გამოდგა. გამოშვებულ ძროხაზე ხახვებით სავსე თევზი ეხატა.

20 ივნისი

აი, გამოცდების დროც დადგა! ჯულიოს სიცხე აქვს. თვალების ციმციმითა და სახეზე წითელი ლაქებით ვატყობ. ამბობს, მალე უნივერსიტეტში უნდა წავიდეო.

25 ივნისი

კობტად ჩაიცვა. თავიც კი დაიბანა. აბანო საღორესავით დამიბოვა. აილო წიგნები და რეგულეები და სახლიდან გავიდა. ორ საათზე დაბრუნდა. სახე მიცვალებულივით ჰქონდა. ჩააბარე გამოცდა? — ვკითხე. კიო, თქვა; მაგრამ მივხვდი, ტყუილი იყო. უნდა, მეც მომამტყუოს მამამისივით. მაგიდასთან დაჯდა, მაგრამ არაფერი უჭამია. სამსახურიდან რომ დავბრუნდი, შვიდის ნახევარზე, სამზარეულოს მაგიდაზე ვნახე ჩამოძინებული.

3 ივლისი

მამამისის წერილი მოვიდა. წერდა, გამოცდების წარმატებით ჩაბარების აღსანიშნავად ჩამოვდივარო. ჯულიო ისე გაბრაზდა, კარადებს, სკამებს, სანოლს დასხცო ფეხები. მთელი სახლი ამოაყირავა. მერე უნიტაზზე დამჯდარს ჩაეძინა, სახეზე სიბრაზით წამოსული ცრემლები ჰქონდა მიხმარია.

7 ივლისი

ჯულიომ მამამისს დეპეშა გაუგზავნა, არ ჩამოხვიდე, ავად ვარო. შედეგი: მეორე დღეს ზარმა დარეკა კარზე. ის იყო — მამამისი.

15 ივლისი

ჯულიოს მამა სასტუმროში დაბინავდა, ვენეტოს ქუჩაზე. ყოველ დღით გვირეკავს. მხიარული, ომანიანი ხმა აქვს. პირველ საათზე გვესტუმრა, კრემიანი ნამცხვრები და ღვინო მოგვიტანა. ჯულიო თავისი კომედის თამაშს აგრძელებს. ამბობს, ოქტომბერში დიპლომზე გავდივარ და ყველა მიმდინარე გამოცდა მაქვს ჩაბარებული. მამამისს ყველაფერი სჯერა ან უნდა, დაიჯეროს. ყოველ შემთხვევაში, გამგზავრებას არ აპირებს.

25 ივლისი

ღამით სიცხე ვიგრძენი და გამეღვიძა. ჯულიო ჩემ გვერდით იწვა, შიშველი, მიგდებულ პოზაში, დაბანის დროს როგორც იცის. მივხვდი, ღრუბლით დაბანა უნდოდა. ავდექი, თასში წყალი ჩავასხი და მისი დაბანა დავიწყე. დროგამოშვებით სახეზე ვუყურებდი. თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ ეტყობოდა, სიამოვნებდა. მოყვითალო კანი მსუბუქად უოფლიანდებოდა. ნაცრისფერი ტუჩები დაძაბოდა და უპრიალედა. მეძინებოდა, მაგრამ მაინც ვაგრძელებდი მის წმენდას, სანამ მკლავეები მთლად არ გამიშვდა და ტყვიასავით არ დამიძიმდა.

13 აგვისტო

კანდიდო ხატვას აგრძელებს, მაგრამ მის ნახატებს არავინ ყიდულობს. სამი დღის უჭმელი იყო და ათი ათასი ლირა ვასესხე. წელი სტკივა იმ ნესტიან თოხში ყოფნით; კვების, წუნუნებს, ბრაზობს. რომ გადაუვლის, ხუმრობას იწყებს. ერთ დღეს ჩემს გასაცინებლად საჯდომი შეიღება მწვანედ. მერე საწოლზე დაჯდა და რომ ადგა, ზენარზე დიდი მწვანე ფერის გულის ფორმა დატოვა. ახლა ხახვების ხატივითაა შეპყრობილი. ყველგან აქვს მოდებული: იატაკზე, კედელზე დაკიდებული, კარის გასასვლელში, ფანჯრის რაფაზე, ლეიბზე, ლუმენზე...

16 აგვისტო

ჯულიოს მამა ისევ რომშია. მომავლისთვის დიდ გეგმებს აწყობს. შვილისთვის კარგი სამსახური უნდა მოძებნოს, გაისად დიპლომს რომ აიღებს. ჯერ კიდევ ვერ გაცნობიერა სინამდვილე ან შეიძლება, მიხვდა და თავს გვაჩვენებს, არ ვიცი. ასე მატყუარა როგორ არის ორივე, მამა-შვილი?! ვერ გაიგებ, რას ფიქრობენ.

22 აგვისტო

გუშინ სახლში ვისადილეთ. ჯულიოს მამაც იყო. ყავის შემდეგ ჯულიო წამოდგა, წიგნის საყიდლად მივდივარო. გავიდა და აღარ დაბრუნებულა. საღამოს ჩემი მამამთილი პოლიციამი წავიდა გასაცხადებლად. მერე საავადმყოფოები მოვიარეთ ერთად, მაგრამ არაფერი.

28 აგვისტო

ჯულიოსი არაფერი ისმის. ჩემი მამამთილი სულ მირეკავს. თავი მომაბეზრა უკვე. მთლად თეთრებში ჩაცმული დადის და თავზე ჭილის ქუდი ახურავს. ოფლიანობს და ლაპარაკობს. ლაპარაკობს და ოფლიანობს. გავუმხილე, ჯულიოს ყველა გამოცდა ტყუილი იყო-მეთქი. ვიცი, ვიცი, თქვა. მაშინ რატომ იქცეოდა ასე კრეტინივით?!

2 სექტემბერი

ჯულიოს სხეული ტვერეუმი იპოვეს. მე არ წავსულვარ ამოსაცნობად. არ მიწოდდა მისი ასეთ დღეში ნახვა. მამამისი წავიდა, თეთრებში ჩაცმული და თავზე ჭილის ქუდი.

8 სექტემბერი

გასვენება, ყვავილები, ეკლესია, სასაფლაო. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით — მე და მამამთილი. სად არიან მისი მეგობრები? — მკითხა. რომელი მეგობრები? ჯულიოს არასოდეს ჰყოლია მეგობრები, — ვუპასუხე. სულ იმ ტანსაცმელს იცვამს და ნერვებს მიშლის; თავზე სულ ის ჭილის ქუდი ახურავს, შავი ლენტით შემოყოლებული. იმედი მაქვს, ახლა მაინც დაბრუნდება თავის ქალაქში. მხოლოდ მისი შეხედვაც კი მუცელს მატკიებს.

30 ოქტომბერი

კანდიდო ჩემთან გადმოვიდა საცხოვრებლად. მართობს, მამხიარულებს. სახლში შიშველი დადის და მეზობელი ქალები გადამირია. მთელი ავეჯი წითლად და ყვითლად შემიღება. არაბულ და ჩინურ კერძებს ამზადებს და სახლს კვამლით მივსებს. ხატვით რომ დაიღლება, მოიკალათებს დერეფნის ერთ კუთხეში და დოლო უბრაზუნებს, რომელიც მხოლოდ სამზარეულოს კვანძია, მეტი არაფერი. ასე იქცევა შუალამემდე.

8 ნოემბერი

დავქორწინდით. მას სულ შავები ეცვა, მე კი ყვითლები. ქორწილის შემდეგ კანდიდოს ყველა მეგობარი ჩემთან მოვიდა სახლში. ოცდაათამდე იქნებოდნენ. ყველა უფულო მხატვარი და უმუშევარი მსახიობი იყო. ყველანი პურები ვჭამეთ და დილის სამ საათამდე ვსვით ლუდი. სამ საათზე ყველა ერთად წავიდა. სახლი საღორესავით დამიტოვეს. ვნახე, ერთს თეფშიც კი მოუშარდავს.

3 დეკემბერი

ხშირად გვაქვს სექსი. კანდიდომ ისე რომ იცოდეს ხატვა, როგორც სექსი, კარგი მხატვარი იქნებოდა. ასეთი კარგი სექსი ვერ სხვასთან არ მქონია. კიდევ კარგი, ხახვების ხატვა შეწყვიტა. ახლა მკვდრებს

ხატავს: ჩამოხრჩობილებს, გაფატრულებს, დამხრჩვალებს, მონამლულებს, დანადატრემულებს, ყელგამოჭრილებს...

25 დეკემბერი

შობაა. შარშან ამ დროს ჯულიოსთან ერთად სახლში ვიყავი გამოკეტილი. წელს კი სულ გარეთ ვარ. ამ საღამოს ნანდოსთან მივდივარ — მსახიობია, დაბალი, გამხდარი, ხშირად ჰომოსექსუალების როლის შემსრულებელი. ხვალ საღამოს ტელემაკოსთან წავალთ — მხატვარია, დიდი ოქროსფერი ნამუშევრები აქვს. ახალი წლის ღამეს ესტერასთან შევხვდებით — კომიქსების მსახიობია. გრძელ, ქერა, წელამდე ჩამოშვებულ პარიკს ატარებს. არასდროს არ იცინის, კბილები აქვს გაფუჭებული.

2 იანვარი

ერთი წელიც გავიდა — თავივით გაიპარა. კანდიდო მთელი ალტაცებით მეუბნება, ამ წელიწადს ჩემი ნახატებით ბევრ ფულს ვიშოვიო. იმედი... ესტერას სახლში, ახალი წლის ღამეს, ყველა დათვრა და აქეთ-იქით აღებინეს. ერთმა ფეხზეც დამარწყია. კანდიდომ, კიდევ კარგი, გზამდე გასვლა მოახერხა. ორი საათისთვის მოთოვა.

18 იანვარი

სახლში დავბრუნდი და ვნახე, სამზარეულოს მაგიდაზე კანდიდო ესტერასთან ერთად სექსით იყო დაკავებული. გავბრაზდი და ყვირილი დავუწყე. მითხრა, ეჭვიანობა სულელებს ახასიათებთო. ფეხებზე მკიდა, თუ ასეა. ჰოდა, მეც ვეჭვიანობ! გოგოს ხელი მოხვია და სახლიდან წავიდა.

22 იანვარი

მთელი ორი დღე არ დაბრუნებულა კანდიდო სახლში. ვფიქრობ, სულელი ვიყავი, მასთან რომ ვიქორწინე. აღარც კი ვიცი, მიყვარს თუ არა. მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი სექსი იცოდა... რა სულელი ვიყავი!

28 იანვარი

კანდიდო დაბრუნდა. თქვა, ესტერა ნაგავიაო. ვიცოდი... თქვა, აღარ მიწადა მასთან არაფერიო. მაშინვე დავკავდით სექსით, თითქმის ჩაცმულები.

4 თებერვალი

კანდიდომ ხატვა განაგრძო. მეგობრებთან ყველანაირი კავშირი შეწყვიტა. ახლა მთელი დღე წელშიმობრილი ხატავს. საღამოობით სექსით ვკავდებით, მერე ვიძინებთ.

6 მარტი

კანდიდომ ხატვას თავი დაანება, მკვდრებმა დალაღეს. მთელ დღეებს ახლა ქვაბზე ბრაზუნში ატარებს, დერეფნის კუთხეში, იატაკზე დამჯდარი. რაღაც არასასიამოვნო მოხდება, ვიცი.


17 მარტი

ესტერა გამოჩნდა. ერთად ვნახე. ჩემს ლოგინში ეძინათ ჩახუტებულებს. ორივე ძირს გადმოვყარე და გარეთ გავყარე. კანდიდომ ყვირილი დამიწყო, ნაგავი ხარო. ესაა ზუსტად ნამდვილი ქორწინება, თავისუფლებზე და სიყვარულზე დაყრდნობილი. ფეხებზე მკიდა ასეთი თავისუფლება. მე რომ მოვეფერო ვინმეს, ცოცხლად შემჭამს. ერთი საზიზღარი ეგოისტია!

7 აპრილი

კანდიდო დაბრუნდა. სექსი გვქონდა, მაგრამ უკვე ვხვდებოდი, დასასრულიც დამდგარიყო. აღარაფერს განვიცდიდი მის მიმართ, არც სიყვარული მქონდა და არც სურვილი. ახლა ამედეო მომწონს — მსახიობი ბიჭია, ესტერასთან გავიცანი; ახალგაზრდაა და დამარილებული თევზივით გამხდარი; თვალები ყვითელი აქვს, ლოყები — ცისფერი, თმები — შავი, ტუჩები — მწვანე; და რაც მთავარია, სექსის დიდი სურვილი აქვს.

თარგმანი მანია ტურაბელიძე



მარინა ბიუტნერი

შთაბორონებელი
ლიტერატურა

მონჰარდტის გამომცემლობიდან სრულიად განსაკუთრებული ლირიკული კრებული მივიღე. შტეფან მონჰარდტის მადლიერი ვარ, რადგან სწორედ მისი წყალობით ვეზიარე ამ არაჩვეულებრივ ლექსებს. შტეფან მონჰარდტმავე, მთარგმნელ ნანა ჭილაძესთან ერთად, აამეტყველა პოეზიის ენაზე ქართველი ლირიკოსის, ლია სტურუას, ლექსები. ასე შეიქმნა ორენოვანი გამოცემა, რომელიც ჩემ თვალში ძალიან ღამაზია, რადგან ქართული ასოთმობაზულობა განსაკუთრებულად მომწონს. ლია სტურუას ლექსები ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნიგნებიდან შეურჩევია.

თავში ეკონომიური ნათურა მინთია, სადაც მოკუნტულ ბავშვებს სცივათ, არც ვათბობ, არც ვამშვიდებ, პირდაპირ ლექსებში ვყრი, როგორც ნათლობის ტაშტში...

სათაური უკვე მინიშნებაა შთამაგონებელ ლიტერატურაზე. ის ხაზს უსვამს ენცეფალოგრამას, ტვინის ბიოსიგნალების ნევროლოგიურ „კარდიოგრამას“ და ამავე ფონზე გვახსენებს ადამიანის ტვინის დაუღლებლობას. ლია სტურუას ლექსები აქტიური, მოვლენებით მდიდარი ცხოვრების მოწმობაა. ცხოვრებისა, რომელიც სავსეა მძაფრი (როგორც კეთილი, ისე — ბოროტი) შთაბეჭდილებებით. ლია სტურუა თვითმხილველია მრავალი გადატრიალებისა, რასაც მის ცხოვრებაში, რასაკვირველია, უკვალოდ არ ჩაუვლია. შევიტყვე, რომ ის საქართველოში ერთ-ერთი პირველია იმ ქალთა შორის, ვინც ლიტერატურაში დამკვიდრდა როგორც ძლიერი და მეზობლი პიროვნება. ლექსების პირველი კრებული პოეტმა 1965 წელს გამოაქვეყნა. მისთვის, მითუმეტეს, როგორც ქალისთვის, დამახასიათებელ წერის თანამედროვე სტილს თავიდან სკეპტიკურად შეხვდნენ. დღესდღეობით ის თავის ქვეყანაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწერალია და მისი შემოქმედება უამრავი ჯილდოთია აღიარებული.

არსებითად, ის თავის ლექსებში ისევ და ისევ ქალის როლთან დაკავშირებულ თემატიკას უბრუნდება — საკუთარ პიროვნებას ქმნის როგორც ლირიკოსს. წარმოუდგენლად განსაცვიფრებელია, როგორ წერს ყველაფერ ამაზე — მაქსიმალურად თავდაჯერებული, იმავდროულად ყოველთვის გულდასმით იკვლევს და აშუქებს თავის თემებს. მისი მოქმედების არეალი მისივე სამყაროა, რომელიც თითქოს მოჯადოებული და სახეცვლილი ფორმით გვიბრუნდება ენობრივად ერთგვარად ხელოვნების დონეზე დახვეწილი

(არასოდეს ხელოვნური) მეტამორფოზებით. უამრავი ამბავი გამოცანასავით გამოიყურება, რომელიც პოეტის შინაგან ენაზე ამეტყველებული. და მაინც, ისინი ის ამოცანებია, რომლებიც სიამოვნებით ელოდებიან ამოხსნას და რომელთა გაშიფრვაც ცალკეული მკითხველის ინდივიდუალურ შესაძლებლობაზე დამოკიდებული.

ზამთარი ისეთი ხასიათის, მდულარე წყალს რომ ნარინჯისფერი ჭიქა უხდება, ყოველდღე ქარი... როცა ჩადგება, კბილებს ხეებზე ტოვებს, მერქანი ტკივათ...

ლია სტურუას ლექსები სურათებს ბადებენ, თანაც ისეთი სისწრაფით, რომ ისინი ჩემ წარმოდგენაში მაშინვე მხატვრულ ტილოებად გარდაიქმნებიან. ლექსების ამ კრებულის კითხვა ნახატების გალერეაში შთაბეჭდილებებით სავსე გასეირნებას, ან გნებავთ, მყუდრო ბაღში ხეტიალს ჰგავს...

თეთრი ფერი სულ არ მიხდება, სახიდან ხასიათს მირეცხავს, გინდა პეიზაჟი დახატე, გინდა პორტრეტი, ორივეს აიტანს...

პოეტის თემები უხვი და მრავალფეროვანია. მშობლები, ბავშვობა, ქვეყანა, სიყვარული და აგრეთვე — ავადმყოფობა, სიბერე... სტრიქონებს შორის საზოგადოების კრიტიკაც იგრძნობა. უდიდესი ენერჯია მოედინება ამ ყველაფრიდან მაშინაც კი, როცა ზოგიერთ ლექსში წინააღმდეგობრივი ან ურჩი გრძნობები იბადება. ამასთან დაკავშირებით ერთადერთი აზრი მომდის — ხელის ჩაქნევის ნაცვლად თავდაუზოგავი შემართება.

ამ ტექსტების მიმართ, იმდენად ახლობლად მეჩვენება, აბსოლუტურად წმინდა ალტაცებას განვიცდი. სულერთია, რომელ გვერდზე გადავშლი კრებულს, მაშინვე მასთან ვარ. იშვიათად მიგრძნობია ასეთი რამ ლექსებთან მიმართებაში, რომლებიც კითხვისას პირდაპირ ენერჯიად გადაიქცევიან. ნამდვილი შუქურაა!

ლია სტურუას ლირიკული კრებული „ენცეფალოგრამა“ (კრებული გერმანულ ენაზე ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ითარგმნა — მთარგმნელები: ნანა ჭილაძე, შტეფან მონჰარდტი) გამომცემლობა Edition Monhardt-მა დაბეჭდა (ბერლინი, 2018).

თარგმანი ნანა ჭილაძე

პრიტიკოსი

ლევან ბრეგაძე

ამ ადამიანს ლიტერატურის მოყვარულთა წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. კარგა ხანია, დაიბეჭდა თავისი ნიშა, როგორც არაერთი საინტერესო ნიგნისა და პუბლიკაციის ავტორმა. გარდა იმისა, რომ მწერლობის მისეული ხედვა ყოველთვის საყურადღებოა, არის კიდევ ერთი მტრისი, გნებავთ თვისება, რომელიც პირადად ჩემთვის ყველაზე კარგად მიესადაგება მის პერსონას. კრიტიკოსი, რომელიც ყოველთვის თანამედროვეა — ასე შეიძლება მოკლედ და ამომწურავად ლევან ბრეგაძის დახასიათება. ეს საუბარიც თანამედროვე სალიტერატურო პროცესებს ეხება.

— ამ ინტერვიუს იდეა თქვენი ერთი ჩანაწერიდან გაჩნდა, სადაც გვიყვებით, რატომ იწყებენ წერას ცნობილი მწერლები, რა უბიძგებს მათ ამისკენ. საკმაოდ გულახდელი პასუხებია, ძირითადად, უცხოელი ავტორების: ზოგისთვის ეს „შიდაფსიქიკური დეფიციტია“ (ნორბერტ შტერნშეტი), ზოგისთვის — ნაკლის კომპენსაცია (გიუნტერ კუნერტი), სულიერი დისკომფორტი (შტეფან ცვაიგი) და ასე შემდეგ. ჩვენი საუბარიც ამ „საფრთხობელა-შეკითხვით“ დავიწყეთ — კრიტიკოსის შემთხვევაში რა არის მიზეზი, რა უბიძგებს წეროს სხვა ავტორის ნაწერზე? ისიც საინტერესოა, თუ გქონიათ ოდესმე სურვილი, ბედი მხატვრულ ლიტერატურაში გეცადათ?

— ბავშვობაში ლექსებს ვწერდი. მერე ჟურნალისტობა მინდოდა და თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე განვაგრძე სწავლა. კრიტიკოსობაზე არასოდეს მიფიქრია (ანკი ვინ ოცნებობს ბავშვობაში კრიტიკოსობაზე!). კრიტიკოსობა რამ დამაწყებინა და... აღშფოთების გრძობამ დამაწყებინა. იმ დროს გერმანული უკვე კარგად ვიცოდი და გერმანულიდან თარგმნილი ერთი რომანის კითხვისას დავინტერესდი ეს ადგილი დედანში ნეტა როგორ არის-მეთქი! (თარგმანში გაუგებარი რაღაც ეწერა). ჩაზედე და... მტრისას, რაც აღმოვაჩინე: დედანი ალთას, თარგმანი ბალთას! ასე დაინერა ჩემი პირველი კრიტიკული წერილი, რომელიც მალევე დაიბეჭდა მწერალთა კავშირის აღმანახ „კრიტიკაში“ 1974 წელს. თარგმანის კრიტიკით ბევრს დაუნყია კრიტიკოსობა, ალბათ იმიტომ, რომ თარგმანის შეფასება ბევრად ადვილია, ვიდრე ორიგინალური თხზულებისა — თარგმანის შეფასებისას ეტალონი დედნის სახით ხელთა გაქვს!

მაგრამ მხატვრული ტექსტის შესაფასებლად მართო აღშფოთება ხომ არ გვიბიძგებს! რაც მოგვწონს, იმაზეც ხომ ვწერთ? რა გვაძლევს ამის ხალისს? რატომ გვიჩნდება (მე, პირადად მიჩნდება!) იმის შეგრძნება, რომ კრიტიკული წერილი (მაგალითად, აკაკი ბაქრაძისა) მეორეული ლიტერატურა კი არ არის, როგორც ფიქრობენ ხოლმე, არამედ თანაბარი უფლებით დგას პროზისა თუ პოეზიის საუკეთესო ნიმუშების გვერდით? ამ კითხვებს დამაჯერებელი პასუხი გასცა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ლიტმცოდნეობის იმ დარგმა, რომელსაც რეცეფციული, ანუ აღქმის, ესთეტიკა ჰქვია. ამან ძალიან აამაღლა მკითხველის სტატუსი — მხატვრული ტექსტის თანაავტორად გამოაცხადა იგი. ხოლო, თუკი ყოველი რიგითი მკითხველი თანაავტორია, მით უფრო ალალია ეს წოდება პროფესიონალი მკითხველის — ლიტერატურის კრიტიკოსისთვის! უცბად რომ გახდეს ნათელი, საით მიმავს მსჯელობა, ზემოთ უკვე ნახსენები აკაკი ბაქრაძის ერთ გამონაკვამს დავიმონებ: „კრიტიკას მაშინ აქვს ფასი, თუ კრიტიკოსმა მხატვრულ ნაწარმოებში წაიკითხა ის, რაც სხვამ ვერ წაიკითხა... კრიტიკამ სხვა ჟანრის ნაწარმოებს, რომელსაც იგი განიხილავს, რაღაც უნდა მიუმატოს“ (იგულისხმება: ისეთი რამეც უნდა მიუმატოს, რაზეც ავტორს არც უფიქრია. ეს არ გულისხმობს თვითნებობას ინტერპრეტაციისას — ნებისმიერი მხატვრული ტექსტი ბუნებრივად შეიცავს იმის პოტენციალს, რომ ავტორის ჩანაფიქრი განვავრცოთ. საზოგადოდ, მხატვრული ტექსტის ანალიზის მიზანი ის არის, რომ გავიგოთ და ვიცოდეთ ეს ტექსტი მის ავტორზე უკეთ. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ავტორებს ხშირად აღიზიანებთ, როცა ამჩნევენ, რომ სხვამ მათი შექმნილი ტექსტი მათზე უკეთ იცის. თითქოს ეჭვიანობენო!). აი, აქ არის საძებარი იმის მიზეზი, თუ რატომ შეიძლება, გაგიტაცოს ამ პროფესიამ. აქედან ჩანს, რომ კრიტიკა შემოქმედებაა. აქედან ჩანს, რომ ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ მისი ავტორისათვის სიამოვნების ისეთივე წყაროდ შეიძლება იქცეს, როგორც არის ლექსი თუ მოთხრობა. ეს — ავ-

ტორისთვის!... ხოლო თუ გვინდა მკითხველსაც სასიამოვნოდ დაურჩეს კრიტიკული ოპუსის გაცნობა, საჭიროა იგი (ეს ოპუსი) ისე აიგოს კომპოზიციურად, როგორც ნოველა აიგება, კერძოდ, დეტექტიური ნოველა: იქ უნდა იყოს ძიება და მოულოდნელობები — მკითხველის მოლოდინები ხშირ-ხშირად უნდა ცრუდებოდეს. ყოველივე ამის საფუძველთა საფუძველი კი ლიტერატურის დიდი სიყვარულია.

— თქვენ ის ადამიანი ბრძანდებით, რომელიც გასული საუკუნის 60-70-იანებიდან მოყოლებული ადევნებთ თვალს სალიტერატურო პროცესებს. დღეს უკვე ახალი საუკუნის მეორე ათწლეული იწურება. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა 21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურ-

ვაც არის — ახალ თაობას ნაკლებად ალელვებს წინამორბედთა მოსაზრებები. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ვისაც წინამორბედთა მოსაზრებები არ ალელვებს და არ აინტერესებს, იმას არ ჰყვარება თავისი საქმე და ის პროფესიონალად ვერ ჩათვლება! მართალი ბრძანდებით: ახალი თაობის მწერლები საბჭოთა ხანაში მცხოვრები მათი წინამორბედების მიმართ სათანადო ინტერესს არ იჩენენ; როგორც ჩანს, ფიქრობენ, იმ დროს, როცა ლამის ყველაფერი აკრძალული იყო, ყურადსაღები რა უნდა დაენერათო! ძირშივე მცდარი მოსაზრებაა! რაც უფრო მკაცრი ცენზურა, მით უფრო მაღლდება მწერლის ოსტატობის დონე. მხატვრული ტექსტი იმით განსხვავდება არამხატვრული ტექსტისაგან, რომ მასში სათქმელი მართო სიტყვებით კი არა, ამ სიტყვათა ორგანიზების მეშვეობითაც, ანუ სათქმელის გადმოცემის ფორმითაც გამოიხატება. ამის წინააღმდეგ კი ცენზურა უძლურია. ანალოგიისთვის: ზეპირმეტყველებისას თანამოსაუბრის ლაპარაკის მანერა, ინტონაცია და გამომეტყველება (ჟესტი, მიმიკა) მეტს გვეუბნება ხოლმე, ვიდრე სიტყვები, რომლებსაც იგი წარმოთქვამს. იმ როლს,



ის ევალდება, რომ, როგორც თავისი ეპოქის ასევე ზოგადად ადამიანური არსებობის პრობლემებზე დაგვაფიქროს. ხელოვნების, მათ შორის სიტყვიერი ხელოვნების, მწერლობის, უმთავრესი დანიშნულებაა კათარსისი — თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვი — ადამიანთა განთავისუფლება (განმენდა) ნევროზებისაგან (რომლებიც, ჩვენ, მოკვდავთ და ცოდვილთ, უთვალავი გვაქვს), ან, უფრო ზოგადად თუ ვიტყვი, მკითხველის სულიერი დისკომფორტის გაქარწყლება მწერლობის მოვალეობა (ლევან ბერძენიშვილს აქვს ამის თაობაზე ჩინებული ლექციები!).

ერის წინამძღოლის ფუნქციას მწერლობა იძულებით კისრულობს უპარლამენტო ქვეყნებში, სადაც ხალხს თავისი ინტერესების გამოხატვა და მათი განხორციელებისთვის ბრძოლის შესაძლებლობა არა აქვს. ამასაც კარგად განვიტარებელი ჟურნალისტისტიკა მწერლობაზე უკეთ ახერხებს.

— ტექსტების აღქმასთან დაკავშირებით მაინტერესებს თქვენი მოსაზრება — საბავშვო ლიტერატურის, განსაკუთრებით კი, ლექსების მიმართ ბოლოდროინდელ არაადეკვატურ რეაქციებს ვვლისხმობ. როდესაც საზოგადოების დიდ ნაწილს საბავშვო ტექსტების გააზრების პრობლემა აქვს, როგორ შეიძლება მას სერიოზული ნაწარმოების აღქმა და ანალიზი მოვთხოვოთ? აქ მკითხველის პრობლემა დგება — ვისთვისაც, ვკინდა თუ არ ვკინდა, მწერალი თავის პროდუქციას ქმნის.

— დიდების მიერ საბავშვო ტექსტების მცდარად გააზრების პრობლემა, რამაც ცოტა ხნის წინ ჩვენს სოციალურ ქსელებში იჩინა თავი, არ ახალია. ბავშვთა ფსიქიკის შესანიშნავი მცოდნე და ნიჭიერი საბავშვო პუბლიკისტი კორნეი ჩუკოვსკიც, ავტორი ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ჩინებული ნიგნისა „ორიდან ხუთ წლამდე“, მრავალჯერ გაატარეს კრიტიკის ქარცეცხლში მისი „აბსურდული“ საბავშვო ლექსების გამო, რომელთა მსგავსი ქართულ ფოლკლორშიც ბევრია და არც ქართული პროფესიული საბავშვო მწერლობა უჩივის მათ ნაკლებობას. ამ ყაიდის ლექსები იგულისხმება: „სანთლის გუთანს გავაკეთებ, / შიგ შევანამ ულელ დევსა, / ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ, / მშრალზე ვინადირებ თევზსა“ (ხალხური), „წიგნს კითხვობს კალმახი, / არ სჭირდება კარნახი“ (მაყვალა მრეცილი). ზღვაში ხვნა-თესვა და მშრალზე თევზაობა ვინ გაიგონაო, სად კალმახი და სად წიგნი, აღშფოთებას ვერ მალავენ სერიოზული ბიძიები და დეიდები... ბავშვები კი ძალიან ხალისობენ ამგვარ ლექსებზე, ისინი ყმანვილებს დაკვირვების უნარს უფითარებენ, მათი კითხვისას თუ მოსმენისას ბავშვი ხდებდა, რომ წინ წაუწევია სამყაროს შეცნობის გზაზე და მის მოტყუებას ადვილად ვერავინ შეძლებს! ეს კი მასში ბედნიერების განცდას იწვევს...

რაც შეეხება ზრდასრულ მკითხველთა მიერ „სადეიდო“ მხატვრული ტექსტების აღქმა-გაგების საკითხს, აქ, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ თამამად გამოთქვით ჩვენი, მართებული თუ მცდარი, აზრი ნაკითხულზე, რის ჩინებულ შესაძლებლობასაც იძლევა სოციალური ქსელები, სადაც მრავალი მძაფრი კამათის მომსწრენი გავხლთ კიდევაც. მხოლოდ ამ გზით —



ამი? სად გვიჭირს, სად გვილხინს, რა მიმართულებით ვითარდება ჩვენი მწერლობა? რა გავლენას ახდენს ამ ყველაფერზე თანამედროვე ტექნოლოგიები?

— ტექნოლოგიები დავიწყეთ. კომპიუტერმა და ინტერნეტმა ერთობ გააადვილა ტექსტის შექმნისა და მერე მისი მკითხველამდე მიტანის პროცესი — ზღაპრულად გააადვილა! ამას მიუმატებ სიტყვის დღევანდელი თავისუფლება, რითაც გასული საუკუნე ჩვენში თავს დიდად ვერ იწონებდა... ესენი უმნიშვნელოვანეს განსხვავებებს ქმნის ადრინდელი და ამჟამინდელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურული ცხოვრების პირობებს შორის. მაგრამ უცნაურია, რომ ყოველივე ამან ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება უფრო საინტერესო არ გახადა. ინტერესი ლიტერატურული მოვლენების მიმართ ადრე უფრო დიდი იყო. ალბათ იმიტომ, რომ მაშინ ინტერესის „დასაბანდებელი“ ისეთი სფეროები, როგორიცაა ბიზნესი და პოლიტიკა, ფაქტობრივად არ არსებობდა. პრესის ფურცლებზე თითქმის აღარ იმართებდა მწერლობის საკითხებზე დისკუსიები და პოლემიკები, რომელიც 70-იანი წლების შუა ხანებიდან უკვე ძალიან აცოცხლებდა ლიტერატურულ ცხოვრებას. საინტერესო, სასარგებლო და დაუვიწყარი იყო მძაფრი პოლემიკები ენის საკითხებზე, თარგმანის პრობლემებზე, თანამედროვე პოეზიის, პროზის, სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობაზე... ლიტერატურული პრესის ფურცლებიდან პოლემიკა რომ გაქრა, ამისი მიზეზი, ნაწილობრივ მაინც, ჩემი აზრით, ის უნდა იყოს, რომ კამათის ჟინს სოციალურ ქსელებში ვიკლავთ — ამ ასპარეზზე კი დაუნდობლობით გამოჩნდები, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, ნაკლები სიღრმისა და ხშირად პასუხიმგებლობის გრძობისაგან სრულიად დაცლილი დისკუსიები იმართება დღეს, რასაც სარგებლობაზე მეტი ზიანი მოაქვს.

— თაობათა შორის ურთიერთობაზე მინდა გკითხოთ — მამათა და შვილებისა და პირისპირება ლიტერატურაში ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა ბოლოდროინდელ ქართულ მწერლობაში მსგავსი რამ ნაკლებად იგრძნობა. გარკვეული თვალსაზრისით, ეს მაინცდამაინც სახარბიელო არ უნდა იყოს — ერთგვარ სტაგნაციას შეიძლება მიზეზი სხ-

რასაც ზეპირმეტყველებაში ინტონაცია, ჟესტი და მიმიკა თამაშობს, მხატვრულ ტექსტში მისი ის ელემენტები ასრულებს, ნაწარმოების ფორმად რომ მოვიხსენიებთ ხოლმე.

— ერთგან, სადაც მამათქვენის, სოლომონ ბრეგაძისა და მისი ბბლოთეკის შესახებ საუბრობთ, ასეთ რამეს ამბობთ: იმ დროში, როცა ბევრი რამ იყო აკრძალული, წიგნი უკავშირდებოდა თავისუფლებას. დღეს, როცა ეპოქა შეიცვალა და თავისუფლება აღარ არის ისე სანატრელი, ლიტერატურა მაღალი იდეალებისგან გათავისუფლდა და გარკვეულწილად, სამომხმარებლო ფუნქცია შეიძინა, თანამედროვე მწერალი ერის წინამძღოლად აღარ განიხილება, რა შეიძლება მივიჩნიოთ ლიტერატურის მთავარ დანიშნულებად?

— თავისუფლება რომ სანატრელი აღარა გვაქვს, ეს დიდწილად სწორედ ჩვენი მწერლობის დამსახურებაა. და ახლა ჩვენი ლიტერატურაც უბრუნდება თავის ნამდვილ დანიშნულებას. არც ჰომეროსი, არც ევრიპიდე, არც არისტოტელე და დანტე ერის წინამძღოლებად არ მიიჩნეოდნენ. მწერალს

Advertisement for 'LITVANI' magazine. Text includes 'ლიტვანი', 'მოთხრობები', 'ლიტერატურული', '1500-გვერდი', 'ჟარგონული სიტყვა და გამოთქმა'.

Advertisement for 'LITVANI' magazine. Text includes 'ლიტვანი', 'ქართული ჟარგონის ლექსიკონი', '1500-გვერდი', 'ჟარგონული სიტყვა და გამოთქმა'.

საკუთარი აზრის სხვათა, უპირველეს ყოვლისა, ამ საქმის პროფესიონალითა, აზრებთან შეჯერების მეშვეობით — არის შესაძლებელი იმ მომხიბლავ სამყაროში სწორად ორიენტირების უნარის გამოუმუშავება, რომელსაც მხატვრული ლიტერატურა გვთავაზობს.

— ბოლო წლებში ლიტერატურაში მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ ქალები — პროზაშიც და პოეზიაშიც. არაერთი საინტერესო ავტორი გამოჩნდა. როგორ ფლერს მათი ხმა და რა განწყობა შემოიტანეს თანამედროვე ქართულ მწერლობაში?

— დიახ, ძალიან გამოიჩინეს თავი ქართველმა ქალებმა პროზაშიც, პოეზიაშიც და სალიტერატურო კრიტიკაშიც... თქვენ წარმოიდგინეთ და დრამატურგიაშიც... ჟურნალიტიკაში ხომ სულაც გაბატონებული პოზიცია უკავიათ! ერთობ გამოაცხადეს სალიტერატურო ცხოვრება — არამარტო როგორც ავტორებმა, არამედ როგორც ორგანიზატორებმა! მწერალთა სახლს, ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, რამდენიმე ძლიერ გამოცემლობას ქალები ხელმძღვანელობენ და დიდი წარმატებით უძღვებიან ორგანიზაციული თვალსაზრისით მეტად რთულ საქმეებს. ასე რომ, ქალების ხმა თანამედროვე ქართულ მწერლობაში ომბახიანად ჟღერს!

ათი წლის წინ ბაკურ სულაკაურის გამოცემლობაში გამოვეცი „მოთხრობები ლიტერატურაზე“ და სულ ახლახან მივაქციე ყურადღება იმას, რომ ხუთ შესანიშნავ ქალ ავტორზე მქონია მასში სტატიები: დალი ფანჯიკიძეზე, გურჯა კვარაცხელიაზე, ნაირა გელაშვილზე, ნინო დარბაისელსა და ანა კორძაია-სამადაშვილზე.

წიგნში „ლიტერატურული (გამო)ციებანი“, რომელიც „არტანუჯმა“ გამოიქცა 2011 წელს, კიდევ ცხრა ქალი ავტორის შესახებ დანერგული წერილები შემიტანია, ესენია: ბარბარე ჯორჯაძე, ნუცა ლოლობერიძე, ანა კალანდაძე, მანანა ამირეჯიბი, ბელა ნიფურია, ლალი დათაშვილი, მანანა აბაშიძე-ავალიანი, ქეთი თუთუბერიძე, მიახ სარიშვილი.

არ ვტრიაბახობ... პირიქით: ვიცი, რომ ცოტაა!

მეკითხებით, რა განწყობა შემოიტანეს ქალმა ავტორებმა თანამედროვე ქართულ მწერლობაში. კონკურენტული განწყობა შემოიტანეს, განაღდა ერთგვარი ინტელექტუალური შეჯიბრი ქალ და ვაჟ ავტორებს შორის. მამაკაცი და ქალი ანატომიურად და ფიზიოლოგიურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ არა ინტელექტუალურად, და არც წარმოსახვის (ფანტაზიის), ანუ სპეციფიკური მწერლობის უნარის, მხრივ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ზოგჯერ ჰგონიათ, თითქოს ქალები და კაცები სხვადასხვანაირად აღიქვამენ სამყაროს და მერე კი სხვადასხვანაირად აღსახვენ მას, ანუ სხვადასხვანაირად წერენ, რაც სწორი არ არის. იმის თქმა მინდა, რომ მწერლობა ვერ დაიყოფა ქალებისა და კაცების მწერლობად, ისე, როგორც სპორტი იყოფა ქალებისა და მამაკაცების სპორტად, რაც მათ შორის ანატომიურ-ფიზიოლოგიური განსხვავებულობის შედეგია. ინტელექტუალურ სფეროში ასე არ არის. ლექსი თუ მოთხრობა ქალმა დანერგა თუ კაცმა, ამის გამოცნობა ისევე შეუძლებელია, როგორც

იმის მიხედვით, ქალმა მზარეულმა დაამზადა კერძი თუ კაცმა, ქალმა დიზაინერმა შექმნა ტანსაცმლის ესა თუ ის მოდელი თუ კაცმა დიზაინერმა. ნაწერით ავტორის სქესის გამოცნობა რომ შეიძლებოდეს, ამას ვინ დაასწრებდა კრიმინალისტებს!

— გასულ წელს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას ვგულისხმობ, რომელიც რაღაც კუთხით, საეტაპოა თანამედროვე ქართული ლიტერატურისთვის. არაერთი ნაწარმოები ითარგმნა — თანამედროვეც და კლასიკურიც. რასაკვირველია, ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ მნიშვნელოვანი წვეთი, რომელსაც უკვე მოჰყვა გამოხმაურება — ცოტა ხნის წინ საქართველოს 2021 წელს საფრანგეთის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრის სტატუსი შესთავაზეს. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს ეს მოვლენა და რა როლს ითამაშებს ქართული ლიტერატურით დანარჩენი მსოფლიოს დაინტერესებულნი? რა შანსები გვაქვს ამ მიმართულებით და რით შეიძლება აღმოჩნდეთ საინტერესო სხვებისთვის?

— დიახ, ფრანკფურტის ექო ვერაც არ მიმცხრალა და უკვე პარიზის პერსპექტივაც გაჩნდა! ფრანკფურტი რომ ჩვენთვის წარმატებული გამოდგა, გერმანული პრესის გამოხმაურებებიდანაც ჩანს და თავადაც თვალნათლივ დავრწმუნდი იმ ხუთი დღის განმავლობაში, ბაზრობაზე რომ დავყავი. ზემოთ რომ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი ვახსენე, მისმა გუნდმა სასწაული მოახდინა: ოთხივე წელიწადში ქართული მწერლობის რამდენიმე ასეული ნიმუში ითარგმნა და გამოიცა გერმანულ და სხვა ენებზე და, თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიო ასპრეზზე „არ ავად“ წარმოგვჩნდით! იმედია, არანაკლებ წარმატებული იქნება პარიზის ბაზრობაც!

ქართულ ლიტერატურას, ძველსაც და თანამედროვესაც, აქვს ისეთი სათქმელი, რაც სასარგებლო უნდა აღმოჩნდეს დღევანდელი მსოფლიოსთვის. ადრე დაგვჩვენებდა ახლაც უნდა თავი გამოეჩინა: ჩვენ მოგვეპოვება რაღაც ისეთი, რაც სხვებს არა აქვთ, არადა — სჭირდებათ. დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი თავსატეხი აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებს შორის არსებული ანტაგონიზმია. ღრმად ვარ დაინტერესებული, რომ უმდიდრეს და უმრავალფეროვანეს ქართულ ხელოვნებას, მათ შორის ქართულ მწერლობასაც, იმის გამო, რომ დასავლურ-აღმოსავლურ კულტურულ ღირებულებათა ორგანული შერწყმის მაგალითია (რასაც ჩვენ თვითონ იქნებ ყოველთვის ვერ ვგრძობთ დეი, მაგრამ უცხო თვალს და ყური კარგად ამჩნევს), შეუძლია თავისი უნიკალური წვლილი შეიტანოს ამ უმწვავესი პრობლემის მოგვარებაში. იტალიელი ქართველოლოგის ლუიჯი მაგაროტის აზრით, თანამედროვე გადასახედიან საქართველოში მოიაზრება როგორც „ხიდი ევროპულ და აზიურ ცივილიზაციებს შორის“.

— 2000-იანების შემდეგ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა — მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარებას ვგულისხმობ. იმატა მაღალმხატვრული თარგმანების რაოდენობამ და აზიური კარგი მთარგმნელი გამოჩნდა.

უხარისხოც ბევრია, თუმცა ფაქტია, რომ ლიტერატურულ კონკურსებზე ჟიურის წევრებს ყველაზე მეტად ამ ნომინაციაში უჭირთ საუკეთესოს გამოვლენა. გაიზარდა მოთხოვნა ქართულ თარგმანებზე. დაინტერესდნენ თარგმანების უპირატესობის მითი. როგორ ფიქრობთ, რა გავლენა ამ ყველაფრის მიზეზი?

— დიახ, დღეს ქართულად ბევრი ითარგმნება, თანაც ძირითადად — დედნის ენიდან, რაც ძალიან სასიხარულოა! რაც შეეხება ხარისხს: ყველა დროისა და ყველა ქვეყნის თარგმანთა უმეტესობა უხარისხოა, კარგი თარგმანი იშვიათია, რაც არ ნიშნავს იმას, რომ უხარისხო თარგმანები უნდა გადავყაროთ — მათგანაც შეიძლება სარგებლის ნახვა (თომას მანს უთქვამს, იმ რომანს რა ვუთხარი, ცუდ თარგმანშიც რომ ინტერესით არ იკითხებო!); კარგი თარგმანი იმას გამოუდის, ვისაც ტექსტის ანალიზური ნაკითხვა შეუძლია, ფორმალური ნაწილის დიალექტიკა ესმის. მხატვრულ ტექსტში ყველაფერს მნიშვნელობა აქვს, ყველაფერს აზრობრივი დატვირთვა ენიჭება — მოკლე, მარტივი ფრაზებით წარმოებს თხრობა, თუ ვრცელი და რთული სინტაქსური პერიოდებით, ტექსტის ენა სადაა თუ ტროპული მეტყველების ფორმებით და იდიომებით არის გაჯერებული, ეს ყოველივე და სხვა ამგვარი ფორმისეული მოვლენები მხატვრულ ტექსტში აზრობრივ დატვირთვას იძენს, რაღაცას ნიშნავს, და თუ ესენი თარგმანში არ გადავიტანთ (შეძლებისდაგვარად!), მთლად დედნის აზრი თუ არა, აზრობრივად მნიშვნელოვანი ნიუანსი მანაც შეიცვლება.

რაც რუსულ თარგმანებზე ბრძანეთ, მართალია: აპრიორულად იყო მიღებული, თითქოს რუსული თარგმანები ბევრად ჯობდა ქართულს. ამისი მთავარი მიზეზი ის მგონია, რომ საქართველოში ცოტამ იცოდა ისე კარგი რუსული, როგორც რუსული თარგმანების ნაკლოვანებების შესამჩნევად არის საჭირო, რაც სრულიად ბუნებრივია. მაგრამ თუ რუსულ მთარგმნელობით კრიტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ რუსებსაც, ისევე როგორც ყველას, ამ სფეროში რაღაც გამოუდიოდათ და რაღაც — არა. მაგალითად, ძალიან კარგად ითარგმნა იდენე ჰაინრიხ ჰაინესი, რაც არ ითქმის გოეთეზე. ან კიდევ — აღმოსავლური პოეზიის ქართული თარგმანები რუსულ თარგმანებზე უკეთესია. თავში ვთქვი, ჩემი პირველი კრიტიკული წერილი თარგმანზე დავწერე-მეთქი. ჰოდა, ვითომდა გერმანულიდან, სინამდვილეში კი რუსული თარგმანიდან შესრულებული იმ ქართული თარგმანის (თარგმანის თარგმანის) ნაკლოვანებათა ძირითადი ნაწილი რუსული თარგმანიდან მომდინარეობდა. ასე რომ, იმ სტატიაში არსებითად ქართულს კი არა, რუსულ თარგმანს ვაკრიტიკებდი!

— და კიდევ ერთი: ყველაფრის მიუხედავად, ჯერჯერობით თანამედროვე მთარგმნელობითი სკოლაზე, როგორც ეს იყო წლების წინ — ნიკო ყიასაშვილის, ბაჩანა ბრეგვაძის, დავით წერეთლისა და სხვათა შემთხვევაში, არ საუბრობენ. როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო ამ სკოლის შექმნისთვის და როდის შეიძლება ამაზე ლაპარაკი?

— იმ შემთხვევათაგან, ვინც თქვენ ახლა დასახელებთ (მათ გვერდით ვახტანგ ჭელიძე, გურამ გოგიაშვილი, მაგალი თოდუა, ვახუშტი კოტეტიშვილი და გიორგი და კარლო ჯორჯანელიც უნდა მოვიხსენიოთ), თარგმნა ძირითადი საქმიანობა იყო, ამას მიუძღვნეს თავიანთი დროისა და ენერჯის უდიდესი ნაწილი, რაც მათი წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ახლაც არიან თარგმანზე მათსავით თავგადადებული ახალგაზრდები (გიორგი ლობჯანიძე, მიახ ბადრიძე, ხათუნა ცხადაძე, თამარ სუბელიანი...), სკოლის ჩამოყალიბებას კი დრო სჭირდება... დაველოდოთ...

— თუ არსებობს რაიმე სახის განსხვავება ძველი და ახალი თაობის მთარგმნელებს შორის? რა ტიპის გავლენას ახდენს ახალი თარგმანები სალიტერატურო ენის განვითარებაზე?

— ძველი და ახალი თაობის მთარგმნელებს შორის ერთი განსხვავება ის არის, რომ ძველების უმეტესობამ ქართული უკეთ იცოდა, ვიდრე უცხო ენა, ახლებთან კი ეს პირიქით არის. არადა, თარგმანის წარმატებას იმ ენის ღრმა ცოდნა განაპირობებს, რომელზეც ვთარგმნით. სალიტ-

ერატურო ენის განვითარებაზე თარგმანი ყველანაირ გავლენას ახდენს — ლექსიკურს, სინტაქსურს, სტილისტიკურს... ზემოთ დასახელებულ მთარგმნელებს უზარმაზარი დამსახურება მიუძღვით ქართული სალიტერატურო ენის დახვეწა-განვითარებაში.

— რადედა ენას შეეხებით — შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თავისებურებებზე, მის მახასიათებლებზე? არსებობს მკვეთრად გამოხატული ტენდენციები?

— დიახ, არსებობს მკვეთრად გამოხატული ტენდენციები, ოღონდ... უარყოფითი. დამჭლევდა დღევანდელი სალიტერატურო ქართული, ესპერანტოს დაემსგავსა, რომელსაც ნიუანსების გამოხატვა არ შეუძლია. დღევანდელი მხატვრულ ტექსტების უმეტესობას რომ ვკითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ავტორი ერთი სული აქვს, როგორმე გადმოგვცეს სათქმელის მთავარი აზრი და გამოხატვის სიზუსტეზე არც ფიქრობს.



მეორე არასასურველი ტენდენცია ბილნსტიკვაობის ანუ სიძულვილის ენის მომღვაწეობაა მხატვრულ ტექსტებში. სადაც კი ყურადღების მიპყრობას ამ გზით — ბილნსტიკვაობითა და სიძულვილის ენით — ცდილობენ, იქ ცუდად არის მწერლური ოსტატობის საქმე — იქ ნიჭიერებას გასჭირვებია!

— აუცილებლად უნდა გკითხოთ „ქართული ჟარგონის ლექსიკონზე“, რომლის ავტორიც ბრძანდებით. პირველი გამოცემა 1999 წელს გამოვიდა და 600-ზე მეტ სიტყვას მოიცავდა. თუ არ ვცდები, მესამე, 2013 წლის გამოცემაში ეს რიცხვი 1500-ს გააცდა. მუშაობთ თუ არა ამ მიმართულებით და მეოთხე, კიდევ უფრო შეესებულ ვერსიასაც ხომ არ უნდა ველოდოთ?

— ჟარგონის ლექსიკონზე მართლად დიდი სიამოვნებით ვმუშაობ ავტორ უკვე ლამის ნახევარი საუკუნეა, მაგრამ მეოთხე გამოცემას ალბათ ვეღარ მოვასწრებ — დრო ცოტა დამრჩა ამქვეყნიური არსებობისთვის და მინდა სხვა რამეებზე დავხარჯო. თუმცა სალექსიკონო მასალა ძალუწებურად მიგროვდება. ბევრი ახალი საინტერესო სიტყვა და გამოთქმა გაჩნდა. მაგალითად, „დაუძაბა“, „აკვდება“ („ხედგამოჭრილია“-ს მნიშვნელობით!), „აკრეფილი აქვს“ („გაბარაზებულია“-ს მნიშვნელობით). საიდან სად!.. რა უცნაურია ენა, არა?! შეიძლება სტატიების სახით გამოვაქვეყნო მათზე რამე.

— და ბოლოს, ლიტერატურულ კრიტიკაზე — წლებია, გრძელდება წუხილი ლიტერატურულ კრიტიკასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ უფროსი თაობის ცალკეული კრიტიკოსები მუდმივად მუშაობენ ამ მიმართულებით და ახალ თაობაშიც გამოჩნდა საინტერესო სახელები, ან სფეროში არსებული ვითარება უკეთესობის სურვილს ბადებს. ყოველ შემთხვევაში, ავტორები ხშირად ამბობენ, რომ ძალიან უნდათ საკუთარ წიგნებზე იხილონ პროფესიულად დანერგული კრიტიკა, რომელიც, უმეტესწილად, არ არის. ან თუ არის — კარგა ხნის დაგვიანებით. რისი შრალია ეს — ავტორების, რომლებიც არ წერენ კრიტიკოსისთვის საინტერესო ნაწარმოებებს თუ თავად კრიტიკოსთა პასიურობის?

— რა ვიცი, მე თითქოს არ მეცოტავება ბოლოდროინდელი კრიტიკული გამოხმაურებების ოდენობა და რა ვქნა! ყველა ლიტერატურული გამოცემა ყოველ ნომერში ზოგჯერ რამდენიმე კრიტიკულ წერილს ბეჭდავს — თქვენი გაზეთიც, განახლებული „ცისკარიც“, ახალდაარსებული ელექტრონული გამოცემა „ელექტროლიტიც“, „არილიც“, „ახალი საუფჯეც“, რომლის ყოველ ნომერში შესხვდებით ლეღა კოდალაშვილის ძალიან საინტერესო წერილებს მხატვრულ ტექსტებზე... ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემებიც გავიხსენოთ, „კრიტიკა“, მაგალითად, რომელსაც შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნე მანანა კვაჭანტირაძე უძღვება... ასე რომ, ამ მხრივ, მე მგონი, მწერლებს სასაყვედურო უკვე არაფერი უნდა ჰქონდეთ... თუმცა, თუ ფილოსოფიურად მივუდგებით საკითხს, კმაყოფილებას მანაც უკმაყოფილება სჯობს...





დღეებ ხოლმე უამრად ადამიანის, ქვეყნის ცხოვრებაში, როცა დრო და სივრცე ჩიხში შედის და ერთმანეთში ირევა. ერთბაშად ცოცხლდება ისტორია, მითოსი, ზღაპართა სამყარო და ის, რაც მანამდე მხოლოდ თეორიაში, წიგნის ფურცელზე, პასიურ მეხსიერებაში მათთვის განწესებულ საზღვრებში არსებობდა — ფეხს იდგამს, პირდაპირი გაგებით, გარეთ გამოდის. ეს შეგრძნება მეუფლება შორენა ლებანიძის წიგნის — „პენელოპე. მგზავრის“ — კითხვისას. მთავარი გმირის, თანამედროვე ქალის, ემოციის ჭრილში ვლინდება მთელი ეპოქა, ქვეყანა, საზოგადოება, თვითონ პერსონაჟის შინაგანი სამყარო. ორი მეგობრის დიალოგში ჩამოსხმული ამბავი ინტროსპექციის, შინაგანი დიალოგის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ განწყობას ამყარებს ტექსტის ის თავიც, რომელშიც თვით გმირი აფასებს მეგობართან საუბარს ფსიქოთერაპიულ სენსადა. ის, რაც მეგობართან ითქმება, ხმამაღალი ფიქრიც არის. ფიქრი კი სამშენებლის ფსკერიდან წამოშლილი იმ წარსულის სურათებიდან იბადება, რომელიც თითქოს უკვე უკან მოიტოვა პერსონაჟმა. თურმე არა, კიდევ ბევრჯერ უნდა შევიდეს ძველ ნაკადში, რომ რთული ამოცანების სიღრმეებში ჩაყვინთვით უფრო მკვეთრი და წყალგაუვალი პასუხები იპოვოს. იპოვოს არა მხოლოდ წარსულის იარების მოსაშუშებლად, არამედ წინ სიარულისთვისაც.

ბოშასავით შემოსვა პერსონაჟის სწორედ ამ სულისკვეთებას აძლიერებს. თან ზუსტად ახასიათებს გმირის დაუდგომელ, გაუგებრობასთან შეუგუებელ ბუნებას, მისი დეტექტიური აზროვნების სტილს, შეუპოვრობას განსაცდელის წინაშე და სიცოცხლისადმი მართლაც ბოშურად ლალ დამოკიდებულებას. რა თქმა უნდა, ეს სილამუე უცნაურად არის გადახლართული ამღვრეულ, ტრაგიკულ რეალობასთან, მაგრამ სწორედ ეს ხასიათი ძერწავს ბედუკულმართობაზე გამარჯვებულ გმირს. სათაურიც, აშკარად, ამ სიჯიუტიდან თუ პრინციპულობიდან არის ინსპირირებული. კეთილი ღიმილის მომგვრელია: მითოსური პენელოპე, რომელიც ზის, ქსოვს და არღვევს, აქ, ოდისევსივით, სახიფათო გზას ადგება. ანუ... შორენა ლებანიძის გმირი თავის თავში ჰომეროსის ორ პერსონაჟს ატარებს. წარმოუდგენელია, სხვა რა მხატვრული ხერხი უნდა გამოიყენოს მწერალმა ქალის ფსიქოტიპის, ეპოქისა თუ ნაციონალური ხასიათის გამოსახატავად, რომ ეს უკეთ მოახერხოს?!

„პენელოპე. მგზავრი“ — ინტროსპექცია, რეტროსპექცია და ცხოვრებისეული „პრაქტიკა“ ერთად. მითოლოგიური თვალსაზრისით, ოდისევსი და პენელოპე ერთი პროცესის პერსონიფიკაციები არიან — ფიქრისა და ცხოვრებისეული აქტივობის. 90-იანი წლების საქართველო გამოიწვია ეს ორი მიმართულება. ფიქრი და შემეცნება პასიურობის სიმბოლოდ იქცა, აგრესიასა და ომში კონვერტირებული მოქმედება კი პრაქტიკად გამოცხადდა. ასეთი ურთულესი პროცესის ნაღმით დამუხტა ავტორმა სათაური. მთელი ნაწარმოებიც ამ დიაპაზონშია გაშლილი ჯაჭვური რეაქციებისა და მიზეზ-შედეგობრიობების ზედაპირზე ამოწვევა. ტექსტის უდავო ღირსებაა სიუჟეტის განვითარება თანმიმდევრული გახსენების რკალში. შინაგანი, სულიერი მიმოხილვის საწყის პუნქტად ცხოვრებისგან შემოთავაზებულ ალტერნატივაზე გმირის არჩევანი ინიშნება: ადვილი და ძნელი; მყუდრო და არეული; მხედრული და ქალური. ცხოვრება კარგად მოფიქრებულ პასუხსა და ქმედებას ითხოვს, დრო კი არ არის. ზემოთ დროისა და სივრცის შერევაზე ვისაუბრე. ამ შერევის განცდას ბადებს თვითონ ტექსტის დაძაბული შინაგანი რიტმი. ცხოვრებაში რომ დრო ისე შეიგრძნობოდეს, როგორც შორენა ლებანიძის წიგნებში, ადამიანები არსად არასდროს დაიგვიანებდნენ და არაფერს გამოტოვებდნენ. აჩქარებული დროით დამუხტული, დროის სიმჭიდროვეში შექმ-

ნილი სივრცე ალგვაქმევენებს გმირს ერთდროულად პენელოპედაც და ოდისევსადაც. ეს პროცესი განსაკუთრებით საინტერესოდ არის გამოხატული იმ ეპიზოდებში, რომლებშიც ომისგან ნალექილი გზების, დახოცილი ადამიანების გვაშვებთ და გაუჩინარებული მეუღლის საპირისპიროდ ჩნდება ნაოცნებარი სურათ-ხატები: სასაქონოდ მიმავალი ოჯახი, მყუდრო, ნათელი ბინა და საკუთარი ხელით შეკერილი გამჭვირვალე ფარდები, ოქროსფერი შემოდგომა, ხელბეჭდულ-ჯული წერილი... აქ პენელოპე თითქოს არღვევს სასტიკ რეალობას და ჯიუტად ქსოვს თავისას. ძაფის მარაგი აბრეშუმის ჭიასავით საკუთარი შინაგანის ნიალიდან ამოაქვს. მართალია, ეს სურათები ჯერჯერობით რეალობას ვერ ქმნიან, მაგრამ ქმნიან ადამიანისთვის აუცილებელ ინტიმს, სასუნთქ სივრცეს, რომლის ძალითაც ოდისევსმა რეალურ ცხოვრებაში გაცოცხლებულ დევებს უნდა სძლიოს, სცილასა და ქარიბდას შორის გაიაროს. მანძილი სოხუმიდან ზუგდიდამდე,

თამარ ახალაია

წიგნი მითოსა და ზღაპრის ხიდზე

რომელიც ლამის ჰაერში გამოკიდულ ხიდზე გადის, როგორ არ გაგახსენებს ჰომეროსს, ლეტოს, ქარონის ნავს. დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს ომის შუაგულში ავტომატის ჯერის მთვლეელი ცოლ-ქმარი. როგორ შეძლება ადამიანის ფსიქიკას ინსტიქტური თავდაცვა დაუძლეველი პრობლემიდან სრულიად უმნიშვნელოზე ვექტორის გადატანით. ეს ეპიზოდი მწერლის ფსიქოანალიტიკურ შესაძლებლობაზე მეტყველებს და ტროპის საუკეთესო ნიმუშია.

ამაღლელებლად დახატული სიყვარულის განცდა, რომელიც ქმრისგან გამოგზავნილი, ომგამოვლილი წერილისადმი დამოკიდებულებაში მუდღავნდება, სახელს ამოყოლებული სულის ნიაღვარი, გახვევებულ გულ-გვამში რომ ვეღარ დაეტირა და ონკანიდან გამომოდენილი წყლის ნაკადს შეერთო. ეს პასაჟი ემოციას კი არ ხატავს მხოლოდ, სიყვარულის ბუნებას ათვალსაჩინოებს; გვაგრძობინებს, რომ სადაც არ უნდა იყოს სატროფი ფიზიკურად, ის ყოველთვის ჩვენი სხეულის იმ ნიაღვარია, რომელიდანაც მისი სახელი იძვრის.

ავტორი ეჭვის ანატომიასაც გვაცნობს. გაცილებით ფართოა მისი გავრცელების



არეალი — სრულიად „ლეგიტიმურ“ საფუძველზე დაბადებული და გმირის მომთაბარეობის მთავარ სტიმულად იქცევა, მაგრამ პენელოპესეული კონსტრუქციების დაშლა-აგების ნიჭის წყალობით მაღლდება თავის მდაბიო სტატუსზე და ჯერ თანაგრძობის, შემდეგ კი ქმშირტიკების მაძიებლობისა და პატივების რეგისტრში გვევლინება. როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, პოზიტიური სახითაც გვხვდება ეჭვი ტექსტში — როგორც ცხოვრების კონტექსტიდან ამოვარდნილი საგნებისა და მოვლენების ამოხსნის „ხელსაწყო“, დაძაბულობით მოდუნებული ლოგოსის ინსპირატორი.

ამ მხრივ საინტერესოა სანაყინე რკინის ურიკის, აფეთქებული მანქანისა და თვითმფრინავის თანამგზავრი გაგას წარმოსახვითი ისტორიები. პენელოპე ოდისევსის როლშია მაშინ, როცა მძიმე გზაზე ხევში ჩაჩხილ ფეხმძიმე ქალს ებიჯება. გმირის მყისიერი რეაგირების უნარი, საკუთარ შეილებს რომ ავიწყებს და უმწეოს დასახმარებლად მივბრუნდეთ, იმ შერჩენილ, ჯანსაღ ინსტიქტზე მეტყველებს, რომელიც სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეული ერის გადარჩენის ფუნდა-

მენტად გამოდგება. ოდისევსი მოქმედებს გმირში იქაც, როცა გმირი მოხუც ინტელიგენტს სამუზეუმო ფოტოებს უბრუნებს. პროფესორისთვის სახეში მიხლილ სიტყვებს სამასათასიანი თავგანწირული მიტინგების ექო მოაქვს, ფიქრის გორიდან ხალხისთვის დახლილი ავტომატების ჯერის ხმა ჩამესმის ყურში... და არა მხოლოდ ეს, ის ცალკეული ფრაზები, ეროვნული ხელისუფლების გადატრიალებამდე რომ ზოგიერთი პერსონისთვის შეურაცხმყოფელად ყდერდა, წიგნში პოლიტიკური შეფასების ძალას იძენს და ქვეტექსტით, მაგრამ ამომწურავლად პასუხობს ჩვენი თანამედროვე საზოგადოების უმთავრეს კითხვას: რატომ ვერ მიდის ჩვენი სახელმწიფო წინ?! რატომ ვართ სულ ჩიხში?! ეს ეპიზოდი ამთლიანებს პენელოპესა და ოდისევსს, რადგან აქ ერთად არის ფიქრი და საქმე.

წიგნის მეათე-მეთერთმეტე თავები აერთიანებს, კრავს ტექსტს. თუ მეათე თავში, მოხუც ინტელიგენტთან სტუმრობით, სამოქალაქო ომის მიზეზები ამოდის ზედაპირზე, მეთერთმეტე თავში, სადაც თბილისური ახალგაზრდა სნობური საზოგადოების თავყრილობაა ასახული, ომის გამოწვევ მიზეზებთან ერთად თანამედროვეობისა და მამების თაობისადმი დამოკიდებულება მუდღავნდება და ფსიქოანალიტიკური ნიაღვრებიც შეინიშნება. ახალგაზრდების უკიდურესი გულგრილობა მათი ნაჭუჭის მიღმა მიმდინარე პროცესებისადმი ხომ ქვეცნობიერი პროტესტის საფუძველზეა ამოზრდილი და თვითგადარჩენის ინსტიქტით არის ნაკარნახევი. საერთოდ, ეს ორი თავი ცალკე განხილვის თემაა და ახალი სქელტანიანი, მნიშვნელოვანი რომანის საფუძველადაც გამოდგება.

შორენა ლებანიძის ენისა და სტილის საიდუმლოს ახსნა ანრი ბერგსონის „ცნობიერების უშუალო მონაცემები“ მეგულება. მასალის შესწავლისას ის ჯერ „ეუფლება“ მშენებელი სივრცეს. ყველა უზილავი არხით იზიდავს, ისრუტავს ვიზრაციებისა და ნაკადებს, მერე აღნობს სიტყვის „მინერალებს“ თავისი მხურვალე გულის ღუმელში (როგორც ვაჟა იტყოდა), შემდეგ ამ გადამდნარ მადანს რიტმულ სხეულად ასხამს და ემანიერებს, ღვრის. ასეთია მისი „ლირიკული ტექნოლოგიის“ ალქიმია. მისი სიტყვა რჩება, როგორც „ზეთი განუპარველი“.

ამ რომანში (მე ვფიქრობ, რომ ეს უფრო მცირე რომანია, ვიდრე ვრცელი მოთხრობა. ეპოქა ასე სერიოზულად მოთხრობაში ვერ გამოჩნდება) არის ერთი ჩვენგან მივიწყებული სიტყვა — თემშარა, რომელმაც ასოციაციურად ჰაიდგერის „თემშარა“ გამახსენა. ალუზიასავით იმოქმედა. ადგა და ჩაანწა ეს ავტორი მთელი თავისი პერსონით ტექსტის პრობლემატიკაში.

ბოლო თავი ვერანაირად ვერ თავსდება რეალობის მიამიტური ასახვის ყალიბში. შიში, ზიზღი, თმენა, შიმშილი, სივინროვე — ეს ტრანსცენდენტური წარმოშობის მოვლენები აქ ხასიათებად იძენება და სიუჟეტის ქარგაში ექცევა. „ამოვრწყავდით“ — ამ სიტყვაში „სანაყალი“, იარაღად გამოყენებული ნარკომანის კი არა, მისი მთავარი დამკვეთის, მეფისტოფელის ხმა ისმის, რომლის მიმართვის ადრესატი მხოლოდ მთავარი გმირი როდია თავისი ბავშვებით. ეს გზავნილია ქართველი ერისადმი, ერის მარადიული სუბსტანციისადმი.

„პენელოპე. მგზავრი“ ჩემთვის მითისა და ზღაპრის ხიდად იქცა, რაკი მითი, ძირითადად, სამყაროს სურათხატოვანი წარსულია, ზღაპარი კი უფრო მომავალს წინასწარმეტყველებს. მათ შორის ანწყოა. ანწყო, რომელიც ორივე დროის ნაკადს იერთებს, ორივე დროის იმპულსით მოქმედებს. ტექსტში გარე სამყაროს ამღვრეული დრო და უამრავი მთავარმა პერსონაჟმა თავის მასშტაბში მოაწესრიგა, ფიქრისა და ქმედების ერთ სხეულად ჩამოქნა და ახალი დროის ახალ ციკლში „არა იყო“-დან „იყო“-ში დაეშვა.

